პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

კომუნისტი

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 63, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწ-ფეების და მასწავლებლებ-სათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ოთხშაბათი, 14 აგვისტო 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 185 (2531)

დღიური

— ინგლისის ფეიქართა მასა მრეწველებთან შეთანხმების წინააღმდეგ
— ჩინეთში დაიხურა შორეულ აღმოსავლეთის ბანკის ყველა განყოფილებები
— ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა გამოიყვანოს თავისი ჯარები რეინის ოლქიდან
— ბრიანისა და შტრეზემანის მოლაპარაკება საარის ოლქის შესახებ
— რუმინელ მემაღაროების გმირული ბრძოლა.—ჯარებ[illegible] მოურა გაფიცვის რაიონში
— შეთანხმება ამერიკულ ფირმასთან ტეხნიკური დახმარების შესახებ ნიჟნი-ნოვგოროდში საავტომობილო ქარხნის აგების საქმეში

დაუნდობელი ბრძოლა კოლექტივიზაციის მტრებს

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული იყო ცნობა იმის შესახებ, რომ სოფელ დიდ-ლილოში ცეცხლის სტიქიამ შთანთქა კოლექტივ „ანეული“-ს 2.500 ფუთი პური და ბეღელი. დღეს ამ ფაქტის შესახებ ჩვენ ვბეჭდავთ საგამომძიებლო ორგანოების დამატებით ცნობებს. ირკვევა, რომ ცეცხლი კოლექტივის პურს გაუჩნდა ხუთ აგვისტოს, ხოლო ეს ამბავი თბილისის სათანადო ადმინისტრატიულ ორგანოებმა გაიგეს ოთხი დღის შემდეგ. ამასთან ერთად ისიც დადასტურდა, რომ დიდ-ლილოში, მას შემდეგ, რაც იქ ჩატარებულ იქნა მიწადმოწყობა და კულაკებს ზედმეტი მიწა ჩამოერთვა, ურთიერთობა კოლექტივსა და კულაკებს შორის კიდევ უფრო გამწვავდა. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, ცეცხლი კოლექტივის პურს შემთხვევით არ გასჩენია. ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ ადგილობრივ ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენლებმა მაშინ, როდესაც გლეხები თავგანწირვით ებრძოდნენ ცეცხლის სტიქიას, სრული უმოქმედობა გამოიჩინეს.

ყოველივე ეს ერთად აღებული მთელი თავისი სიცხადით მოწმობს, რომ 5 აგვისტოს უბედური შემთხვევა სოფელ დიდ-ლილოში არის უაღრესი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფაქტი. ჩვენში დღემდე კიდევ მოიპოვებიან ისეთი „გულუბრყვილოები“, რომელნიც მზად არიან ყველგან და ყოველთვის ამტკიცონ, რომ გამწვავებული კლასობრივი ბრძოლა სოფლად თითქოს მოგონილი ამბავია. არიან ისეთი გაბედული „თეორეტიკოსები“, რომელნიც უარყოფენ კულაკობის არსებობას საქართველოს სინამდვილეში და აქედან შესაფერ დასკვნებსაც აკეთებენ, მემარჯვენე, აშკარა ოპორტუნისტულ გადახრის პრაქტიკულად გამტარებლების როლში გამოდიან.

კოლექტივ „ანეულში“ მომხდარი უბედური შემთხვევა ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს ამგვარი „თეორიისა“ და პრაქტიკის სრულ უსაფუძვლობასა და მავნებლობას. ხანძარი, რომელსაც ადგილი ჰქონდა დიდ-ლილოში 5 აგვისტოს, ზედმეტად მოწმობს, რომ სოფლის კაპიტალისტური ელემენტები და მათი მაჩანჩალები გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ საბჭოთა აღმშენებლობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში ისინი არ იხევენ არავითარი საშუალების წინაშე. ეს ელემენტები ყოველ შესაძლებლობას იყენებენ იმისათვის, რომ ჩაშალონ თვითეული ჩვენი მორიგი წამოწყება სოფლად სოციალისტური პოზიციების განმტკიცება - განვითარების საქმეში. და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ეს ის, რომ კულაკობა ამ თავის ბრძოლაში ახალი საზოგადოებრივობის წინააღმდეგ ხშირად მეტად მოხერხებულად იყენებს ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებსაც. თუ ეს არა, რით უნდა ავხსნათ ის ყოვლად გაუმართლებელი მოვლენა, რომ, როცა კოლექტივ „ანეული“-ს პურს ცეცხლის ალი ჰქონდა მოდებული, ადგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარე, რომელმაც იცოდა ცეცხლის გაჩენის შესახებ, სახლში იჯდა და მას თითიც არ გაუნძრევია იმ უბედურების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელიც თავს დაატყდა კოლექტივს? რით უნდა ავხსნათ ის სრულიად გაუგებარი გარემოება, რომ ცნობა ხანძრის შესახებ დიდ-ლილოდან, რომელიც რამოდენიმე კილომეტრის მანძილით არის დაშორებული თბილისიდან, მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ მიიღეს ცენტრალურ ადმინისტრატიულ და საგამომძიებლო ორგანოებმა? ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, ყოველივე ეს რაიმე ბოროტმოქმედების თუ დაუდევრობის შედეგია. მაგრამ, როგორც არ უნდა იყვეს, მთავარი რამ ყველასათვის უდაოთ უნდა ჩაითვალოს: ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებმა მიუტევებელი დანაშაული ჩაიდინეს, როცა ასე გულგრილად მოეპყრენ კოლექტივში მომხდარ უბედურ შემთხვევას. ნებით თუ უნებლიეთ მათ ამ შემთხვევაში სამსახური გაუწიეს კოლექტივის მოწინააღმდეგეთ და, მაშასადამე, ჩვენი აღმშენებლობის მოსისხლე მტრებს.

სოფელ დიდ-ლილოს სამწუხარო მაგალითი საუკეთესო გაფრთხილებას წარმოადგენს ყველა ადგილობრივ ორგანიზაციისათვის. ზოგიერთ ადგილობრივ მუშაკის მიერ ღარიბ გლეხობის ინტერესების უკუგდება, კულაკებსა და მოკულაკო ელემენტებთან მჭიდრო კავშირი, რასაც ხშირად იქამდე მივყევართ, რომ კლასიური მტერი ჩვენს წინააღმდეგ იყენებს ჩვენსავე აპარატს და სხვ., არც თუ ისე უცხო მოვლენას წარმოადგენს. ზოგიერთ შემთხვევაში ეს უმსგავსოებანი მეტად მოხერხებულად იფარება, ზოგან კი ის ისეთ აშკარა, თვალსაჩინო სიმახინჯის სახეს ღებულობს, როგორც ეს მოხდა სოფელ დიდ-ლილოში.

პარტია არ დაინდობს არავის, ვინც წინ გადაეღობება მას პროლეტარული კლასობრივი ხაზის გატარების საქმეში. პარტია მუშათა კლასის და ღარიბ და საშუალო გლეხკაცობის აქტიური დახმარებით თავის ადგილს მიუჩენს კონტრშეტევაზე გადმოსულ კულაკებს და მათთან ერთად კიდევ უფრო სასტიკ პასუხს აგებინებს მათ, ვინც საშუალებას აძლევს კლასობრივ მტერს თავის სასარგებლოდ მოიხმაროს ჩვენი აპარატი.

სოფელ დიდ-ლილოს ამბების მსგავსი თვითეული მოვლენა უნდა გამოყენებულ იქნას ღარიბი გლეხკაცობის კიდევ უფრო შესამჭიდროებლად, კოლექტივების მშენებლობის კიდევ უფრო გასაშლელად და სხვა ისეთ ღონისძიებების მისაღებად, რომელნიც განამტკიცებენ და გააფართოვებენ არსებულ მიღწევებს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის დარგში. რაც შეეხება კერძოდ კოლექტივ „ანეული“-ს პურის გადაწვის ორგანიზატორებს, ღარიბი გლეხობა და მთელი მშრომელი მასები დარწმუნებული უნდა იყვნენ, რომ დამნაშავენი ღირსეულ და სასტიკ პასუხს აგებენ პროლეტარულ ხელისუფლების წინაშე.

კლასობრივი ამოცანა თესვის კამპანიაში

მზადება შემოდგომის თესვის კამპანიისათვის მიმდინარე წელს სწარმოებს განსაკუთრებით ფართო მასშტაბისა და ღრმა რევოლუციონური მშენებლობის პირობებში. საბჭოთა სოფელი, დაადგა რა საწარმოო კოოპერაციაში შეკავშირებისა და კოლექტივიზაციის გზას, აჩქარებული ტემპით მიიმართება სოციალიზმისაკენ. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის კურსის მტკიცედ გატარების მეოხებით იწყება „მოძრაობის ტემპის ის აჩქარება“, რომელიც გენერალურად გაითვალისწინა ლენინმა.

სოფლის მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმით ნავარაუდევი, მხოლოდ ახლახან დასახული, ციფრები მრავალ შემთხვევაში საკმაო არ გამოდგა მოძრაობის ეხლანდელი ტემპისათვის. ცალკე რაიონებში ეხლავე ისმება ამოცანა, რომ კოლექტივებში ჩაბმულ იქნას ადგილობრივი სოფლის მოსახლეობის 20 პროცენტით მეტი. კონტრაქტაცია ბევრ რაიონში ეხლავე ვრცელდება გლეხურ მეურნეობათა უმრავლესობაზე, ზოგიერთ რაიონში კი მთელ გლეხურ მეურნეობებზე, და სხ.

მთელ მოძრაობას ახასიათებს კლასობრივი ბრძოლის აშკარა ნიშანი. ყოველგვარ ცოტად თუ ბევრად სერიოზულ ღონისძიებას, რომელიც სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციასთან არის დაკავშირებული, გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ კულაკური ელემენტები. ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები, ებრძვიან არა კულაკს, დგებიან თავიანთი წვრილი ჩამორჩენილი მეურნეობის რევოლუციონური გარდაქმნის გზაზე. მაგრამ ყოველი ნაბიჯი ამ გზაზე აუცილებლად იწვევს შემდგომ ბრძოლას და ამ ბრძოლის გამწვავებას.

თქმა არ უნდა, კულაკის წინააღმდეგობის დაძლევა ბევრად უფრო წარმატებით მოხერხდებოდა, რომ მუშაობას სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის არ აბრკოლებდეს მოსახლეობის კულტურული და ტეხნიკური ჩამორჩენილობა, ერთის მხრით, ხოლო ჩვენი აპარატების ბიუროკრატიზმი, მეორე მხრით ამ ორ მთავარ მომენტს ძალიან ხშირად მეტად მოხერხებულად იყენებენ ჩვენი კლასობრივი მტრები.

შემოდგომის თესვის კამპანიის მომზადების დროს გულდასმით უნდა იქნას გათვალისწინებული მთელი ის მეურნეობა და კლასობრივი პირობები, რომლებიც საბჭოთა სოფლის განვითარების თანამედროვე ეტაპს ახასიათებენ

სოფლის უდიდესი საწარმოო განვითარება მიმართული უნდა იყოს მეურნეობის კოლექტიური ფორმების შემდგომი გაშლისაკენ. თესვის კამპანიის პროცესში ფართოდ უნდა გავრცელდეს პრაქტიკულად შემოწმებული მასიური კოლექტივიზაციის ფორმები. პირველად კოლექტივებში გაერთიანებულ უნდა იქნან მახლობელი სოფლები, ხოლო შემდეგ მთელი რაიონები. მასიური კოლექტივიზაციის ამ ამოცანას უნდა დაექვემდებაროს ღონისძიებანი საწარმოო კოოპერაციის სფეროში. იმ რაიონებში, სადაც საგრძნობლად განვითარებულია საწარმოო კოოპერაციაში შეკავშირების ფორმები და მეთოდები, უმთავრესად პურის კოოპერაციაში, ჩვენ ვხედავთ ყველა ელემენტს იმისათვის, რომ კოოპერატიული გაერთიანება გადაიქცეს კოლმეურნეობებად; ეს ელემენტებია: მთელი მოსახლეობის ჩაბმა, ტერიტორიის ორგანიზაცია, მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობა, მანქანების გამოყენების გაძლიერება და სხ. მიმდინარე კამპანიაში უნდა მივაღწიოთ იმას, რომ, თანახმად პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საორგანიზაციო წყობილების შესახებ“, დაიწყოს სასოფლო საწარმოო ამხანაგობების, როგორც ქვედა საფეხურების კოოპერატიული უჯრედის ფორმის, მასიური მშენებლობა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საწარმოო საფუძველზე გარდაქმნის პროცესში უდიდესი როლი უნდა ითამაშონ სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა. მიმდინარე კამპანიაში აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ არსებული სადგურები. უნდა გამოვიყენოთ გამაქირავებელი პუნქტები. უნდა ვაღიაროთ, რომ გამქირავებელი პუნქტები, აგრეთვე მარცვლის საწმენდი პუნქტები, საკმაოდ ვერ გამოვიყენეთ საწარმოო კოოპერაციისა და კოლექტივიზაციისათვის ხელის შეწყობის მიზნით. მომავალში თვალსაჩინოთ უნდა გაძლიერდეს გასაქირავებელი პუნქტების როლი, რისთვისაც უნდა გავაერთიანოთ წვრილი პუნქტები და ვაქციოთ ისეთ დიდ პუნქტებად, რომლებსაც ექნებათ რთული მანქანები და მამოძრავებლები.

საჭიროა ბევრად უფრო მეტად იქნეს გამოყენებული კონტრაქტაცია. უნდა მივაღწიოთ კონტრაქტაციის გავრცელებას რაც შეიძლება მეტ გლეხურ მეურნეობებზე, აგრეთვე კონტრაქტაციის ხარისხობრივი და კლასობრივი შინაარსის გაუმჯობესებას. პურის კოოპერაციის მაგალითზე გამოაშკარავდა, რომ საავანსო კონტრაქტაციის წინანდელი ფორმები ადგილს უთმობენ ხელშეკრულებებს, რომლებსაც მთელ სოფლებთან სდებენ ამა თუ იმ რაიონის რეკონსტრუქციის ღონისძიებათა კომპლექსის გატარების შესახებ. კონტრაქტაცია ამ მხრივ წარმოადგენს სოფლის მეურნეობის გეგმიანად გარდაქმნის და მთელი სასაქონლო პროდუქციის სახელმწიფოს ხელში ნამდვილად გადასვლის მეთოდს.

ჩვენ გვაქვს სხვადასხვა საწარმოო საშუალებანი, მათი მეოხებით უნდა გავაძლიეროთ დახმარება ღარიბებისათვის. დახმარების შემთხვევითი ფორმებიდან ეხლა შეგვიძლია გადავიდეთ ღარიბთა მეურნეობის გეგმიანად ჩაბმაზე საწარმოო კოპერაციაში და კოლექტივებში. კოოპერატიულმა სისტემებმა თავიანთი ქვედასაფეხურის უჯრედებს, პირველ რიგში საწარმოო ამხანაგობებს, უნდა დაავალონ —აღმოუჩინონ მათ ყოველმხრივი დახმარება ღარიბებს როგორც სათესლე მასალით, ისე სასოფლო-სამეურნეო ინვენტარით. ასეთივე მოვალეობა უნდა დაეკისროს ყოველ საადგილმამულო საზოგადოებას, ყოველ ურთიერთ დამხმარე კომიტეტს. ღარიბ მეურნეობათა მიწების დასამუშავებლად საჭირო ინვენტარი უნდა მისცენ საბჭოთა მეურნეობებმა, კოლმეურნეობებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა და გამქირავებლებმა პუნქტებმა. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ასეთი საზოგადოებრივი გამოყენება შეიძლება იქ სადაც არსებობენ საწარმოო კოპერაციაში და კოლექტივებში ჩაბმის მასიური ფორმები, ე. ი. იქ სადაც მიწის ერთად დამუშავება ან ხარისხოვანი თესლის დათესვა უზრუნველჰყოფს ღარიბ მეურნეობათათვის სამსახურის გაწევას. მაგრამ ყველა სხვა შემთხვევაში ღარიბთა მიწები აუცილებლად უნდა დაითესოს. ამ მიზნით გამოყენებულ უნდა იქნას შეძლებულ და კულაკურ მეურნეობათა ზედმეტი ინვენტარი, აგრეთვე ფართოდ უნდა განვითარდეს ღარიბ და საშუალო გლეხთა შორის ურთიერთის დახმარების ფორმები, შრომითი დახმარების ფორმები.

თუ შემოდგომის თესვის მოსამზადებელი კამპანია წესიერად იქნება ჩატარებული, იგი განამტკიცებს მუშათა კლასისა და საშუალო გლეხობის კავშირს და ღარიბი და საშუალო გლეხების ბლოკს კულაკების წინააღმდეგ. ჩვენ უნდა დავეყრდნოთ საშუალო გლეხობის დაინტერესებას ჩასატარებელი ღონისძიებით და ჩვენი ფასების პოლიტიკისა და შეღავათიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წამახალისებელ გავლენას და კამპანიის მიმდინარეობის დროს უნდა გავაძლიეროთ სოციალისტურ მშენებლობაში საშუალო გლეხთა მასების ჩაბმის ტემპი. ამავე დროს თვალყური უნდა ედევნოს იმას, რომ კულაკის წინააღმდეგ მიმართულმა ღონისძიებებმა არ შელახონ სოფლის საშუალო მასების ინტერესები, რომ პოლიტიკაში საშუალო გლეხთა მიმართ არ განმეორდეს გადახრის ის შემთხვევები, რომლებიც წინა კამპანიების დროს იყო შემჩნეული.

აღნიშნულ ღონისძიებათა გატარების, განსაკუთრებით ღარიბ გლეხობისათვის დახმარების გაწევის დროს საჭიროა შეუბრალებელი ბრძოლა კულაკის წინააღმდეგობასთან და ბიუროკრატიზმის შემთხვევების სწრაფი ლიკვიდაცია.

მიმდინარე კამპანიაში უკვე საკმაოდ მოიპოვება უარყოფითი ფაქტები. ლენინგრადის გაზეთების გადმოცემით, სრედენსკის რაიონში არსებობს „შემოდგომის გეგმის ჩაშლის საფრთხე“. კამპანიის ამოცანებისადმი ბიუროკრატიული მიდგომის ნიმუშად გაზეთებს მოჰყავთ ამ რაიონის პრისტანის სოფლის საბჭოს დადგენილება, რომლითაც ღარიბ მეურნეობათა გამორკვევა გადადებულია 15 აგვისტოსათვის, ხოლო შემდეგ „ეთხოვოს დახმარება შეფს“. კოლივანში (ციმბირში), ადგილობრივი გაზეთის სიტყვით, სარემონტო სახელოსნო „მოსავლის აშკარა მესაფლავედ აპირებს გადაქცევას“. მანქანების შეკეთების ნაცვლად, სახელოსნო უკანასკნელ თვემდე აკეთებდა კუბოებს და კალავდა სამოვრებს. უმოქმედოდ დგანან სახელოსნოები ციმბირის მრავალ რაიონში. ბევრ რაიონში კულაკურმა ელემენტებმა სცადეს კამპანიის ჩაშლა. მაგალითად, პოკროვის რაიონში გეგმების 7 პროცენტი გლეხობამ კულაკების აგიტაციის გამო არ მიიღო.

ამ უარყოფით მოვლენებთან ერთად, ადგილებიდან იუწყებიან მრავალ ისეთი ფაქტების შესახებ. როგორიც არის აქტიურად მხარის დაჭერა ღარიბებისათვის, შრომითი დახმარების მასიურად მოწყობა, განსაზოგადოებული სექტორის გავლენის ზრდას და სხვ.

მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ბიუროკრატიზმის და საქმის გაჭიანურების შემთხვევები.

მზადება შემოდგომის თესვისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაივლის წარმატებით, თუ თავის დროზე მოვსპობთ დეფექტებს და დავეხმარებით ქვედა ორგანიზაციებს გამოასწორონ მუშაობის დროს ყოველგვარი ნაკლი და კლასობრივი ხაზი. აქ განსაკუთრებით საყურადღებოა გარკვეული პარტიული ხელმძღვანელობა. ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა დაუღალავად უნდა ადევნონ თვალყური კამპანიის გაშლას და მჭიდრო კავშირი იქონიონ სოფლის საბჭოთა კოოპერატიულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

შემოდგომის თესვის კამპანიაში, რაც სოფლის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს საწარმოო მოვლენას წარმოადგენს, საჭიროა საზოგადოებრივ ძალთა დარაზმვა პარტიული ხელმძღვანელობის ირგვლივ. კლასობრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა ჩატარების დროს პარტიული ორგანიზაციების ძირითად დასაყრდენს უნდა წარმოადგენდნენ პროფკავშირები და სოფლის ღარიბი გლეხობის ორგანიზაციები.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს და უნდა შევიგნოთ, რომ გეგმის შესრულებას, გადაჭარბებითაც კი, სათეს სივრცის შემდგომ გაფართოვებას და მოსავლიანობის გადიდებას შევსძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკულად საწარმოო ამოცანებს წესიერათ შევათანხმებთ კლასობრივ პოლიტიკასთან.

„პრავდა“, 13 აგვისტო.

ნანკინის მთავრობის სამხედრო მზადება მანჯურიაში

საბჭოთა მოქალაქეების დევნა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე გრძელდება

ინგლის-საფრანგეთის ბრძოლა ჰააგაში მწვავდება.—მაკდონალდი ესალმება სნოუდენის „მტკიცე ხაზს“

ამერიკელი ჟურნალისტები საბჭოთა კავშირის მიღწევების შესახებ

ნანკინის მთავრობის საომარი სამზადისი

ჩინეთის ჯარი თავს იყრის მაჩიოზის მახლობლად

ტოკიო, 12 აგვისტო. ტოკიოდან მიღებული ცნობით მაჩიოზის მახლობლად თავს იყრის ჩინეთის ჯარი, რიცხვით ათასამდე კაცი, რომელთაც თან აქვთ ტყვიამფრქვევები, საველე ზარბაზნები და ჯავშნიანი ავტომობილები (ადს).

სამხედრო „ძლიერების“ დემონსტრაცია

ხარბინი, 12 აგვისტო. ხარბინის ოფიციოზში „გუნ-ბაო“-ში მოთავსებულია ცნობა, რომ თავისი სამხედრო ძლიერების გამოსაჩენად ჩინეთის სარდლობამ მანჯურიის სადგურზე 10 აეროპლანი გაგზავნა. (ადს).

მორიგი შური

ტოკიო, 12 აგვისტო. ხარბინიდან მიღებული ცნობით, ჩინეთის ხელისუფლებამ, რუსი თეთრგვარდიელების დახმარებით, თავს დაესხა „წითლების მთავარ შტაბს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხაზზე“, რომლის დროსაც „აღმოაჩინეს კომუნისტური შეთქმულება და, ამრიგად თავიდან აიცილეს საყოველთაო გაფიცვა აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე“. (ადს).

ჯერ „შინაურ მტერს“ იშორებენ თავიდან

ხარბინი, 12 აგვისტო. როგორც იუწყებიან სადამოთი პოლიცია გარს-შემოერტყა მუშათა უბანს მექანიკური სახელოსნოების მახლობლად და დააპატიმრა 100-ზე მეტი საბჭოთა მოქალაქე. 8 და 9 აგვისტოს მუშაობა შესწყვიტა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის 3.000-ზე მეტმა მოსამსახურემ —საბჭოთა მოქალაქემ. გზის ბევრ სადგურზე და ბევრ საწარმოში საბჭოთა მოსამსახურეები სამსახურიდან გადადგნენ. ძველ ხარბინთან ლიანდაგიდან გადავარდა საბარგო მატარებელი.

ხაილორში დიდი საომარი სამზადისია. ქალაქის მახლობლად დიდ ჯარს მოუყარეს თავი: თხრიან სანგრებს და აგებენ სიმაგრეებს. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საწყობებიდან მიაქვთ ბევრი მასალა. რკინის გზის სკოლების შენობებში ჯარია დაბინავებული. (ადს).

შანხაი, 12 აგვისტო. როგორც გომინის საგენტო იუწყება, მუკდენელებმა ხაილარში გაგზავნეს ხეილუნძიანის ჯარის 8 დამატებითი ბატალიონი და რამდენიმე აეროპლანი და ჯავშნიანი მატარებელი.

საგენტოს სიტყვით, „რუს თეთრგვარდიელთა საიდუმლო მზადება თავიანთ წითელ მტრებზე თავდასასხმელად საზღვრის იქითა მხარეს, მეტად საძნელოდ ხდის მანჯურიის ხელისუფლების ამოცანას, ვინაიდან თეთრების თავდასხმას საბჭოთა ჯარზე აუცილებლად მოჰყვება რაიმე შედეგები ჩინეთის ჯარისათვის“. (ადს).

ჩან-კაი-შის გადადგომის საკითხი ამოწურულია

ტოკიო, 12 აგვისტო. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით, ჩან-კაი-შის გადადგომის საკითხი ამოწურულია, რადგან ჩინეთის ბანკები დასთანხმდნენ შექმნან „სადემობილიზაციო ფონდი“ 50 მილიონი ვერცხლის დოლარის რაოდენობით. მცოდნე წრეების აზრით, ბონების გამოშვება ნანკინის მთავრობას ვერ იხსნის ფინანსიური დაბრკოლებებისაგან. (ადს).

საბჭოთა მოსამსახურეების დაპატიმრება გრძელდება

ტოკიო, 12 აგვისტო. ჩინეთის პოლიციამ გაძარცვა ორასამდე საბჭოთა მოქალაქე, რომლებიც 11 აგვისტოს ჩამოვიდნენ მანჯურიის სადგურზე. პოგრანიჩნიას სადგურზე დააპატიმრეს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხუთი საბჭოთა მოსამსახურე, რომელთაც უარი სთქვეს სამსახურზე. 9 აგვისტოს წინა ღამეს ხარბინში დააპატიმრეს 110 საბჭოთა მოქალაქე, რომელთა შორისაც 60 კომკავშირელია. პოლიცია ყველა იმ საბჭოთა მოქალაქეს, რომელსაც ჩინეთიდან ასახლებენ, ართმევს იმ ფულს, რაც მათ გააჩნიათ. (ადს).

განაგრძობენ საბჭოთა მოქალაქეების დაპატიმრებას

ტოკიო, 2 აგვისტო. როგორც „სიმბუნ რენგო“ იუწყება, მანჯურიის სადგურზე რკინის გზის საბჭოთა მოსამსახურეებს შორის დღითი დღე იზრდება სამსახურიდან წასვლის სურვილი. ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მანჯურიის სადგურზე 9 აგვისტოს დააპატიმრეს 56 საბჭოთა მოქალაქე, ხოლო ხაილარის სადგურზე—85 მოქალაქე. (ადს)

შორეული აღმოსავლეთის ბანკის განყოფილების დახურვა

ხარბინი, 12 აგვისტო. შორეული აღმოსავლეთის ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დახურულია ბანკის ყველა განყოფილება ჩინეთშიო (ადს).

მდგომარეობა მანჯურიის სადგურზე

ხარბინი, 12 აგვისტო. მანჯურიის სადგურზე კვლავ შიშიანობაა. ქალაქი დაცარიელდა. მაღაზიები დაიხურა. მოსახლეობა ქალაქიდან გარბის. კატასტროფის შიშით, ღამე აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულ იქნა (ადს).

ტერორის ატმოსფერა

ხარბინი, 12 აგვისტო. რადგან საბჭოთა მოქალაქენი მასიურად სტოვებენ სამსახურს, გაიცა ბრძანება გზის გაძლიერებული დაცვის შესახებ. **ხარბინში მოეწყო დაცვის შტაბი, რომელმაც გამოაცხადა, რომ არაკეთილსაიმედო ელემენტები დაპატიმრებულ იქნებიან და სასტიკად დაისჯებიანო.** არაკეთილსაიმედო ელემენტებად ჩაითვლებიან ის პირნი, რომელნიც ვარკვეულ საქმიანობას არ დაადგებიან (ადს).

მატარებლის დამტვრევა

ხარბინი, 12 აგვისტო. როგორც „დემპო ცუსინ“-ის ხარბინელი კორესპონდენტი იუწყება, 9 აგვისტოს მატარებელი № 51 ხარბინის მახლობლად ლიანდაგიდან გადავარდა. დაიმტვრა 28 ვაგონი, დაშავდა 7 კონდუქტორი. ხარბინში კვლავ მეფობს ტერორის ატმოსფერა. „ნიცი ნიცი“-ს ცნობებით, ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში გზიდან დათხოვნილ იქნა დაახლოვებით 1.000 საბჭოთა მოსამსახურე.

მანჯურიის სადგურზე თავი მოიყარა ბევრმა საბჭოთა მოქალაქემ, რომელთაც ჯარისკაცები სდარაჯობენ. ისინი მოკლებულნი არიან სამშობლოში დაბრუნების საშუალებას (ადს).

საკავშირო დეპეშათა სააგენტოსაგან

მოსკოვი, 13 აგვისტო. რადგან ჩინეთის ოფიციალური წყაროებიდან განუწყვეტლივ ვრცელდება ხმები, ვითომ ჩინეთის ყოფილ რწმუნებულს (საბჭოთა კავშირში) ჩუ შაოიანსა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს შორის სწარმოებს მოლაპარაკება, ამიტომ საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი:

„7 აგვისტოს ჩუ შაო-იანი მოვიდა მანჯურიის სადგურზე და ტელეგრაფის საშუალებით სთხოვა ამხ. კარახანს გაეგზავნა საზღვარზე საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ კონფლიქტებთან დაკავშირებით ყველა საკითხის მასთან განსახილველად. მას ვითომ ნანკინმა დაავალა მოეგვარებია ეს საკითხები.

8 აგვისტოს ამხ. კარახანმა ჩუ შაო-იანს გაუგზავნა პასუხი. იმ სიტყვიერი მოლაპარაკების გამო, რომელსაც უკვე ჰქონდა ადგილი ამხ. მელნიკოვსა და ცაის შორის და რომელმაც ცხადჰყო რომ ჩინეთის ხელისუფლება ადვილად უარჰყოფს თავისსავე სიტყვიერ წინადადებებს, ამხ. კარახანმა ამ პასუხში აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჩუ შაო-იანს გადმოსაცემი აქვს პასუხი ჩან-სუელიანისათვის გაგზავნილ იმ წერილზე, რომელსაც იგი იცნობს, და საბჭოთა მთავრობის წინა ნოტებზე, ჩუ შაო-იანს შეუძლია ეს პასუხი წერილობით გადმოსცეს ტელეგრაფის საშუალებით ან მე-86 ბაქანიდან.

9 აგვისტოს მიღებულ იქნა ჩუ შაო-იანის ახალი დეპეშა, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ მას უჭირს წარმოადგინოს რაიმე წერილობითი წინადადება, რადგან საკმაოდ არ არის გაცნობილი იმ მოლაპარაკებასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა მისი მონაწილეობის გარეშე მელნიკოვსა და ცაის შორის, და რომ მას საჭიროდ მიაჩნია ყველა სადაო საკითხები გადაიჭრას მასთან მოსალაპარაკებლად სპეციალური რწმუნებულებით აღჭურვილი პირის გაგზავნის საშუალებით, ან მას (ჩუ შაოიანს) ნება მიეცეს ჩავიდეს მოსკოვში კარახანთან პირადად შესახვედრად.

ვინაიდან ჩუ შაო- იანის ამ პასუხს მდგომარეობაში ახალი არაფერი შეაქვს, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა თავი შეიკავოს მასზე პასუხის გაცემისაგან და დაკმაყოფილდეს იმ პასუხით, რომელიც მან უკვე გაგზავნა 8 აგვისტოს“. (ადს).

რუმინელ მემაღაროეთა ბრძოლა

მდგომარეობა ლუპენში

ვენა, 12 აგვისტო. რუმინეთის მთავრობამ გამოაქვეყნა ოფიციალური ცნობა, რომელშიაც იგი ამტკიცებს, ვითომ ლუპენში სრული სიმშვიდე დამყარდა და შაბათს მუშები სამუშაოს დაუბრუნდნენ.

სემიგრადიის გაზეთები სწერენ, რომ მეტად მკაცრი ზომების საშუალებით ხელისუფლებამ შესძლო მუშების დაბრუნება სამუშაოზე, მაგრამ „დამშვიდებული მუშაობისათვის წინასწარი პირობები არ შექმნილა“.

გაზეთების სიტყვით, მეტად დამძიმებული ატმოსფეროს გამო ყოველ წუთში მოსალოდნელია ახალი აფეთქება, მით უფრო იმიტომ, რომ დირექციამ ისარგებლა ჯარის მოყვანით და გააგრძელა სამუშაო დღე.

სოციალ-დემოკრატები აგიტაციას ეწევიან მუშაობის განახლების სასარგებლოდ; მათ ლუპენში გაგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები საქმის „გამოსაძიებლად“. ლუპენში მომხდარი ამბების გამოსაძიებლად მთავრობის მიერ დანიშნულმა საუწყებათაშორისო კომისიამ მუშაობა დაამთავრა, მაგრამ გამოძიების შედეგებს არ აქვეყნებენ.

პრემიერი მანიუ 10 აგვისტოს ჩავიდა ლუპენში, რათა ადგილობრივ პირადათ გაეცნოს მდგომარეობას (ადს).

საფრანგეთ-ამერიკა ინგლისის წინააღმდეგ

გააფთრებული ბრძოლა ჰააგაში

ბრძოლა ჰააგაში მწვავე ხასიათს იღებს

ჰააგა, 12 აგვისტო. სარეპარაციო კონფერენციაზე, პოლიტიკურ ბრძოლასთან ერთად, სწარმოებს აგრეთვე გამწვავებული ბრძოლა ფულის ბაზარზე. ამ ბრძოლამ მკაცრი ხასიათი მიიღო, როცა წამოყენებულ იქნა საერთაშორისო ანგარიშების ბანკის დაარსების გეგმა. **იმპერიალისტური სახელმწიფოები სცდილობენ გააძლიერონ თავიანთი პოზიციები მომავალ მოლაპარაკებაში ამ ბანკის შესახებ.** ბრძოლის მთავარ საშუალებას შეადგენს საკუთარი ოქროს მარაგის გადიდება მოწინააღმდეგეთა ოქროს მარაგის ხარჯზე. ამ ბრძოლაში **ინგლისი მარცხდება, ხოლო საფრანგეთი და შეერთებული შტატები დიდძალ ოქროს ყიდულობენ ინგლისში.** იანვრიდან ივლისამდე ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობის ბანკების ოქროს მარაგი გაიზარდა 347 მილიონი დოლარით, საფრანგეთის ბანკის ოქროს მარაგი—24 მილიონი დოლარით, ხოლო ინგლისის ბანკის ოქროს მარაგი ამავე პერიოდის განმავლობაში შემცირდა 60 მილიონი დოლარით. ოქროს გატანა ინგლისიდან განსაკუთრებით გაძლიერდა ივლისში, ჰააგის კონფერენციის წინ. ახალი საფრთხე ინგლისის ბანკს შეუქმნა იმან, რომ ნიუ-იორკის შტატის მთავრობის ბანკმა გაადიდა გასანაღდებელი პროცენტი, რაც, საერთო აზრის თანახმად, გამოიწვევს ოქროს გატანას ინგლისიდან, რადგან ამერიკელი ფინანსისტები ნიუ-იორკში, გასანაღდებელი პროცენტის გადიდების გამო, ფართოდ გამოიყენებენ საკრედიტო შესაძლებლობებს ლონდონში და იქიდან გაიტანენ ოქროთი მიღებულ ფულს. ამით აიხსნება ინგლისელების გალაშქრება საერთაშორისო ბანკის დიდი უფლებების წინააღმდეგ, აგრეთვე ინგლისელების ცდა—მიაღწიონ იმას, რომ ბანკი დაარსდეს ლონდონში (ადს)

შერონის პასუხი სნოუდენს

პარიზი, 12 აგვისტო ჰავასის სააგენტოს ჰააგიდან ატყობინებენ: „როგორც საფრანგეთის დელეგაც. წრეებში აღნიშნავენ, შერონმა იმიტომ არ გასცა დაუყოვნებლივ პასუხი სნოუდენის მკაცრ განცხადებაზე, რომ თარჯიმანმა, ცალკე გამოთქმათა სიმკაცრის გამო, საჭიროდ არ დაინახა თარგმანი მკაცრი ტონით გადაეცა. იმავე წრეებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ თავის სიტყვაში შერონმა ღირსეული პასუხი გასცა სნოუდენს, რომელიც დილის სხდომაზე გაკეთებულ განცხადებაში, გაკვრით შეეხო საფრანგეთის იმ დაპირების დარღვევას, რომელიც პუანკარემ ჩერჩილს მისცა და რომელიც შეეხებოდა კრედიტორ-სახელმწიფოთა კონვენციას. ეს კონვენცია დადებულ იქნა სპას კონფერენციაზე. (ადს).

მაკდონალდი მიესალმა სნოუდენს

ჰააგა, 12 აგვისტო. ინგლისის დელეგაცია ჰააგის კონფერენციაზე იუწყება, რომ სნოუდენმა დეპეშა მიიღო მაკდონალდისაგან, რომელიც მიესალმა სნოუდენის „მტკიცე პოზიციას“, აღუთქვამს მას სრულ დახმარებას და წინადადებას აძლევს—განაგრძოს „ინგლისის მოთხოვნათა გადაჭრით დაცვა“. (ადს).

სნოუდენი „სინანულს გამოსთქვამს“

ჰააგა, 12 აგვისტო. კვირას ჰააგაში „მთავარ დაინტერესებულ სახელმწიფოთა“ დელეგაციების ხელმძღვანელებს შორის კერძო მოლაპარაკება გაიმართა. მოლაპარაკება ორმაგ მიზანს ისახავდა. ერთის მხრით, უნდა შეერიგებინა სნოუდენი საფრანგეთის დელეგაციასთან, რადგან ეს უკანასკნელი შეურაცყოფილად გრძნობდა თავს სნოუდენის მკაცრი განცხადებით, რომელიც მან ფინანსიურ კომისიაში გააკეთა, მეორე მხრით, უნდა გამოენახათ გამოსავალი იმ ჩიხიდან, რომელიც შეიქმნა ინგლისისა და საფრანგეთის შეურიგებელი პოზიციების გამო. პირველი მიზანი მიღწეულ იქნა როდესაც სნოუდენმა „სინანული“ გამოსთქვა თავის განცხადებათა „შეურაცხმყოფელი ტონის გამო“. რაც შეეხება მეორე მიზანს, მოლაპარაკებას შედეგად მოჰყვა მხოლოდ ინგლისის მოთხოვნის დაკმაყოფილება იმის შესახებ, რომ ფინანსიურმა კომისიამ პირველ რიგში განიხილოს ნატურით გადახდის საკითხი. (ადს).

მოლაპარაკება ბრიანსა და შტრეზემანს შორის

ჰააგა, 12 აგვისტო. ბრიანსა და შტრეზემანს შორის გამართულ კერძო მოლაპარაკებაში განხილულ იქნა საარის ოლქის საკითხი. ორივე მხარემ შესაძლებლად სცნო, რომ საფრანგეთ-გერმანიის მომავალი მოლაპარაკება შეეხოს საარის ოლქში ამჟამად არსებული რეჟიმის შეცვლის საკითხს. ინგლისის წარმომადგენელი ამ მოლაპარაკებას უნდა დაესწროს მეთვალყურეს სახით.

შემთანხმებელი კომისიის დანიშვნის საკითხში, რის მიღწევასაც სცდილობს საფრანგეთი, როგორც რეინის ოლქის დაცლის პირობას, გერმანიის დელეგაცია განმარტოებული დარჩა. (ადს).

რეინის ოლქის დაცლის საკითხი

ჰააგა, 12 აგვისტო. როგორც კონფერენციის წრეებში ამტკიცებენ, **ჰენდერსონმა აცნობა ბრიანს, რომ ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს გაიყვანოს ინგლისის ჯარი რეინის ოლქის მეორე ზონიდან ერთა ლიგის სექტემბრის პლენარულ სხდომამდე, ხოლო მესამე ზონიდან—არა უგვიანეს მიმდინარე წლის 31 დეკემბრისა.** (ადს).

ლონდონი, 12 აგვისტო. როგორც „სენდეი ტაიმს“-ის დიპლომატიური მიმომხილველი იუწყება, ინგლისის **სამხედრო სამინისტრომ უკვე დაამუშავა რეინის ოლქიდან ინგლისის საოკუპაციო ჯარის ევაკუაციის გეგმა,** რადგანაც ინგლისის მთავრობას სურს, ოკუპაცია ახლო მომავალში შესწყდეს. (ადს).

კამათი ნატურით გადახდის შესახებ

ჰააგა, 12 აგვისტო. 12 აგვისტოს ფინანსიური კომისიის სხდომაზე გაგრძელდა კამათი ნატურით გადახდის შესახებ. დებატებში მონაწილეობა მიიღეს გერმანიის დელეგატმა კურციუსმა და იტალიის დელეგატმა პირელმა.

კურციუსმა აღნიშნა, რომ არ შეიძლება ნატურით გადახდის შემცირება ისე, თუ არ შეირყა იუნგის გეგმის საფუძვლები. გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა ამჟამად მეტად მძიმეა. გერმანიის ექსპორტი 1928 წელს 20 პროცენტით ნაკლები იყო ომის წინადროის ექსპორტთან შედარებით. კურციუსმა განაცხადა, რომ ამ წლის დასაწყისს გერმანიაში თითქმის 3 მილიონი უმუშევარი ირიცხებოდა. გერმანია მზადაა, შეძლების ფარგლებში, დაეთანხმოს ინგლისის სურვილებს. გერმანია აცხადებს, რომ ის სულ არ არის დაინტერესებული იმაში, რომ მის მიერ ნატურით შეტანილი გადასახადები კრედიტორ-სახელმწიფოებმა ახალ ბაზრებზე გაჰყიდონ, რაც აკრძალული იყო დაუესის გეგმით და რაც ნებადართულია იუნგის გეგმით.

იტალიის დელეგატი პირელიც ინგლისის მოთხოვნების წინააღმდეგ გამოვიდა, განსაკუთრებით იმ საკითხში, რომელიც შეეხება გერმანიის შესატანს ნახშირით. პირელმა განაცხადა, რომ ინგლისის ნახშირის შემოტანა იტალიაში შემცირდა არა მარტო იმიტომ, რომ იტალია ღებულობდა სარეპარაციო ნახშირს გერმანიიდან, არამედ სხვა ქვეყნების, მაგ., პოლონეთის კონკურენციის გამოც. (ადს).

ჰინდენბურგის რესპუბლიკის დღესასწაული

ვეიმარის კონსტიტუციის დღე გერმანიაში

მთლიანი ანტიკომუნისტური ფრონტით

ბერლინი, 12 აგვისტო. გერმანიის კონსტიტუციის დღემ მთელ გერმანიაში ბურჟუაზიული პარტიებისა და სოციალ-დემოკრატიის მთლიან ანტიკომუნისტური ნიშნით ჩაიარა.

მთავარი მომქმედი პირი იყო რესპუბლიკანური დროშის კავშირი, რომლის წევრთა უმრავლესობას სოციალ-დემოკრატები შეადგენენ. თვით ბურჟუაზიული გაზეთებიც კი აღნიშნავენ, რომ ბერლინის მუშათა მოსახლეობის ფართო წრეები მონაწილეობას არ იღებდნენ რესპუბლიკანური დროშის კავშირის გამოსვლაში, პირიქით, ისინი ზოგჯერ აშკარა მტრობას იჩენდნენ ამ გამოსვლების მიმართ.

იმ მიტინგზე, რომელიც ლიუსტჰარტენში გაიმართა, კომუნისტების წინააღმდეგ სასტიკად გაილაშქრა რესპუბლიკანური დროშის კავშირის მთავარმა ხელმძღვანელმა ჰერზინგმა. მან მოუწოდა მთავრობას—„ბოლო მოუღოს“ კომუნისტურ გამოსვლებს, და განაცხადა: **„თუ კომუნისტები ახლო მომავალში არ შესწყვეტენ ბრძოლას, ჩვენ ძალით ვიმოქმედებთ და გავანადგურებთ მათ“-ო.**

დამახასიათებელია ისიც, რომ რესპუბლიკანური დროშის კავშირის რაზმები ანტისაბჭოთა სიმღერებს მღეროდნენ. მშვიდობიანად ჩაიარა იმ დემონსტრაციამ, რომელიც პროვოკაციული მიზნით გაიმართა ბოლიუპლაცში, კომპარტიის შენობის წინ. კომუნისტებმა უდიდესი თავდაჭერილობა გამოიჩინეს. **მიუხედავად პოლიციის აკრძალვისა, ბერლინის სხვადასხვა რაიონში შუაღამემდე სტიქიურად ეწყობოდა მუშათა კონტრდემონსტრაციები.**

პოლიციამ დააპატიმრა კონტრდემონსტრაციის 63 მონაწილე. სამოსამართლო უწყებამ განკარგულება გასცა „როტე ფანე“-ს 11 აგვისტოს ნომრის კონფისკაციის შესახებ, მაგრამ პოლიციამ გაზეთის ეგზემპლიარების უმნიშვნელო რიცხვს უყო კონფისკაცია, დანარჩენი ეგზემპლიარები უკვე გავრცელებული იყო (ადს).

ამერიკელი ჟურნალისტები საბჭოთა კავშირის მიღწევების შესახებ

მოსკოვი, 13 აგვისტო. მოსკოვში დაბრუნდა ამერიკის სავაჭრო - სამრეწველო დელეგაცია, რომელმაც ინახულა საბჭოთა კავშირის უდიდესი რაიონები. დელეგაციის წევრებს შორის არიან ამერიკელი ჟურნალისტებიც, რომლებმაც შემდეგი განაცხადეს თავიანთი შთაბეჭდილებების შესახებ.

ოსვალდ ჰარისონ ვილიარდი — ჟურნალის რედაქტორი: „მე გულწრფელად განცვიფრებული ვარ საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებული რეკონსტრუქციის პროგრამის ბუმბერაზობით. როდესაც სხვადასხვა ქალაქში ვნახე ფაქტიური მიღწევები, ეჭვი აღარ შემდის, რომ საბჭოთა კავშირი შეასრულებს რეკონსტრუქციის პროგრამას. ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მთავრობის დამოკიდებულებამ ნაციონალურ უმცირესობებთან“.

ჯემს მილსი — „ასოშიეტედ პრეს ოფ ამერიკა“-ს სპეციალური კორესპონდენტი: —„დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს იმ პროგრესს, რომელიც მიღწეულია საბჭოთა კავშირის ყველა სამრეწველო ცენტრში, სადაც კი იყო ამერიკის დელეგაცია. მე ეს ქალაქები ვნახე ამ სამი წლის წინად და ჩემთვის ეს პროგრესი თითქმის ზღაპრულია, განსაკუთრებით თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ საბჭოთა მთავრობას არ მიუღია ფინანსიური დახმარება გარედან“.

ერნესტ ლინდლეი — „ნიუ-იორკ უორლდ“-ის სპეციალური კორესპონდენტი: „ვეჭვობ, რომ რომელიმე სხვა ხალხმა შესძლოს ენერგიის ასეთი კონცენტრაცია მშვიდობიანი მშენებლობის ამოცანების ირგვლივ, როგორიც ჩვენ საბჭოთა კავშირში დავინახეთ. მიღწეული პროგრესი სჭარბობს ჩვენს მოლოდინს. საბჭოთა კავშირის ხალხების შემოქმედებითი ენერგია ღრმა შთაბეჭდილებას სტოვებს“. (ადს).

ამერიკული ფირმის ტეხნიკური დახმარება

ხელშეკრულება ოსტინის და კომპანიის ფირმის ტეხნიკური დახმარების გამოყენების შესახებ

მოსკოვი, 13 აგვისტო. „გლავმაშსტროი“-ს კოლეგიამ დეტალურად განიხილა პროექტი ხელშეკრულებისა ამერიკის უდიდეს სამშენებლო ფირმასთან ოსტინ და კომპანიასთან ამ ფირმის ტეხნიკური დახმარების გამოყენების შესახებ ნიჟნი-ნოვგოროდის ავტომობილების ქარხნის მშენებლობაში. პრინციპიალურად ფირმის მიწვევის საკითხი უკვე დადებითად არის გადაჭრილი, მიღწეულია შეთანხმება ხელშეკრულების ძირითადი მუხლების შესახებ. ოსტინის და კომპანიის ფირმა კისრულობს აგრეთვე ქარხნის საესკიზო და საბოლოო პროექტების შედგენას. ორ დღეში საბოლოოდ გადასწყდება ფირმის გასამრჯელოს რაოდენობის საკითხი.

ავტო-ქარხნის ასაგები ადგილის დათვალიერება

ნიჟნი-ნოვგოროდი, 13 აგვისტო. აქ მოვიდა საავტომობილო ქარხნის ამგები მთავრობის კომისია. კომისიას თან მოჰყვნენ: ფორდის ქარხნების მთავარი დირექტორი სორენსენი, კომერციული დირექტორი და ლონდონისა და ბერლინის განყოფილებათა გამგეები. კომისია და ამერიკის წარმომადგენელნი იყვნენ ბალახანში და სორმოვოში, შემდეგ გაემგზავრნენ მონასტირკაში იმ ადგილის დასათვალიერებლად, რომელიც არჩეულმა ავტოქარხნის ასაგებად. სორენსენმა განაცხადა, რომ ადგილი მონასტირკაში სავსებით გამოსადეგია მასზე ავტოქარხნის ასაგებად. (ადს).

ინგლისის ფეიქრები უარს ამბობენ მრეწველებთან შეთანხმებაზე

გალაშქრება მუშათა წინააღმდეგ

ლონდონი, 12 აგვისტო. მუშათა პარტიის ორგანოს „დეილი ჰერალდ“-ის გადმოცემით, ბამბის ქსოვილთა მრეწველების თათბირზე მაკდონალდი მოუწოდებდა დამქირავებელთ — „მუშების მიმართ უფრო შემარიგებელი პოზიცია დაიჭირონ“ და დაჟინებით მოითხოვდა „ხელფასის შემცირებას საკითხის“ გადაცემას სამედიატორო სასამართლოსთვის. როგორც ვიცით, მრთველთა, მჩეჩავთა და ფეიქართა პროფკავშირების ხელმძღვანელებმა უკვე განაცხადეს თანხმობა ასეთ არბიტრაჟზე, მაგრამ მუშები მეტად უკმაყოფილონი არიან ამით და ყველგან გადაჭრილ პროტესტს აცხადებენ. ჯანმრთელობის მინისტრმა რინუდმა ცირკულიარი გაუგზავნა ღარიბთა ადგილობრივ სამზრუნველოებს. ცირკულიარში აღნიშნულია, რომ კანონმდებლობით განსაზღვრულია სამზრუნველოების უფლებანი: მათ უფლება არა აქვთ ფულით დახმარება გაუწიონ „იმ პირებს, რომელთაც შრომის უნარი აქვთ და სამუშაოს მიღება შეუძლიანთ“. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ცირკულიარით აკრძალულია ფულით დახმარება იმ ღარიბ მუშებისთვის, რომელთაც ლოკაუტი შეეხოთ, უმუშევრებს კი, ინგლისში შემოღებული პრაქტიკის მიხედვით, როგორც იმ მუშებსაც, რომელთაც ლოკაუტი შეეხო, ფულით დახმარება არ ეძლევათ. (ადს).

მოწოდება მტკიცე წინააღმდეგობის გაწევის შესახებ

ლონდონი, 12 აგვისტო. ინგლისის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ლანკაშირის ბამბის საქსოვი მრეწველობის მუშებს — მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიონ იმის ცდებს, რომ მათი ხელფასი შემცირებულ იქნას არბიტრაჟის საშუალებით. მოწოდება ურჩევს მუშებს, შეჰქმნან ლოკაუტთან საბრძოლველად კომიტეტები უბრალო მუშებისაგან. ამ კომიტეტებმა უნდა აწარმოონ ბრძოლა კომპარტიის ხელმძღვანელობით. მოწოდებამ წამოაყენა შემდეგი ლოზუნგები: „ძირს მუშათა მთავრობა და რაციონალიზაცია“, „იბრძოლეთ მუშათა რევოლუციონური მთავრობისათვის“. (ადს).

პოლონეთის მშრომელთა დელეგაცია საბჭოთა კავშირში

დელეგაცია ეცნობა საბჭოთა კავშირის ცხოვრებას

მოსკოვი, 13 აგვისტო. პოლონეთის, დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის მუშათა და გლეხთა დელეგაციის სამი ჯგუფი გაემგზავრა მოსკოვიდან საბჭოთა კავშირის ცხოვრებასთან გასაცნობად.

პირველი ჯგუფი, რომელშიაც შედიან დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. მაცი, ლანცუცკი და სხვები, გაემგზავრა შემდეგი მარშრუტით: ხარკოვი - დონის როსტოვი-კავკავი-თბილისი-ბაქო.

მეორე ჯგუფი ინახულებს ხარკოვს, დონეცის ბასეინს, დნეპროპეტროვსკს და სევასტოპოლს.

მესამე ჯგუფი გაემგზავრება ორეხოვო-ზუევოში, ივანოვო - ვოზნესენსკში, ნიჟნი-ნოვგოროდში და სტალინგრადში. (ადს).

დელეგაციის გულთბილი მიღება

მოსკოვი, 13 აგვისტო. 10 აგვისტოს ფაბრიკების და ქარხნების დათვალიერების შემდეგ პოლონეთის, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მუშათა და გლეხთა დელეგაცია წავიდა ბიკოვის დასასვენებელ სახლში. დასასვენებელ სახლში მყოფი მუშები მეტად გულთბილად შეხვდნენ დელეგატებს. დილით დასასვენებელ სახლთან თავი მოიყარეს გლეხებმა, ახლო მდებარე პოლონური საკონცესიო ქარხნის მუშებმა და დასასვენებელ სახლში მყოფმა მუშებმა.

სიტყვები წარმოსთქვეს: ამხ. ლანცუცკიმ, დელეგაციის თავმჯდომარემ ოტო მაცმა და დელეგატმა ქალმა — პოლონელმა ფეიქარმა. ამ უკანასკნელის სიტყვის დამთავრებისას ბევრი გლეხი ქალი ცრემლებს იწმენდა. შემდეგ დელეგაციის ნაწილი ამხ. ლანცუცკის მეთაურობით წავიდა შელკოვის საფეიქრო ფაბრიკის მუშებთან. მუშები დროშებითა და ლოზუნგებით შეეგებნენ დელეგაციას. დელეგაციამ დაათვალიერა ქარხანა. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ახლად აგებულ კორპუსებს. მიტინგის შემდეგ დელეგატებმა მონაწილეობა მიიღეს ქარხნის საერთო საწარმოო კონფერენციაში. შელკოვიდან დელეგატები გაემგზავრნენ მოსკოვში კულტურისა და დასვენების პარკში გამართულ მიტინგზე დასასწრებლად. აქ დელეგატებს მხურვალედ მიესალმნენ; მთელი რიგი გადაწყვეტილებების შემდეგ მიტინგმა ერთ ხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია:

„ვთხოვთ დელეგაციას, გადასცეს ჩვენი მხურვალე სალამი ბელორუსიას. გადაეცით ბელორუსიის მშრომელთ, რომ ჩვენ ყოველთვის მათთან ვართ რევოლუციონურ ბრძოლაში ფაშიზმის წინააღმდეგ. საჭირო მომენტში ჩვენ მათ დახმარების ხელს გავუწვდით“. (ადს).

საუბარი დელეგაციის მდივან ამხ. ლანცუცკისთან

მოსკოვი, 13 აგვისტო. ამხ. ლანცუცკი ცოტა შეუძლოდ გახდა და ველარ შესძლო დელეგაციასთან გამგზავრება. იგი შეუერთდება დელეგაციას რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც სავსებით გამომრთელდება. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირში მიღებული შთაბეჭდილებების შესახებ მან განაცხადა: „უდიდესი განსხვავება საბჭოთა საწარმოებსა და კაპიტალისტურ საწარმოებს შორის გასაგები ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას საკუთარი თვალით ხედავ. ჩვენ ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდით, რომ ქარხნის დირექტორად შეიძლება იყოს მუშა, რომელმაც 20 წლის განმავლობაში იმუშავა იმავე ქარხანაში ზეინკლად, როგორც „კრასნი ბოგატირ“-ში ვიხილეთ. რუსეთის მუშებმა მეტად გულთბილად მიგვიღეს. ეს საუკეთესოდ ამტკიცებს, რომ საერთაშორისო კლასობრივი სოლიდარობა ლამაზი ფრაზა კი არ არის, არამედ ღრმად მოფიქრებული და განმტკიცებული გრძნობა“. (ადს).

საუბარი პოლონეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის ცენტრალური კომიტეტის წევრთან ბემთან

მოსკოვი, 13 აგვისტო. „მე ცოტა რამეს ნახვა მოვასწარი, მაგრამ იმან, რაც ვნახე, პირდაპირ გამაოცა. საკუთარი თვალით ვნახე ის, რისთვისაც იბრძვიან მთელი მსოფლიოს პროლეტარები და დაჩაგრული ხალხები, რისთვისაც იტანჯება პოლონეთის საპყრობილეებში 6.000 პოლიტიკური პატიმარი. განსაკუთრებით განმაცვიფრა თქვენი ქვეყნის სტიქიურმა მასიურმა მშენებლობამ“. (ადს).

„ინდოეთი ხუნდებში“

ლონდონი, 12 აგვისტო. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ინდური ჟურნალის „რამანანდრა“-ს რედაქტორი ჩატერჯი და იმავე ჟურნალის გამომცემელი საიანიკატა დასე ადმინისტრატიული წესით დააჯარიმეს თვითეული 1.000 რუპის რაოდენობით. დაჯარიმებულებს ჰბრალდებოდათ მონაწილეობა ამერიკელ სუტერლანდის მიერ დაწერილი წიგნის „ინდოეთი ხუნდებში“-ს გამოქვეყნებაში. (ადს).

სხვადასხვა

● **მექაში ხელი მოაწერეს სამეგობრო ხელშეკრულებას თურქეთსა და ჰეჯასის მთავრობას შორის.**

● **დამთავრდა მონღოლეთის სამხედრო დღესასწაული**, რომელმაც გააერთიანა მშრომელთა მთელი რიგი ძალები მონღოლეთის რევოლუციონური რესპუბლიკის დასაცავად. პარტიულმა, სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მიიღეს მონღოლეთის წითელი არმიის ცალკე ნაწილების შეფობა. (ადს).

● **გაიფიცნენ ნანტის (საფრანგეთი) ტრამვაის მუშები და მოსამსახურენი.** გაფიცვის მიზეზია ის, რომ დამქირავებლებმა უარი განაცხადეს დაეკმაყოფილებიათ მუშებისა და მოსამსახურეების მოთხოვნილება ხელფასის გადიდების შესახებ. (ადს).

● **ამერიკის პრესა თვალსაჩინო ადგილზე ბეჭდავს ცნობებს აეროპლანის „საბჭოთა ქვეყნის“ გადაფრენის შესახებ და ათავსებს აეროპლანისა და მფრინავების სურათებს.**

● **კოვნოს სამხედრო სასამართლომ** სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა პლეჩკაიტისის მომხრე—პაშკევიჩუსს.

● **„ლიუმანიტე“ განაგრძობს ცნობების ბეჭდვას 1 აგვისტოს მანიფესტაციების შესახებ პროვინციაში.** შარტრში მოხდა გაფიცვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ყველა ლითონის საწარმომ. პოლიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, ქალაქის ქუჩებში მოხდა მანიფესტაცია, ტაძრის სახურავზე გამოკიდებულ იქნა წითელი დროშა. ვალანსიენში 1 აგვისტოს გაიმართა დიდი მანიფესტაცია, გაიფიცა მემაღაროეთა 75 პროცენტი ქარხნიდან გამოსვლის დროს გაიმართა მანიფესტაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ათას-ხუთასმა კაცმა. მოხდა შეტაკება პოლიციასთან. აფიცრებმა უბრძანეს ჯარისკაცებს — თოფების დამიზნება, ჯარისკაცებმა ბრძანება შეასრულეს, მაგრამ მაშინვე ძირს დაუშვეს თოფები (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ხაბიბულას მდგომარეობა ისევ გართულდა

მოსკოვი, 14 აგვისტო. ლონდონიდან მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ ხაზარასის ტომი თავს დაესხა ქაბულის ჯარებს და დაიჭირა პროვინცია თალრეზი. ამის გამო ხაბიბულას მდგომარეობა აღმოსავლეთ ავღანისტანის პროვინციებში ისევ გართულდა. ამასთანავე ძლიერდება შეტევა ქაბულის მიმართულებით სამხრეთიდან. მთელი რიგი ტომები მტრულად არიან განწყობილი ხაბიბულას მიმართ. ნადირხანი და ხაზიმხანი ემზადებიან ახალი შეტევის დასაწყებად ხაბიბულას წინააღმდეგ.

მაკდონალდი ფაბრიკანტებს არ აწუხებს

მოსკოვი, 14 აგვისტო. როგორც ლონდონიდან იტყობინებიან, მაკდონალდმა დაიწყო მოლაპარაკება ლანკაშირის ფაბრიკანტებთან. მაკდონალდი სთხოვს ლანკაშირის ფაბრიკანტებს, რომ ისინი დასთანხმდნენ საკითხის გადაცემაზე მთავრობის ორგანოებისათვის. ამასთანავე **მაკდონალდი წინასწარ შეჰპირდა ფაბრიკანტებს, რომ მთავრობა ხელფასის შემოკლების მომხრე იქნება.** პროფკავშირების ბელადები დასთანხმდნენ ასეთ წინადადებაზე. გაფიცულთა შორის მუშათა პარტიის ამ მორიგ მოღალატეობამ დიდი აღშფოთება გამოიწვია.

ფორდის წარმომადგენლების წინადადება

მოსკოვი, 14 აგვისტო. ფორდის წარმომადგენლებმა ინახულეს ის ადგილი, სადაც განზრახულია დიდი ავტოქარხნის აგება. მათი აზრით ადგილი მეტად მოხერხებულად არის შერჩეული. ფორდის წარმომადგენლებს წინადადება შემოაქვთ, რომ ახალი ავტოქარხანა აგებულ იქნას ამერიკულ სისტემაზე, რომლის თანახმად ქარხანაში მოწყობილი იქნება 14 ამწყობი სახელოსნო.

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი მოსკოვში

მოსკოვი, 14 აგვისტო. ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე დიდი წარმატებით მიმდინარეობს. მრავალ ადგილას მუშები კოლექტიურად აწერენ ხელს სესხზე 1 ნახევარ და 2 თვის საშუალო ხელფასის რაოდენობით. დღემდე თვით მოსკოვში სესხზე ხელის მოწერა შეკრებილია **28 მილიონის**, ხოლო მთელ მოსკოვის ოლქში **40 მილიონი** მანეთის რაოდენობით.

მოვსპოთ ნიადაგი აზერბეიჯანის მაგალითის განმეორებისათვის

უფრო მეტად გავაძლიეროთ მუშათა მასების მონაწილეობა პარტიულ და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში

ულმობელი ბოლშევიკური თვითკრიტიკით აღმოვფხვრათ ჩვენი მუშაობის ნაკლოვანებები

აზერბეიჯანის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობის შეცდომები გაკვეთილად გამოვიყენოთ შემდგომი მუშაობის უკეთ დასაყენებლად.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის მიმართვა

ა.-კ. კომუნისტურ ორგანიზაციებს

ამხანაგებო! იმ ამბებს, რომლებსაც ამ უკანასკნელ დროს ადგილი ჰქონდა ჩვენი პარტიის ბაქოს ორგანიზაციაში და რომლებმაც ორგანიზაციის ხელმძღვანელი ფენის შეცვლა გამოიწვიეს, არ შეიძლება უდიდესი ყურადღება არ მიაპყროს მთელმა პარტიამ, პირველ რიგში მისმა ამიერ-კავკასიის რაზმმა.

ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციის ყოველი წევრი უნდა ჩაუფიქრდეს ბაქოს გაკვეთილებს, უაღრესად გულდასმით უნდა შეისწავლოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მოხსენების გამო მიღებული დადგენილება.

როგორ მოხდა, რომ ბაქოს,—ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციის ამ მძლავრი დასაყრდენის, ამიერ-კავკასიის ფედერაციის ინიციატორისა და ორგანიზატორის, ბაქოს, რომელმაც საბჭ. კავშირის და მსოფლიო მუშათა მოძრაობას მისცა მთელი რიგი უდიდესი მუშაკები და ბელადები,—ბაქოს ხელმძღვანელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებლად აღმოჩნდა და ჩამორჩა ჯანსაღი, მძლავრი პროლეტარული ორგანიზაციის მოთხოვნილებებს? როგორ მოხდა, რომ იგი გადაიქცა შემფერხებლად ნამდვილი პროლეტარული დემოკრატიის—თვითკრიტიკისა და დაწინაურების — გაშლის საქმეში?

ამ უკანასკნელ წლებში ჩვენმა ქვეყანამ ფეხი შედგა რეკონსტრუქციის პერიოდში. ქალაქისა და სოფლის კულაკურ-კაპიტალისტური ელემენტების გაძლიერებული განდევნის ამოცანები, ამოცანები სოციალიზმის მშენებლობის ტემპის გაძლიერებისა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საფუძველზე, ხუთწლიანი გეგმის განხორციელების, კულტურული რევოლიუციის, პარტიისა და მუშათა კლასის შიგნით მერყეობისა და ქანაობის დაძლევის ამოცანები მოითხოვენ პარტიული მუშაობის სისტემისა და მეთოდების ძირფესვიან გარდაქმნას, საბჭოთა, სამეურ., კოოპერატიული და სხვ. მუშაობის მიმართ ხელმძღვანელობის გარდაქმნას. მუშათა და გლეხთა უფართოესი მასების აქტივობის გაღვივება სოციალისტური მშენებლობის საკითხების ირგვლივ მუშათა და შინაპარტიული დემოკრატიისა და თვითკრიტიკის მძლავრად გაშლის საფუძველზე, წარმოების მუშათა, მოჯამაგირეთა, ღარიბ გლეხთა და მათთან ახლო მდგომ, მუშაობაში შემოწმებულ საშუალო გლეხთა სულ ახალი და ახალი კადრების უფრო გაბედულად დაწინაურება საპასუხისმგებლო პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა სამუშაოზე, მუშურ-გლეხური მასების საწარმოო და კულტურული ლაშქრობის გამართვა, მასების სოციალისტური შეჯიბრების მოწყობა,—ასეთია რეკონსტრუქციის პერიოდის მიერ წამოყენებული ახალი უდიდესი ამოცანები. ხელმძღვანელობა, რომელიც საკმაოდ ვერ აართმევს თავს ამ ამოცანებს, აუცილებლად უძლური უნდა გახდეს.

აზერბეიჯანის კომპარტიის ხელმძღვანელობა ვერ აღმოჩნდა ამ ამოცანების სიმაღლეზე, მან ვერ შესძლო დროზე და სათანადოდ გარდაექმნა თავისი მუშაობა. პირიქით, იგი ნაწილობრივ გადაიქცა ამ ამოცანების გაშლის შემფერხებლად. პარტიული და ფართო პროლეტარული მასების უდიდესი აქტივობის დროს ბაქოში ადგილი ჰქონდა შინაპარტიული დემოკრატიის ჩახშობას. ხელმძღვანელი კადრი აღმოჩნდა თვითკრიტიკის—პარტიის, კლასის, მასების ნამდვილი აღზრდის ამ უაღრესად აუცილებელი იარაღის—ზეგავლენის გარეშე. ასეთი მდგომარეობა, რომელიც წარმოადგენდა ხელმძღვანელთა კარჩაკეტილი წრის ერთგვარი ოჯახური ურთიერთობის შედეგს, თავის მხრივ აძლიერებდა ურთიერთის გამოსარჩლებს ელემენტებს ხელმძღვანელობის ზედა ფენაშიაც. ხელმძღვანელობა სათანადო წინააღმდეგობას არ უწევდა, ხოლო ზოგჯერ პირდაპირ აფუჩეჩებდა და ფარავდა იმ ჯანსაღ მოვლენებს, რასაც ადგილი ჰქონდა ხელმძღვანელი ზედაფენის ცალკე ერთეულებში და რაც აქა-იქ პირდაპირ გახრწნად და გადაგვარებად გადაიქცა (გორობჩენკო—მოროზის, ვირიპაევის და სხვათა საქმე). ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის იმ გადაწყვეტილების საპასუხოდ, რომელიც მიუთითებდა ბაქოს კომიტეტს შეცდომებზე და მოითხოვდა ამ შეცდომების გამოსწორებას, ბაქოს ყოფილმა ხელმძღვანელობამ მოაწყო წინააღმდეგობა, რომელიც გადაიტანა ბრძოლად ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის წინააღმდეგ. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შემდეგაც კი ბაქოს ორგანიზაციის ხელმძღვანელ მუშაკთა ნაწილი განაგრძობდა ამ ბრძოლას და ეშვებოდა დანაშაულებრივ, ანტიპარტიულ პოზიციაზე.

ხელმძღვანელობამ, რომელიც არ მეთაურობდა თვითკრიტიკას და კიდევაც ახშობდა მას, ამით დაჰკარგა კავშირი მასებთან და ვერ შესძლო მოეგვარებია მუშების გაბედულად დაწინაურება, ხელმძღვანელი კადრების განახლება ქვედა ფენებიდან. ამის მეოხებით, მუშათა ფენა საბჭოთა ორგანოებში აღმოჩნდა მეტად უმნიშვნელო. ხოლო აქა-იქ ასეთი ფენა სრულებით არ იყო.

ბაქოს პროლეტარიატის გავლენა სოფელზე, აზერბეიჯანის სოფლის მიმართ პროლეტარული ხელმძღვანელობა სრულებით არ იდგა სათანადო სიმაღლეზე და თვალსაჩინოდ ჩამორჩებოდა იმ შესაძლებლობას, რომელიც არსებობდა, დასასრულ, არ იყო სისწორით მოწესრიგებული ბაქოს ორგანიზაციის ზრდა. ორგანიზაციის ზრდის საქმეში უდიდეს წარმატებასთან, არ სწარმოებდა მისი რიგების ხარისხობრივი შერჩევა, ხარისხობრივი განმტკიცება. ყველაფერი ეს იწვევდა პარტიაში მიღებული მუშების ჩამოშორებას და ორგანიზაციის ზედმეტად დატვირთვას ნედლი, პარტიულად გადაუმუშავებელი ელემენტებით.

იმას, რომ ბაქოს ორგანიზაციის ხელმძღვანელობა დამაკმაყოფილებელი არ იყო, არ შეეძლო არ გამოეწვია მთელი რიგი დიდი დეფექტები სამეურნეო, საბჭოთა, პროფესიონალურ და სხვა მუშაობაში. უთაოდარიგობა, რომელიც ზოგგან მავნებლობის ხასიათს ატარებდა, საბჭოთა ორგანოებში უცხო ელემენტების თავის მოყრა, ბიუროკრატიზმი, მოწყვეტა მასებს და აპოლიტიურობა პროფესიონალური ორგანიზაციებისა, ზოგან კლასობრივი ხაზის გამრუდება სამეურნეო და ნაციონალურ საკითხებში,—ყველაფერ ამას ადგილი ჰქონდა აზერბეიჯანში, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ ამ რესპუბლიკას თვალსაჩინო მიღწევები აქვს როგორც სამეურნეო, ისე კულტურულ სფეროში.

საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-მა, აღნიშნა რა აზერბეიჯანის ორგანიზაციის დამაკმაყოფილებელი მუშაობა საერთოდ, აღნიშნა რა მთელი რიგი თვალსაჩინო მიღწევები, სცნო, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა არ იყო დამაკმაყოფილებელი. ამასთან ერთად ც. კ.-მა წინადადება მისცა ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტს: „შემდგომში ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტმა უზრუნველჰყოს ნამდვილი ხელმძღვანელობა კომპარტიების (აზერბეიჯანის, სომხეთის, საქართველოს) ცენტრალური კომიტეტების მიმართ“.

საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ის გადაწყვეტილებანი ამ.-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს უსახავენ მთელ რიგ დიდსა და მნიშვნელოვან ამოცანებს. ბაქოს გაკვეთილების გათვალისწინებით, ფართოდ გაიშალოს, პიროვნებების გაურჩევლად, მუშათა დემოკრატია და თვითკრიტიკა, სოციალისტურ მშენებლობაში ჩაბმულ იქნენ უფართოესი მასები, ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებულ იქნან მუშები, მოჯამაგირეები და ღარიბი გლეხები, განახლებულ იქნას კადრი ქვევიდან, თანაც დაუნდობელი ბრძოლა გაეწიოს საბჭოთა აპარატის ბიუროკრატიზმს, გაუმჯობესდეს მისი მუშაობის ხარისხი, აღმოიფხვრას ოჯახური ურთიერთობის და ერთმანეთის დაცვის პრაქტიკა, უზრუნველყოფილ იქნას ნამდვილი, პროლეტარული ხელმძღვანელობა სოფლის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მიმართ, დაუნდობელი ბრძოლა გაეწიოს კულაკს, მოჯამაგირესა და ღარიბზე დაყრდნობით, საშუალო გლეხთან კავშირის განმტკიცებით, უზრუნველყოფილ იქნას ამ.-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების მტკიცე და შეუწყვეტელი ზრდა, უმთავრესად საუკეთესო აქტივის—მუშების ხარჯზე, შეუწყვეტლად სწარმოებდეს მუშაობა პარტიის წევრების კულტურული დონისა და პოლიტიკური შეგნების ასაწევად, რისთვისაც პარტიის ყოველი წევრი ჩაბმულ იქნა აქტიურ პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში.

დაუნდობელი ბრძოლა უნდა გაეწიოს პარტიული ხაზის უმნიშვნელო გამრუდებასაც კი, საბჭოთა სამეურნეო, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და კულტურულ მშენებლობაში, რისთვისაც საჭიროა ფართო მასების ამხედრება და ჩაბმა ამ ბრძოლაში. დაძლეულ იქნას ყოველგვარი გადახრა პარტიის ხაზიდან, უწყალო ბრძოლა გაეწიოს ლიკვიდატორობას და ურწმუნოებას, დაუნდობელი ბრძოლა გაეწიოს ტროცკიზმის ნაშთებს, განსაკუთრებით აშკარა მემარჯვენე გადახრას და მასთან შემარიგებლობას, ამასთან მიღებულ იქნას წინასწარი ზომები და სისტემატიურად იდევნებოდეს მემარჯვენე გადახრის ყოველი გამოაშკარავება პროლეტარული დიქტატურის ყველა ორგანოს ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში.

ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის ხუთწლიანი გეგმის საფუძველზე მოეწყოს გაძლიერებული შეტევა ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, დაუნდობელი ბრძოლა გაეწიოს კონტრ-რევოლიუციონური პარტიის—მენშევიკების, დაშნაკების, მუსავატელების, იტიხატისტებისა და სხვათა ნამსხვრევებს.

ყოველი ღონისძიებით განმტკიცებულ იქნას ამიერ-კავკასიის ფედერაცია, მოხდეს მასების აქტივობის მობილიზაცია იმ ბრძოლის ირგვლივ, რომელიც სწარმოებს ნაციონალიზმის ყოველგვარ გამოხატულებასთან, თვით უმცირეს ცდასთან, რომ ერთი რესპუბლიკა დაუპირისპირონ მეორეს, იმ ბრძოლის ირგვლივ, რომელიც სწარმოებს მასების ალსაზრდელად მებრძოლი პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მიმართულებით.

ასეთია ის ამოცანები, რომლებიც დგანან ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციების წინაშე.

ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი მტკიცე რწმენას გამოსთქვამს, რომ ამიერ-კავკასიის პარტიული ორგანიზაციები, ხოლო მათი აქტიური ხელის შეწყობით თვით ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი, შემჭიდროვდებიან საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ.-ის გადაწყვეტილებათა ირგვლივ და შეასრულებენ ამ ამოცანებს.

ბაქოს ძველი ხელმძღვანელობის შეცდომები გამოსწორებული იქნება. მასების არაჩვეულებრივი შემოქმედებითი აღფრთოვანება და მათი დიდი პოლიტიკური აქტიობა, აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) განახლებული ხელმძღვანელი ორგანოების სწორი ხელმძღვანელობით, დაკავშირებული იქნება მშენებლობის დიად ამოცანებთან ქალაქსა და სოფელში. ბაქოს ორგანიზაცია კვლავინდებურად მოწინავე და გზის მაჩვენებელი ორგანიზაცია იქნება ამიერ-კავკასიაში, იგი იქნება მძლავრი დასაყრდენი ამიერ-კავკასიის სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციისა—ამიერ-კავკასიის ხალხთა არა მარტო ნაციონალური მშვიდობიანობისა და ძმური კავშირის, არამედ ამიერ-კავკასიის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ამ შეუდარებელი იარაღისა.

საკავშირო კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი.

თბილისის პარტაქტივი აზერბეიჯანის პარტორგანიზაციის შესახებ

გუშინ, 13 აგვისტოს საღამოს 6 საათზე, მუშათა ცენტრალურ კლუბის დარბაზში შესდგა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის პარტაქტივის კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით ბაქოს და აზერბეიჯანის ორგანიზაციის მდგომარეობის შესახებ გამოვიდა ამხ. მამია ორახელაშვილი.

მომხსენებელმა გააშუქა აზერბეიჯანისა და ბაქოს ორგანიზაციაში უკანასკნელად შექმნილი მდგომარეობა, შეჩერდა შეცდომებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების საქმიანობაში და განუმარტა კრებას, ის ღონისძიებები, რომლებიც მიღებულ იქნა, როგორც მაღლა მდგომ პარტიულ ორგანოებს, ისე თვით აზერბეიჯანისა და ბაქოს ორგანიზაციების მიერ დაშვებულ შეცდომათა აღმოსაფხვრელად.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს დამსწრე ამხანაგებმა. ორატორები დროულად და მიზანშეწონილად სცნობენ იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიღებულ იქნა ხელმძღვანელ ორგანოების მიერ აზერბეიჯანისა და ბაქოს ორგანიზაციების გაჯანსაღების მიზნით. კამათში აღინიშნა, რომ თვითკრიტიკა, რომელიც მუშათა ფართო ფენებს მოედო, უფრო მეტი ენერგიით უნდა იქნას გატარებული მომავლისათვის. მეტი ყურადღება მიექცეს აგრეთვე სოფლის ძირითად ორგანოების ხელმძღვანელ კადრების შერჩევას, და, საზოგადოთ ძირითად აპარატის გაჯანსაღებას. მიუხედავად იმისა, რომ მუშათა დაწინაურების საქმეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მას ბევრგან სათანადო ყურადღება არ ექცევა. ამჟამად მიმდინარეობს საბჭოთა აპარატის წმენდა. საბჭოთა აპარატისათვის უვარგის ელემენტების ნაცვლად მეტი რაოდენობით უნდა იქნან წამოყენებული დაზგის მუშები. აღინიშნა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ საჭირო პასუხისმგებელ მუშაკების გადაყვანა ძირითად სამუშაოზე.

ამხ. ორახელაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ, აქტივმა ერთხმად მიიღო შემდეგი

რეზოლუცია

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო ორგანიზაციის პარტიული აქტივის საერთო-საქალაქო კრება,—რომელმაც მოისმინა ამხ; მამია ორახელაშვილის მოხსენება აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მოხსენების გამო საკავშირო კომპარტიის (ბ) ც.კ.-ის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა შესახებ, ესალმება ამ გადაწყვეტილებებს და სავსებით და მთლიანად უერთდება მათ.

აქტივი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-მა აზერბეიჯანის და ბაქოს ხელმძღვანელობის უხეში შეცდომები დროულად და გადაჭრით გამოასწორა, როგორც აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ხელმძღვანელი ორგანოების შეცვლის და განახლების გზით, ისე ძირითადი დირექტივების მიცემით, აზერბეიჯანის კომპარტიის შემდგომი მუშაობისათვის.

აქტივის კრება აღნიშნავს, რომ უდიდეს პოლიტიკურ და სამეურნეო მიღწევებთან ერთად, რომლებსაც ადგილი ჰქონდა აზერბეიჯანში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში, აზერბეიჯანის კომპარტიის ძველმა ხელმძღვანელობამ, მუშათა მასების აქტივობის ზრდისაგან საგრძნობლად ჩამორჩენის გამო, ვერ შესძლო უზრუნველეყო ორგანიზაციაში საჭირო პირობები ბოლშევიკური თვითკრიტიკის და ნამდვილი პროლეტარულ დემოკრატიის გაშლისათვის. ვერ შესძლო მუშათა ახალი კადრების დაწინაურება და აღზრდა, მუშათა ფართო მასების მობილიზაცია, სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის ამოცანების ირგვლივ კონკრეტულ დეფექტებთან საბრძოლველად.

გორობჩენკოს და მოროზის საქმე, სადგურის გადაღმა რაიონის მუშაკთა (მიხაილოვი და კომპ.) საქმე, ლენინის რაიონის პასუხისმგებელ პარტმუშაკების საქმე, საფაბრიკო-საქარხნო სარაიონო საბჭოს საქმე და სხ., არ წარმოადგენენ შემთხვევით ფაქტებს, ისინი ახასიათებენ ურთიერთის გამოსარჩლების და ერთმანეთის ძმა-ბიჭურად დაცვის მთელ სისტემას აზერბეიჯანის კომპარტიის ყოფილ ხელმძღვანელობაში.

აქტივი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ის დადგენილება, აზერბეიჯანის ც. კ-ის მოხსენების გამო, აზერბეიჯანის და ბაქოს ყოფილი ხელმძღვანელობის შეცდომებისა და პარტიული ორგანიზაციის წარსული გამოცდილების გათვალისწინების ნიადაგზე, სახავს სავსებით სწორ გზებს პარტიის კლასობრივი ხაზის დამახინჯების ფაქტების ასაცილებლად პრაქტიკულ მუშაობაში, მუშათა კლასისა და გლეხობისათვის ხელმძღვანელობის განსამტკიცებლად, სოციალისტურ მშენებლობაში მათი მასიურად ჩაბმის საქმეში.

აქტივი სცნობს, რომ თვითკრიტიკის შეზღუდვის პრაქტიკამ (არტაკის საქმე), ურთიერთის გამოსარჩლებამ, ერთმანეთის ძმაბიჭურად დაცვამ, გახრწნის ელემენტებთან გადამჭრელი ბრძოლის მნიშვნელობის ჯეროვნად შეუფასებლობამ გამოიწვია აზერბეიჯანის კომპარტიის ყოფილი ხელმძღვანელობის კრიზისი, მწვავედ დასვა მისი შეცვლისა და განახლების საკითხი, რაც განხორციელებულ იქნა ჩვენი პარტიის შტაბის—საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ის ლენინური სიფხიზლის და ბოლშევიკური სიმტკიცის მეოხებით.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ის დადგენილება, რომელიც საკმაო სისრულით იქნა მოწონებული ამიერ-კავკასიის—კომუნისტური ორგანიზაციების მოწინავე რაზმის—ბაქოს ორგანიზაციის მიერ, გულდასმით უნდა შეისწავლოს ამიერ-კავკასიის ყველა ორგანიზაციამ, რათა ამის მეოხებით აცილებულ იქნას აზერბეიჯანის კომპარტიის ყოფილი ხელმძღვანელობის შეცდომათა განმეორება.

აქტივი ავალებს საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმს —დაამუშავოს მთელი რიგი ღონისძიებანი საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მიერ აზერბეიჯანის კომპარტიის შესახებ მიღებული დადგენილების ფართო ახსნა-განმარტებისათვის ორგანიზაციაში, აგრეთვე ის ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან თბილისის ორგანიზაციის მუშაობასთან, როგორიც, მაგალითად, ბოლშევიკური თვითკრიტიკის—„პიროვნებათა მიუხედავად“, და პროლეტარული დემოკრატიის შემდგომი განვითარება, უფრო ფხიზლად და ყურადღებით მოპყრობა მუშათა მასების მოთხოვნილებებისადმი, დაუნდობელი ბრძოლა საბჭოთა აპარატის ბიუროკრატიზმთან, მუშათა ახალი კადრების დაწინაურება ხელმძღვანელ სამუშაოზე, მასების ჩაბმა წარმოების რეკონსტრუქციის საქმის ნამდვილ ხელმძღვანელობაში, მასების ჩაბმა ამ რეკონსტრუქციის გატარების მთელ პრაქტიკულ მუშაობაში (სოციალისტური შეჯიბრება, საწარმოვო თათბირები, მუშათა გამომგონებლობა და სხვ.), საკმაო ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა პარტიის მკაფიო კლასობრივი ხაზის გასატარებლად სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის, სოფლად პროლეტარული გავლენის განმტკიცების საქმეში. უნდა უზრუნველყოფილ იქნას როგორც პარტიული, ისე უპარტიო მუშათა და გლეხთა მასების პოლიტიკური და კულტურული დონის აწევა პარტორგანიზაციის შემდგომი ზრდა იმ მოწინავე მუშების მიღებით, რომლებსაც გავლილი აქვთ საზოგადოებრივი მუშაობის სკოლა, მათი განმტკიცება პარტიაში ლენინური აღზრდის ნიადაგზე, შეუსუსტებელი და სისტემატიური ბრძოლა პარტიის გენერალური ხაზიდან გადახრების, განსაკუთრებით მემარჯვენე გადახრის და მასთან შემარიგებლობის წინააღმდეგ, მემარჯვენე გადახრის ანტილენინური რაზმის დაუნდობლად გამოაშკარავება, გადამჭრელი ბრძოლა მემარჯვენე გადახრის კონკრეტულ მატარებლებთან პარტიული, საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების პრაქტიკულ მუშაობაში, ასეთივე შეუსუსტებელი ბრძოლის განგრძობა ყველა სახის ნაციონალიზმის და შოვინიზმის წინააღმდეგ, ანტისაბჭოთა ორგანიზაციების და ჯგუფების (მენშევიკები, ტროცკისტები და სხვ.) წინააღმდეგ.

აქტივი დარწმუნებულია, რომ ამიერ-კავკასიის კომუნისტური ორგანიზაციები, ნაციონალური კომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მიმართ ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობის ნამდვილი განმტკიცების ნიადაგზე, გაითვალისწინებენ ბაქოს გაკვეთილებს და ფართოდ განავითარებენ თვითკრიტიკას და მუშურ დემოკრატიას, ფართო მასებს ჩააბამენ სოციალისტურ მშენებლობაში, უზრუნველჰყოფენ ნამდვილ პროლეტარულ ხელმძღვანელობას ამიერ-კავკასიის ფედერაციის სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში.

თბილისის ორგანიზაციის აქტივი, უძღვნის რა მხურვალე სალამს აზერბეიჯანის კომპარტიას და მის სახელოვან ავანგარდს ბაქოს ორგანიზაციას — ამიერ-კავკასიის ფედერაციის დასაყრდენს, დარწმუნებულია, რომ ბაქოს კომუნისტები მომავალში, ახალი ხელმძღვანელობის მეთაურობით, სოციალიზმის მშენებელთა პირველ რიგებში იქნებიან.

ქვედა საფეხურის პროფორგანოთა მუშაობის მასიური შემოწმების წინ

შემოდგომიდან იწყება საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტების გადარჩევა —

გადარჩევის წარმატებით ჩატარება პროფმუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საწინდარია

გადარჩევის დროს თავიდან უნდა იქნეს აცილებული წინა წლებში დაშვებული შეცდომები.—ზედა პროფორგანოებმა ყოველივე ზომები უნდა მიიღონ გადარჩევის სწორი ხელმძღვანელობისათვის.—მთავარი ამოცანაა: ქვედა-საფეხურის პროფორგანოების განმტკიცება, მათი შევსება ახალი ხალხით და მუშაობის გაჯანსაღება.—გადარჩევა უნდა ჩატარდეს ფართო თვითკრიტიკისა და პროფკავშირული დემოკრატიის მაქსიმალურად გაშლის საფუძველზე.—გადარჩევის კამპანია მტკიცედ უნდა იქნას დაკავშირებული იმ ამოცანებთან, რომლებსაც მუშათა კლასის წინაშე აყენებს სახ. მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა.

ა.-კ. პროფსაბჭოს მიმართვა

აზერბეიჯანის, საქართველოს და ა.-კ. ყველა პროფორგანი- ა.-კავკ. რკინისგზელთა საგზაო კომიტეტს და ფოსტელკავშირის ა.-კ. საოლქო გამგეობას და ა.-კ. ყველა პროფორგანიზაციებს

პატივცემულო ამხანაგებო!

შემოდგომაზე თავდება ბევრი საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომის რწმუნებათა ვადა. ამიერ-კავკასიის პროფორგანიზაციები მალე შეუდგებიან მათ გადარჩევას.

საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების არჩევნები საწარმოებსა და დაწესებულებებში პროფკავშირების მთავარ საორგანიზაციო მუშაობას წარმოადგენს. პროფკავშირთა მასების აქტიობის ზრდა, თვითკრიტიკის და პროფდემოკრატიის გაშლა, პროფკავშირთა ახალი ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობენ რეკონსტრუქციის მიმდინარე პერიოდის სიძნელეებიდან, მრეწველობასა და კავშირებში ახლად ჩაბმული მუშათა ახალგაზრდა კადრების კლასობრივი აღზრდის საჭიროება, კავშირების წევრთა ყოფა-ცხოვრების მოთხოვნილებათა უკეთესად დაკმაყოფილება და პროფორგანიზაციების მთელი ქსელის დაახლოვება მუშათა მასებთან,—ყველაფერი ეს საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების გადარჩევას აკუთვნებს დიდი პოლიტიკურ მნიშვნელობის კამპანიის როლს, რომელიც მოითხოვს ყველა პროფორგანიზაციის და ყველა აქტიური პროფმუშაკის უდიდეს ყურადღებას და ენერგიას. საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების წინანდელი არჩევნების დროს ამ.-კავკასიაში ადგილი ჰქონდა შეცდომებს და დეფექტებს, რომელთაგან მთავარია შემდეგი:

ა) გადარჩევას საკმაო ხელმძღვანელობას არ უწევდნენ მაღლა მდგომი პროფორგანოები (პროფსაბჭო, ცენტრ. გამგეობა, საოლქო პროფბიურო, და სხ.);

ბ) სუსტი იყო გადარჩევის მოსამზადებელი მუშაობა;

გ) საკმაოდ არ იყო გამოყენებული კულტ-განათლების ქსელი;

დ) პროფაქტივი საკმაო მონაწილეობას არ იღებდა საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების გადარჩევის მნიშვნელობის ახსნა-განმარტებაში;

ე) საკმაოდ არ იყო განვითარებული საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების მუშაობის კრიტიკა კავშირის წევრების მხრივ;

ვ) საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების მიერ მიცემულ ანგარიშებს კონკრეტული ხასიათი არა ჰქონდა;

ზ) ზოგიერთი ორგანიზაცია ამახინჯებდა პროფდემოკრატიას, კერძოდ, ძველი საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომები წინასწარ ასახელებდნენ კანდიდატებს, წინდაწინ არ აკრავდნენ დასახელებული კანდიდატების სიებს, საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომებში გაჰყავდათ ისეთი პირები, რომლებსაც მიღებული არ ჰქონდათ ხმების დაწესებული უმრავლესობა და სხ.

ამიტომ პროფორგანიზაციების შემდგომი მუშაობის წარმატების მთავარ საწინდარს უნდა შეადგენდეს საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების ახლანდელი არჩევნების შემდეგ ღონისძიებათა განხორციელება ამიერ-კავკასიაში.

1) გადარჩევა მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს იმ პოლიტიკური ამოცანების ახსნა-განმარტებას, რომლებიც გამომდინარეობენ სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისა და პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახული ინდუსტრიალიზაციის სწრაფი ტემპის უზრუნველყოფისათვის წარმოებული მუშაობიდან; გადარჩევა უნდა დაუკავშირდეს აგრეთვე სამეურნეო მშენებლობის პროცესში წარმოშობილი სიძნელეების დაძლევას, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ გაშლას—მეტი მონაწილეობის მიღება წარმოების ცხოვრებაში. შრომის ნაყოფიერების გადიდება, შრომის დისციპლინის ამაღლება, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და სხ.

2) საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების გადარჩევა უნდა გადაიქცეს ქვედასაფეხურების პროფმუშაობის ნამდვილ ფართო მასიურ შემოწმებად კავშირის მთელი მასის მიერ;

3) არ უნდა განმეორდეს წინანდელი კამპანიების არც ერთი ზემოდჩამოთვლილი დეფექტი.

კერძოდ, ამიერ-კავკასიის პროფსაბჭო წინადადებას იძლევა მიმდინარე გადარჩევის დროს ყურადღება მიექცეს შემდეგ მომენტებს:

1) მუშაობა საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების გადასარჩევად უზრუნველყოფილ უნდა იქნას მაღლამდგომი პროფორგანოების ნამდვილი ხელმძღვანელობით, რისთვისაც პროფორგანოებმა უნდა მოისმინონ მოხსენებანი გადარჩევის მსვლელობის შესახებ და თავის დროზე მისცენ მითითებანი, ხოლო პროფორგანოების მუშაკებმა პირადად მიიღონ მონაწილეობა გადარჩევაში;

2) მოსამზადებელი მუშაობა საწარმოებში უნდა დაიწყოს არა უგვიანეს ერთი თვისა საანგარიშო-საარჩევნო კრებების დაწყებამდე;

3) მოსამზადებელი მუშაობის ამოცანას უნდა შეადგენდეს საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების გადარჩევის პოლიტიკური მნიშვნელობის ახსნა-განმარტება წევრთა მასისათვის, ყველა იქ მომუშავის მონაწილეობა გადარჩევაში, ფართო შემმოწმებელი მუშაობის გაშლა ქვედასაფეხურის პროფორგანიზაციების ირგვლივ და სხ.

4) ახსნა-განმარტებით მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს კავშირების ყველა კულტდაწესებულებამ, რისთვისაც თავის დროზე და უკლებლივ უნდა მოხდეს ინსტრუქციების დარიგება კულტმუშაკებისათვის, მიეცეს მათ სათანადო დირექტივები და საჭირო მასალა ლექციების, საუბრების, კითხვა-პასუხის საღამოების, წიგნების გამოფენების, პლაკატების, ლოზუნგების გამოკვრის და სხ. მოსაწყობად.

5) მიღებულ იქნას ყველა ზომა როგორც თვით კამპანიის, ისე პროფორგანიზაციების და ცალკე მუშაკების მუშაობის ფართო პოპულიარიზაციისათვის. ამ მიზნით გადარჩევის საკითხების ირგვლივ უნდა შეიქმნას ფართო საზოგადოებრივი აზრი, გამოყენებულ უნდა იქნას ქვედასაფეხურის მთელი პროფაქტივი, გადარჩევაში ჩაბმულ უნდა იქნას მუშკორები და კედკორები, არჩევნების მსვლელობა ფართოდ უნდა გააშუქონ კედლის გაზეთებმა, პერიოდულმა პრესამ და სხ.

6) საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების მუშაობის უფრო გაღრმავებული შემოწმების ჩასატარებლად უნდა შეიქნას შემმოწმებელი კომისიები, ხოლო გადარჩევის სწორ ხელმძღვანელობისათვის დიდ საწარმოებში უნდა შეიქმნას საარჩევნო კომისიები.

7) გადარჩევის დროს დაცულ უნდა იქნას ორგვარი კრებების—საანგარიშო და საარჩევნო კრებების მოწვევის სისტემა.

8) საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების მიერ ანგარიშის ჩაბარება და მათი მუშაობის შეფასება უნდა სწარმოებდეს არა მხოლოდ საერთოდ, არამედ პირველ რიგში იმ თვალსაზრისითაც, რომ შემოწმებულ იქნას, თუ სრულდება თვით საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომის და კოლექტივის საზოგადო კრებების გადაწყვეტილებანი და პროფკავშირის მაღლამდგომი ორგანიზაციების დირექტივები.

9) მიღებულ იქნას ყველა ზომა იმისათვის, რომ საანგარიშო კრებებზე მაქსიმალურად ჩაებას კავშირის ყველა წევრი, რისთვისაც კრებები მოწვეულ უნდა იქნას შესაფერ შენობებში და მომუშავეთათვის ხელსაყრელ დროს; არჩევნების შესახებ თავის დროზე, რამდენიმე დღით ადრე უნდა ეცნობოს კავშირის წევრებს, რისთვისაც საჭიროა პერსონალური უწყებების, პლაკატების და განცხადებების გამოკვრა.

10) მიღწეულ იქნას მაქსიმალური აქტივობა და კამათის გაშლა საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების მუშაობის ანგარიშის ირგვლივ, რისთვისაც საჭიროა კამათში მონაწილეთა წაქეზება და ყველა საქმიანი წინადადების შეტანა განწესებში.

11) მიღწეულ იქნას, რომ გადარჩევის კამპანია მაქსიმალურად იქნას გამოყენებული წევრთა ფართო მასის ყურადღების მობილიზაციისათვის ქვედასაფეხურის ეკონომმუშაობის ირგვლივ, რომ ამ კამპანიამ ხელი შეუწყოს საწარმოს ცხოვრებაში მეტი მონაწილეობის მიღებას, პროფორგანიზაციების განმტკიცებას ცეხებში, შექმნას გარდატეხა სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობის გაუმჯობესების საქმეში, სამუშაოს გაცდენასთან და წარმოებაში დაუდევრობასთან ბრძოლაში და სხვა.

12) ყოველგვარი საშუალებით უზრუნველყოფილ იქნას თვითკრიტიკის ფართო გაშლა, რისთვისაც საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების მუშაკებმა ხელი უნდა შეუწყონ თავიანთ საფაბრიკო-საქარხნო მუშაობის დეფექტების და სუსტი ადგილების გამოაშკარავებას. ყველა პროფორგანიზაცია გადაჭრით უნდა შეებრძოლოს თვითკრიტიკის ოდნავ შეზღუდვას ცალკე ორგანიზაციების და პირების მხრივ, დაუნდობლად მკაცრი ზომები მიიღოს ყველა იმ ელემენტის წინააღმდეგ, რომელიც სცდილობს შეავიწროვოს ან დევნა დაუწყოს გამკრიტიკებლებს.

13) მტკიცედ იქნას დაცული პროფკავშირული დემოკრატია, რისთვისაც კანდიდატების დასახელება უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ იმ წესის თანახმად, რომელიც განსაზღვრულია საკავშირო პროფსაბჭოს ინსტრუქციით, საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების გადარჩევის შესახებ და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს კანდიდატების დასახელება საარჩევნო კომისიების, საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების ძველი შემადგენლობის ან მაღლა მდგომი პროფორგანოების მიერ.

14) კანდიდატების დასახელებისა და არჩევნების დროს ყველა პროფორგანიზაციამ და კოლექტივმა პირველ რიგში უნდა იხელმძღვანელოს ამა თუ იმ მუშაკის მუშაობის უნარით და კლასობრივი სიმტკიცით.

15) საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომის შემადგენლობაში ასარჩევი კანდიდატების კენჭის ყრა უნდა მოხდეს მხოლოდ პერსონალურად, ამასთან ყოველგვარმა გადახვევამ გაშლილი პროფდემოკრატიის პრინციპიდან დაუყოვნებლივ უნდა გამოიწვიოს გადარჩევის კასაცია.

16) არჩევნების დროს უნდა შევეცადოთ, რომ რაც შეიძლება მეტად განახლდეს საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების ძველი შემადგენლობა (60—70 პროც.-ით), განსაკუთრებით ჯამაგირიანი მუშაკების შემადგენლობა, მაგრამ ამასთან არ უნდა დაირღვეს კავშირი წარსულ მუშაობასთან.

17) გადარჩევის დროს უზრუნველყოფილ იქნას მუშა-ქალთა და ახალგაზრდების საკმაო რიცხვის შეყვანა ახლად არჩეულ საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების შემადგენლობაში.

18) რადგან წლის დამლევს დაიწყება კოლხელშეკრულებათა ხელმეორედ დადების მეტად მნიშვნელოვანი კამპანია, საფაბრიკო-საქარხნო ადგილკომების გადარჩევა უნდა დამთავრდეს ა. წ. 15 ნოემბრისათვის, რის შემდეგაც პროფსაბჭოებმა და კავშირების საოლქო გამგეობებმა ამ.-კავკასიის პროფსაბჭოში უნდა წარმოადგინონ დაწვრილებითი საინფორმაციო ცნობები გადარჩევის შედეგების შესახებ, კერძოდ, ამ წერილის დირექტივების შესრულების თვალსაზრისით.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს თავმჯდომარე **კუზნეცოვი.**

საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ხარაბაძე.**

ფაბქარხკომების გადარჩევა და პროფორგანოების ამოცანები

(საუბარი ა.-კ. პროფსაბჭოს თავმჯდომარე—ამხ. პ. კუზნეცოვთან)

საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტების გადარჩევის კამპანიასთან დაკავშირებით პროფესიონალური კავშირების წინაშე მდგომ ამოცანების შესახებ ა. კ. პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. პ. კუზნეცოვმა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების არჩევნები წელს ჩატარდება განსაკუთრებულ პირობებში, რადგან არასოდეს არ ყოფილა პროფკავშირებში გაერთიანებული მასების აქტივობა ისე ფართოდ გაშლილი, როგორც დღესაა. თვითკრიტიკამ და პროფკავშირულმა დემოკრატიამ დიდი გასაქანი ჰპოვა მუშათა კლასში. აქედან გამომდინარეობს საჭიროება, რომ პროფკავშირებმა ფართოდ მოჰკიდონ ხელი პროფკავშირებში გაერთიანებული მასების კლასიურ აღზრდას. ამ მხრივ განსაკუთრებითი მიდგომა გვმართებს პროფკავშირებში გაერთიანებულ ახალ მუშათა კადრების მიმართ.

ფაბქარხკომების წინანდელ არჩევნებში პროფესიონალური კავშირების მუშაობას მრავალგვარი ნაკლი ახასიათებდა: ჯერ ერთი ზემდგომი პროფორგანოები ვერ იჩენდნენ სათანადო ენერგიას, ვერ უწევდნენ ხელმძღვანელობას გადარჩევას, წარსულ არჩევნებში სუსტად იყო ჩაბმული აგრეთვე აქტივი, ბევრგან არ იყო განხორციელებული პროფკავშირული დემოკრატია და სხ.

მომავალი არჩევნების დროს ზემდგომმა პროფორგანოებმა უნდა მოახდინონ მთელი თავისი ძალების მობილიზაცია, მთელი ყურადღება უნდა მიაპყრან გადარჩევის კამპანიას და მით უზრუნველჰყონ მისი წარმატებით ჩატარება.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭომ, თავის მხრივ, უკვე დაამუშავა მომავალი საარჩევნო კამპანიის ჩატარების გეგმა და შესაფერი მითითებანი მისცა რესპუბლიკანურ პროფსაბჭოებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვედა საფეხურის პროფორგანოების გადარჩევის დროს მუშაობის მთელი სიმძიმე უნდა იქნას გადატანილი ცალკე პროფკავშირთა ცენტრ. გამგეობებზე, სამკროფბიუროებზე და სხ. ზემდგომ პროფესიონალურ ორგანოებზე, რომელთაც ევალება გადარჩევის საქმის ხელმძღვანელობა.

ფაბქარხკომების ხელახალი არჩევნებისათვის საჭირო სამზადისი უკვე დაწყებულია საქართველოში და სომხეთში. რაც შეეხება აზერბეიჯანს, იქ ფაბქარხკომების არჩევნები ნაწილობრივ უკვე ჩატარდა, ნაწილობრივ კი ჩატარებული იქნება შემოდგომაზე.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭო უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს ფაბქარხკომების გადარჩევის კამპანიას, რომელშიაც შესაფერი მონაწილეობა უნდა მიიღონ პარტიულმა ორგანიზაციებმაც, მათ უნდა უზრუნველჰყონ სწორი ხელმძღვანელობა არჩევნებზე.

გადარჩევამ უნდა უზრუნველჰყოს პროფმუშაობის გაუმჯობესება და გაფართოვება

(საუბარი საქ. პროფსაბჭოს თავმჯდომარე — ამხ. ბ. მახაიძესთან)

— სექტემბრიდან,—განაცხადა ამხ. ბ. მახაიძემ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში,—დაიწყება საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტების ხელახალი არჩევნები. ამ კამპანიის ჩატარება გაყოფილი იქნება ორ პერიოდათ. პირველ პერიოდში ჩავატარებთ საანგარიშო და ახსნა-განმარტებითი ხასიათის საერთო კრებებს, რომლებზედაც ყველა ფაბქარხკომებმა ანგარიში უნდა ჩააბარონ მუშა-მოსამსახურეთა მასებს. საანგარიშო კრებების ჩატარებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა, რადგან ამ კრებებზე უნდა გამოირკვეს, თუ როგორ მუშაობდა ის ფაბკომი ან ადგილკომი, რა დეფექტები ან რა მიღწევები ახასიათებს მის მუშაობას.

კამპანიის მეორე პერიოდში მოხდება არჩევნები. მთელი კამპანიის ჩატარება უნდა დამთავრდეს პირველ ოქტომბრამდე, ისე რომ კოლექტიური ხელშეკრულებების დადების მორიგი კამპანიას ჩაატარებენ ახალი შემადგენლობის ფაბქარხკომები.

ფაბქარხკომების ხელახალი არჩევნების კამპანიას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პროფმუშაობის შემდგომი მუშაობის გაჯანსაღებისა და განმტკიცებისათვის.

უპირველეს ყოვლისა ხელახალი არჩევნების დროს გამოაშკარავებული უნდა იქნეს ყველა ის უარყოფითი მოვლენები, რომლებიც დღემდე ახასიათებს ბევრი ფაბქარხკომის მუშაობას. შემჩნეულია აგრეთვე, რომ მთელი რიგი ქვედა საფეხურის პროფორგანოებში პროფესიონალური მუშაობა ვერ იყო შესაფერისად დაყენებული და ზოგან ადგილი ჰქონდა დანაშაულებრივ დაუდევრობასაც. ხელახალი არჩევნების დროს ქვედა საფეხურის პროფორგანოების შემადგენლობა მთლიანად გადახალისებული იქნება და არ შეიძლება, რომ ამ გარემოებამ დადებითი გავლენა არ მოახდინოს პროფმუშაობაზე. ზოგიერთ ფაბქარხკომების მუშაობის ვადა უკვე ამოიწურა და ხელახალი არჩევნების ჩატარების აუცილებლობა მითაცაა გამოწვეული. გარდა ამისა, ზოგიერთ ფაბქარხკომებში მომუშავენი არ გამოცვლილან რამოდენიმე წლიწადია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს პროფმუშაობაზე (მუშაკების მოქანცვის გამო და სხვ.).

ჩვენი პროფესიონალური ორგანიზაციების წინაშე ამჟამად უდიდესი ამოცანები დგას. ეს ამოცანებია—ჩვენი სახალხო მეურნეობის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმის პოპულარიზაცია, სოციალისტური შეჯიბრების გატანა ყველა წარმოებებში და სოფლად, კოლექტიური ხელშეკრულებების დადების კამპანიის ჩატარება და სხვ. ასეთი მნიშვნელოვანი ამოცანების შესასრულებლად საჭიროა ენერგიით სავსე, ახალი ხალხი.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომ არჩევნების სწორი ხელმძღვანელობის გასაწევად ცალკე პროფესიონალური კავშირების ცენტრალურმა გამგეობებმა გამოჰყონ თავისი წარმომადგენლები, პასუხისმგებელი და გამოცდილი მუშაკები, რომლებიც მთელი კამპანიის პერიოდში მიმაგრებული იქნებიან ამა თუ იმ ფაბქარხკომებზე.

მე, პირადათ, საჭიროთ და აუცილებლად მიმაჩნია, რომ არჩევნების ჩატარებისას ფართოდ იქნეს გამოყენებული ჩვენი პროფაქტივი, რომელსაც დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ფაბქარხკომების მუშაობის სუსტი ადგილების გამომჟღავნების საქმეში. არჩევნების დროს საჭირო არის აგრეთვე პარტიული ორგანიზაციების ფართო დახმარება.

სამზადისი გადარჩევისათვის დროულად იწყება. მე ვფიქრობ, რომ იგი ღირსეულად იქნება ჩატარებული და პროფმუშაობის გაჯანსაღებას და შემდგომი გაშლა-განვითარებას მტკიცე საფუძველი შექმნება.

შვებულება ამხ. კალინინს

მოსკოვი, 13 აგვისტო. სრულიად რუსეთის ცაკის პრეზიდიუმმა ამხ. კალინინს მისცა ორი თვის შვებულება. ამხ. კალინინის შვებულების დროს სრულიად რუსეთის ცაკის თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებს პრეზიდიუმის წევრი ამხ. სმიდოვიჩი. (ადს).

სათადარიგო წითელარმიელთა გადამზადება

მოსკოვი, 13 აგვისტო. საბჭოთა კავშირის რევოლიუციონურმა სამხედრო საბჭომ სათადარიგო ჯარისკაცების და უფროსთა შემადგენლობის გადამზადების საქმე დააკისრა თავდაცვა-ავიაქიმის ორგანოებს. წელს სათანადო ორგანოები გადასამზადებლად გაიწვევენ პირველი რიგის სათადარიგო ჯარისკაცებს, რომლებიც დაბადებული არიან 1902, 1901 და 1900 წლებში და რომელთაც გაუვლიათ სამხედრო მზადება. გადასამზადებლად გაიწვევენ აგრეთვე 1904 და 1903 წლებში დაბადებულ უმწყობრო ჯარისკაცებს.

თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები წელს გადაამზადებენ აგრეთვე თადარიგში მყოფ პირველი რიგის მეთაურთა შემადგენლობას, რომლებიც დაბადებულნი არიან 1897, 1898, 1899, 1900 და 1901 წლებში. მთელი მზადება იწარმოებს საღამოს საათებში (ადს).

ვაჭრობის მოწესრიგება

მოსკოვი, 10 აგვისტო. სავაჭროებთან კუდების მოსასპობათ და ვაჭრობის საათების შესაგუებლად მშრომელთა ცალკე კატეგორიების ინტერესებთან საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა რესპუბლიკანურ ვაჭრობის კომისარიატებს დაუყოვნებლივ შეუდგნენ მზადებას სავაჭროების გადასაყვანად განუწყვეტლივ ვაჭრობის კვირაზე ყველა დიდ ქალაქებში და სამრეწველო ცენტრებში, მუშაობა სავაჭროებში შესწყდება მხოლოდ რევოლიუციონურ დღესასწაულების დროს. (ადს).

დელეგატ ქალთა გადარჩევისათვის

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიმართვა

მოსკოვი, 10 აგვისტო. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, დელეგატ ქალთა მომავალ გადარჩევასთან დაკავშირებით, წერილით მიმართა ნაციონალურ კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებს. მიმართვაში, რომელსაც ხელს აწერს ც. კ.-ის მდივანი ამხ. სმირნოვი, ხაზგასმით აღნიშნულია ამ კამპანიის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. უნდა დაირაზმოს ქალთა მშრომელი მასების აქტივობა სოციალისტური მშენებლობის ამოცანების ირგვლივ, თვითკრიტიკის საფუძველზე შემოწმებულ უნდა იქნას ყველა ორგანიზაციის მუშაობა მშრომელ ქალთა შრომის, ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის სფეროში და ხელმძღვანელ სამუშაოზე მათი დაწინაურების საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხუთწლიანი გეგმის შესრულების საკითხებს და ამ საქმეში ქალთა მონაწილეობას. საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობების მუშა ქალთა, მოჯამაგირე და გლეხ ქალთა დარაზმული აქტივობა სოფლად უნდა წარმოადგენდეს წინააღმდეგობას კულაკების მიმართ, ხელს უნდა უწყობდეს სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციას, კოლექტივიზაციას, საწარმოო კოოპერატიულ გაერთიანებებს, მოსავლიანობის გადიდებას, ნათესის სივრცის გაფართოვებას და პურის დამზადების წარმატებით ჩატარებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მეცადინეობის საკითხს. აღმოსავლეთში ყოველივე ზემოაღნიშნულის გარდა, უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს ბრძოლას დრომოჭმულ საყოფაცხოვრებო ჩვეულებებთან. დელეგატი ქალების გადარჩევაში მონაწილეობა უნდა მივაღებინოთ მთელ საბჭოთა საზოგადოებრიობას, ყველა პარტიულ, პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციას, კერძოდ პრესას, რადიოს, კინოს, კლუბებს და წითელ კუთხეებს. ფართოდ გამოყენებულ უნდა იქნას ის მეთოდები, რომლებსაც საბჭოების გადარჩევის დროს მივმართავდით. კამპანია გამოყენებულ უნდა იქნას აგრეთვე მშრომელ ქალთა პოლიტიკური განწყობილებების გამოსარკვევად, მათ მიერ წამოყენებული პრაქტიკული საკითხების აღსარიცხავად და პარტიაში საუკეთესო მუშა და მოჯამაგირე ქალების მოსაზიდავად (ადს)

ლენინგრადის ცხენოსანი დივიზიის 10 წლის თავი

ლენინგრადი, 13 აგვისტო. 11 აგვისტოს ლენინგრადის ცხენოსანთა მეოთხე დივიზიამ იდღესასწაულა თავისი არსებობის ათი წლის თავი. მოეწყო დივიზიის ნაწილების აღლუმი. დივიზიას გადაეცა დროშა, აგრეთვე წითელი დროშის ორდენი ცაკისაგან. დივიზიის იუბილეს დაესწრნენ დივიზიის ვეტერანები. „პრავდა“-ში დაბეჭდილია ამხ. სტალინის დეპეშა: „ათი წლის თავზე მივესალმები ცხენოსანთა გმირული პირველი არმიის ძირითად კადრის — ცხენოსანთა სახელოვანი მეოთხე დივიზიის წითელ - არმიელებსა და მეთაურთა შემადგენლობას. მხურვალე სალამი სამოქალაქო ომში თანამებრძოლს, მეოთხე დივიზიის ორგანიზატორს ამხ. ბუდიონის. ძმური სალამი მეგობარსა და ცარიცინის ამბებში თანამებრძოლს, ცხენოსანთა მეოთხე დივიზიის მეთაურს ამხ. ზოტოვს“.

მიღებულ იქნა აგრეთვე დეპეშა ამხ. ბუდიონისაგან.

აღლუმი დამთავრდა ცხენოსანთა სასპორტო შეჯიბრებით. (ადს).

პერეკოპის დივიზიის იუბილე

ოდესა, 13 აგვისტო. 17 აგვისტოს გაიმართება პერეკოპის დივიზიის 10 წლის იუბილე. დივიზია აგროვებს თანხებს სატრაქტორო რაზმის მოსაწყობად. სატრაქტორო რაზმი გადაეცემა წითელ-არმიელთა კოლმეურნეობებს, რომლებშიაც შედიან შვებული წითელ-არმიელები. მიღებულია მისალმებანი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან. სვერდლოვსკში და ურალის სხვა ქალაქებში, სადაც წარმოიშვა დივიზია, მოხდა კრებები იუბილეს გამო. დივიზია დელეგაციას გზავნის სვერდლოვსკში.

თავის მხრივ ურალის მუშები დელეგატებს გზავნიან ოდესაში. დივიზიამ თავის საპატიო წითელ - არმიელს დემიან ბედნის გაუგზავნა ბრძანება — დაესწროს დივიზიის დღესასწაულს.

იუბილეს აღსანიშნავად დივიზიის ის ნაწილები, რომლებიც სოფლებში იმყოფებიან, აწყობენ ღარიბ გლეხთა დამხმარე კვირეულებს. (ადს).

ტეხნიკოსთა ახალი კადრების მომზადება

მოსკოვი, 13 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ მოისმინა სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოხსენება ტეხნიკოსთა ახალი კადრების მომზადების შესახებ. ხუთი წლის განმავლობაში მრეწველობამ უნდა მიიღოს 80.000 ტეხნიკოსი, ხოლო ტრანსპორტმა—36.000. გათვალისწინებულია არსებული ტეხნიკუმების გადაკეთება და პრაქტიკაზე მყოფ ტეხნიკოსთა უფრო ფართოდ გადამზადება. სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა საგეგმო კომისიის გეგმის მთავარი დებულებანი (ადს).

შემოდგომის თესვისათვის

მოსკოვი, 13 აგვისტო. სახკომსაბჭოს რწმუნებულმა თესვის კამპანიის ჩასატარებლად ამხ. კუბიაკმა ადგილობრივ ორგანიზაციებს დეპეშით წინადადება მისცა —მიიღონ ზომები იმისათვის, რომ შემოდგომის ის მარცვალი, რაც ადგილებზეა, გამოყენებულ იქნას პირველ რიგში მომავალი შემოდგომის თესვისათვის. ადგილობრივ საბჭოებს წინადადება ეძლევა, დაუყოვნებლივ გამოჰყონ განსაკუთრებული რწმუნებულები, რომელთაც თვალყური უნდა ადევნონ ადგილობრივი ფონდების შევსებას და სისწორით გამოყენებას. შემოდგომის მარცვალის მარაგი გამოყენებულ უნდა იქნას თესვისათვის, ხოლო სასურსათო მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ იქნან გაზაფხულის მოსავლით. (ადს).

მასწავლებელთა დასაცავად

მოსკოვი, 13 აგვისტო. იუსტიციის სახ. კომისარიატმა გამოარკვია, რომ მასწავლებლებს სოფლად სდევნიან კულაკური ელემენტები. სასამართლოები და პროკურატურა საკმაოდ არ ებრძვიან ამგვარ მოვლენებს.

იუსტიციის სახ. კომისარიატმა წინადადება მისცა მათ, იმ შემ[illegible] ნება მასწავლებლების დევნას, მოკლას ან ცემას, კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე, დამნაშავენი პასუხისგებაში მისცენ, როგორც ტერორისტული აქტის ჩამდენნი. უნდა გაძლიერდეს აგრეთვე სასჯელი მკვლელობის მუქ[illegible], ცემ[illegible] და სხ (ადს).

კოლექტივ „ანეული“-ს პურის გადაწვის გარშემო

ს. დიდ-ლილოს საბჭოს თავმჯდომარის საეჭვო ხასიათის უმოქმედობა. — დაპატიმრებულია 7 კაცი. — გამოძიება გრძელდება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოთავსებული გვქონდა ცნობა იმის შესახებ, რომ ა.-წ. 5 აგვისტოს ცეცხლი მოედო სოფ. დიდ-ლილოს კოლექტივ „ანეული“-ს ძნას, რომელიც მოკული იყო 25 დესეტინაზე და მთელი პური გადაიწვა.

ამ ამბის შესახებ თბილისის პირველი უბნის გამომძიებელმა ამხ. ჯვარიეშვილმა გუშინ ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი: „5 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე ცეცხლი მოედო სოფ. დიდ-ლილოს კოლექტივ „ანეული“-ს ძნას, რომელიც მომკული იყო 25 დესეტინაზე და გამზადებული იყო გასალეწად. მიუხედავად სოფლის მოსახლეობის მიერ მიღებული ღონისძიებებისა, ცეცხლის ჩაქრობა შეუძლებელი გახდა. ძნასთან ერთად გადაიწვა 400 მანეთად ღირებული ბეღელი. სულ დაიღუპა 2.500 ფუთამდე პური. ამ ამბავის შესახებ პროკურატურამ გაიგო მხოლოდ მეოთხე დღეს — 8 აგვისტოს მარტყოფის რაიმილიციის უფროსისაგან (ხოლო ამ უკანასკნელმა ეს გაიგო 6 აგვისტოს). ცნობის მიღებისთანავე პროკურატურის დავალებით მე გავემგზავრე სოფ. დიდ-ლილოში კვლევა-ძიების მოსახდენად. ჩემთან იყო აგრეთვე კოლმეურნეობათა ცენტრის ინსტრუქტორი. გამოძიებამ ნათელჰყო, რომ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეუწყნარებელი დაუდევრობა გამოიჩინეს იმ დროს, როცა კოლმეურნეობის ძნა იღუპებოდა და გლეხები პურის გადასარჩენად თავგამოდებით ებრძოდნენ ცეცხლის სტიქიას. ადგილობრივი საბჭოს თავმჯდომარე — პარტიის წევრი **გაბარაშვილი** სახლში იჯდა და გარედ არც კი გამოუხედავს, მიუხედავად იმისა, რომ მან იცოდა ცეცხლის გაჩენის ამბავი. შეკითხვაზე, თუ რატომ მოიქცა ის ასე, გაბარაშვილმა გამოძიების დროს განაცხადა, რომ **„მე იმ დღეს ბევრი პამიდორი ვჭამე და მუცელი მტკიოდა“-ო.**

ის მასალები, რომლებიც ჩვენს ხელთ მოიპოვება, საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ **ცეცხლი განზრახ არის წაკიდებული კულაკების, ან მათი მოსყიდული პირების მიერ.**

რომ ცეცხლი შემთხვევით არ გაჩენილა, ეს სჩანს იქიდან, რომ კოლმეურნეობის ძნა დაგროვილი იყო გზიდან დაშორებით და მის ირგვლივ, სულ ახლო მანძილზე აწნული იყო გლეხების ძნაც, ასე რომ ცეცხლი პირველ რიგში უნდა გასჩენოდა არა კოლმეურნეობის, არამედ სხვა გლეხების ძნას. კოლმეურნეობის წევრთა და კულაკებს შორის განწყობილება გამწვავებული იყო, რაც შედეგია იმისა, რომ მიწადმოწყობის დროს კულაკებისაგან ჩამორთმეული მიწები გადაეცა კოლმეურნეობას. ეს საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კულაკებმა მოისურვეს სამაგიეროს გადახდა. ამასვე ლაპარაკობს ადგილობრივი გლეხობაც. ამჟამად იქვე დაპატიმრებულია სულ 7 კაცი. დაპატიმრებულთა რიცხვში არიან საბჭოს თავმჯდომარე გაბარაშვილი და კომუჯრედის ყოფილი მდივანი (იგივე ყოფილი მამასახლისი და ვაჭარი).

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბოროტმოქმედნი გამოაშკარავებულნი იქნებიან და ღირსეულ სასჯელს მიიღებენ“.

აზერბეიჯანის პოლიტეხნიკური ინსტიტუტის გამოკვლევა

მოსკოვი, 13 აგვისტო. ამხ. რეიტმანის იმ წერილის გამო, რომელიც „სავაჭრო - სამრეწველო გაზეთი“-ს მე-161 ნომერში დაიბეჭდა და რომელიც აზერბეიჯანის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში გამეფებულ გახრწნილებას შეეხებოდა, საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს აცნობეს, რომ ახლო მომავალში ბაქოში გაემგზავრება სპეციალური კომისია ამხ. არალოვის მეთაურობით. კომისია მიიღებს ინსტიტუტში სტუდენტებს და გამოიკვლევს ყველა იმ ფაქტს, რომელიც მოყვანილია „სავაჭრო-სამრეწველო გაზეთ“-ში. (ადს).

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირები

თბილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებამ შეიმუშავა სასოფლო და რაიონულ საბჭოებთან სასოფლო-სამეურნეო საწარმოო თათბირების ჩამოყალიბების გეგმა. სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის ხელისშეწყობის მიზნით. საწარმოო თათბირებს ევალებათ: დაამუშავონ აუცილებელი ღონისძიებები ადგილობრივ მიწად-მოწყობას ჩასატარებლად და მრავალსახიან მემინდვრეობაზე გადასასვლელად; იგივე თათბირები იმუშავებენ კოლექტივიზაციის და გლეხთა მეურნეობების სამრეწველო კოოპერატიულად შეკავშირების საკითხებს; ყოველ მხრივ იხილავენ და ამუშავებენ გაზაფხულის და შემოდგომის თესვის კამპანიასთან დაკავშირებულ საკითხებს; ღებულობენ ზომებს, რათა თესვის დროს მაქსიმალურად გამოყენებული იქნეს სათესლე მასალა, მუშა-საქონელი და მანქანები; მათთვე ევალებათ ხელი შეუწყონ და დაეხმარონ იმ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, რომლებიც ადგენენ თესვის კამპანიის გეგმას. ასეთ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნათესების სივრცის გაფართოებას და მოსავლის აწევას.

თათბირებმა უნდა დაამუშავონ ღონისძიებები აგრომინიმუმების შესახებ და განუმარტონ გლეხებს მარტივ აგროკულტურულ ღონისძიებების გატარების მნიშვნელობა.

თათბირები ითვალისწინებენ და იხილავენ ნათესების კონტრაქტაციის, კრედიტის განაწილების, მანქანა-იარაღების შემოზიდვისა და განაწილება-გამოყენების გეგმას.

ღებულობენ ზომებს საზოგადოებრივ სათესლე ფონდის შესაქმნელად, გასაქირავებელ, გამწმენდ-მომწამლავ პუნქტების დასაარსებლად და სხვ.

აგრეთვე ამუშავებენ საკითხებს მესაქონლეობის განვითარებისა და საქონლის სნებთან ბრძოლის შესახებ.

საწარმოო თათბირები მეთვალყურეობას უწევენ აგრორწმუნებულების მუშაობას, თავის წრიდან ასახელებენ უფრო აგრორწმუნებულებს და ამ უკანასკნელებს უწევენ დახმარებას.

ამუშავებენ რა ყველა საკითხს, რომლებიც ეხებიან სასოფლო-სამეურნეო განვითარებას, იმავე დროს სისტემატიურად ისმენენ და იხილავენ აგრონომების, მიწად-მომწყობლების, ზეითლების, საბჭოთა მეურნეობების გამგეების, კოლმეურნეობების წარმომადგენლების, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების გამგეთა, აგრორწმუნებულთა, აგრეთვე კოოპერატიულ და სხვა ორგანიზაციების მოხსენებებს თავიანთ მუშაობის შესახებ.

ამასთანავე იხილავენ გლეხების წინადადებებს სასოფლო მეურნეობის შესახებ და როგორც ორგანიზატორები თავს უყრიან მოსახლეობის საშუალებებს, ყოველ ცალკე შემთხვევაში, სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად.

თათბირები უნდა შესდგეს საბჭოების პლენუმებზე არჩეულ წევრებისა და საბჭოს იმ წევრებისაგან, რომლებიც სურვილს გამოსთქვამენ იმუშაონ თათბირებში. ამავე თათბირებში შეყვანილი უნდა იქნენ ღარიბთა წრიდან აქტიური და ავტორიტეტული გლეხები, აგრონომები, მიწად-მომწყობლები, ზეითლები, სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის, გლეხკომების, კოლექტივების და მოჯამაგირეთა წარმომადგენლები.

თათბირებმა უნდა გამოჰყონ მუდმივი პრეზიდიუმი 5 წევრის შემადგენლობით და საბჭოს თავმჯდომარის თავმჯდომარეობით.

თათბირების გადაწყვეტილებებს ამტკიცებს საბჭოები.

მისალმებანი საქ. კ. პ. (ბ) ცეკას

საქ. კომპარტიის ცეკას სახელზე მიღებულია დეპეშები **კახეთის საოლქო კომიტეტის გაფართოებულ პლენუმისა, ბორჩალოს, მცხეთის რაიონულ პარტკონფერენციებისა და ხეზე მომუშავეთა კავშირის ზუგდიდის სამაზრო კონფერენციისაგან,** რომელშიდაც მხურვალეთ ესალმებიან საქართველოს კომპარტიის ლენინურ ცეკას და აღუთქვამენ, რომ მისი ბოლშევიკური ხელმძღვანელობით მტკიცედ, ურყევად გაატარებენ მე-16 პარტკონფერენციისა და საქ. კომპარტიის მე-6 ყრილობის დადგენილებებს სასოფლო მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე გადასაყვანად.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის მიერ ამიერ - კავკასიის საკონტროლო კომისიისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების გამოსაკვლევად დანიშნული კომისია დაბრუნდა თბილისში და შეუდგება ამიერ - კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიისა და საქართველოს საკონტროლო კომისიის გამოკვლევას

კომისიაში განცხადებებისა და მიმსვლელთა მიღება იწყობა დღეიდან. ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის ბინაზე (რუსთაველის პრ., 24, ოთახი № 9) დღის 11-დან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე.

მოჯამაგირეთა შრომის პირობების დაცვა

შრომის ხელშეკრულებების განახლება წარმატებით მიმდინარეობს

დაზღვეულ მოჯამაგირეთა რიცხვი თანდათან მრავლდება

გააუმჯობესოთ მოჯამაგირეთა შორის მუშაობა

პარტიის და ხელისუფლების ძირითად დასაყრდენ ძალას სოფლად წარმოადგენს ღარიბი გლეხობა, მოჯამაგირეები და სასოფლო მეურნეობაში დაქირავებული მუშები. ამ ჯგუფებს შორის მუშაობის გაძლიერებას, მათ შეკავშირებას და კულტურულ-პოლიტიკური დონის ამაღლებას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლად მუშაობის საკითხის წარმატებით გადაჭრის საქმეში.

პარტიას დღეს მიზნად აქვს დასახული სოფლის მეურნეობის კოლექტიურად გარდაქმნა, სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქცია. ამ ამოცანის განხორციელებისათვის ერთ-ერთ ძირითად პირობას წარმოადგენს ღარიბ გლეხთა, მოჯამაგირეთა და სასოფლო მეურნეობის მუშების დარაზმვა, მათი ჩაბმა როგორც პარტიისა და კომკავშირის რიგებში, ისე საბჭოების, კოოპერაციის, ღარიბთა ჯგუფების, გლეხკომების და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების საქმიანობაში.

მოჯამაგირეთა და სასოფლო მეურნეობის მუშათა კულტურული დონის ამაღლებისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა მათში წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრა. ამ მიმართულებით სათანადო ნაბიჯი უკვე გადადგმულია. საქართველოს კომპარტიის მე-8 ყრილობამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვით სამი წლის განმავლობაში საქართველოში უნდა აღმოიფხვრას წერა-კითხვის უცოდინარობა.

მაგრამ, მოჯამაგირეთა და სოფლის მეურნეობის მუშათა ფართო მასების სოციალისტურ მშენებლობაში აქტიურად ჩაბმისათვის ეს კიდევ არა საკმაო. საჭიროა წარმოებულ იქნას ყოველდღიური და სისტემატიური მუშაობა მოჯამაგირეთა კულტურული დონის კიდევ უფრო ასამაღლებლად. მოჯამაგირეები და სასოფლო მეურნეობის მუშები ფართოდ უნდა მივიზიდოთ პარტიის და კომკავშირის რიგებში. შევაკავშიროთ პროფესიონალურ ორგანიზაციებში, აღმოვფხვრათ კულაკების გავლენა მოჯამაგირეებზე, არც ერთი მოჯამაგირე არ უნდა დარჩეს შრომის ხელშეკრულების გარეშე, დაზღვევის გარეშე.

ამ მიმართულებით კი ჯერ ძალზე ბევრია გასაკეთებელი.

ყველაზე დიდი მოვალეობა ამ მუშაობაში პირველ ყოვლისა ეკისრებათ სასოფლო-სამ. და ტყის მუშათა კავშირის ცენტრალურ გამგეობას და მის ადგილობრივ განყოფილებებს. ხსენებული კავშირის აპარატი როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე უნდა უზრუნველვყოთ შესაფერი ცოდნით აღჭურვილი და მუშაობის უნარისმქონე მუშაკებით.

მოჯამაგირეთა შორის მუშაობის გაჯანსაღების საქმეში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ აგრეთვე პარტორგანიზაციებმა. მთელი ეს მუშაობა ადგილებზე უნდა მიმდინარეობდეს პარტორგანიზაციების უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით.

მოჯამაგირეთა შეკავშირების, მათი ეკონომიური ინტერესების დაცვის და კულტურული დონის ამაღლების საქმეში მნიშვნელოვანი მოვალეობა უნდა შეასრულონ აგრეთვე კედლის გაზეთებმა და სარედაქციო კოლეგიებმა. მათ უნდა გამოააშკარავონ მოჯამაგირეთა შორის მუშაობაში შემჩნეული თვითეული ნაკლი და ამხილონ კულაკების ოინები.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მოჯამაგირეთა შორის მუშაობის გაცხოველება, მათი შეკავშირება და კულტურული დონის ამაღლება დღევანდელ პირობებში უნდა გახდეს ერთ ერთ ძირითად ამოცანად პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების მიერ.

ბ. ბ.

შრომის ხელშეკრულებების განახლება

(ახალქალაქის მაზრა)

ახალქალაქის მაზრაში მალე მთავრდება შრომის ხელშეკრულების განახლება მოსახლეობის მიერ დაქირავებულ მწყემსებსა, მოჯამაგირეთა და დამქირავებლებს შორის. ამ მუშაობას ჩვენი მაზრისათვის, რომელიც მესაქონლეობის რაიონად ითვლება უდიდესი მნიშვნელობა აქვს. სასოფლო მწყემსების დაქირავების დროს სოფლად საკმაოდ გამწვავდა კლასიური ბრძოლა. კულაკებს სურდათ სასოფლო მწყემსებად დაქირავებული ყოფილიყვნენ კულაკები და სოფლის შეძლებული ნაწილი. თავიანთი კანდიდატების დასახელების დროს ისინი აღნიშნავდნენ, რომ მათ ჰყავთ ჯოგი და იციან თუ როგორ უნდა მოუარონ საქონელს. ასეთ ფაქტებს ძალიან ხშირად აქვს ადგილი სასოფლო მწყემსების დაქირავების დროს.

მაგრამ ისმის საკითხი, თუ რისთვის სურდათ კულაკებს წასულიყვნენ სასოფლო მწყემსებად. ნუ თუ მათ სხვა არაფერი საქმე აქვთ?

რა თქმა უნდა მათი მიზანია არა ხელფასის მიღება, არამედ პროფკავშირთა რიგებში მოხვედრა, მაგრამ ამ სურვილს ისინი ვერასოდეს ვერ აღწევდნენ.

კულაკები მოსახლეობაში აწარმოებდენ აგიტაციას, რომ ღარიბებს არა ჰყავთ საქონელი და ისინი მათ მოვლას ვერ შესძლებენო.

მწყემსების დაქირავებამდე მოსახლეობას შორის ჩვენ ჩავატარეთ მოსამზადებელი მუშაობა. მწყემსების ყველა კანდიდატებს ასახელებდა მოჯამაგირეთა კომიტეტები ღარიბი გლეხობის წრიდან. დასახელებულ კანდიდატებს იხილავდენ ღარიბთა კრებებზე და აქის შემდეგ გადაჰქონდათ გლეხობის საერთო კრებებზე. სასოფლო კრებები დიდი აქტიურობით მიმდინარეობდა. კულაკები აყენებდნენ თავიანთ კანდიდატებს, ხოლო ღარიბები საშუალო გლეხობასთან ერთად მხარს უჭერდენ ღარიბთა კრებებზე დასახელებულ კანდიდატებს და აქ ჩვენ ვხედავდით კლასთა ბრძოლის ფაქტებს სოფლად. იყო შემთხვევები, როცა კულაკები მოსყიდვის საშუალებით თავიანთ მხარეზე იბირებდნენ ღარიბ და საშუალო გლეხობის ერთ ნაწილს ღარიბთა კრებების მიერ დასახელებულ კანდიდატების წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ეს კულაკების გავლენის ქვეშ მყოფ ელემენტები ღარიბ და საშუალო გლეხობის შეკავშირებული მასების მიერ ყოველთვის იღებდენ საკადრის პასუხს. სოფლის შეძლებული ნაწილი კი მუდამ განიცდიდა დამარცხებას.

უნდა აღინიშნოს, რომ მიწა-ტყის კავშირის მიერ მოსამზადებელი მუშაობა სუსტად იყო ჩატარებული, ხოლო პარტიულ, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციების ყურადღება მიპყრობილი იყო ამ მნიშვნელოვანი კამპანიის ირგვლივ. მოსამზადებელი მუშაობის არა საკმაოდ ჩატარების მიზეზით დაგვიანდა ცენტრიდან თავის დროზე დირექტივების მიღება შრომის ხელშეკრულების განახლების შესახებ. მიწა-ტყის კავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციამ არ იცოდა, თუ რამდენად უნდა გაედიდებიათ ხელფასი მწყემსებისათვის. ამის შესახებ მიწა-ტყის კავშირის ცენტრ. გამგეობიდან არ იყო დირექტივები გადმოგზავნილი მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმეჯერ გაიგზავნა ამის შესახებ კავშირის მიერ დეპეშები.

დიდი ხნის ცდის შემდეგ კავშირს მოუხდა მოქმედება ცენტრალური გამგეობის დირექტივების გარეშე. ამ მუშაობაში დაშვებულ ყოველგვარ შეცდომებზე პასუხისმგებლობა ეკისრება მიწა-ტყის კავშირის ცენტრალურ გამგეობას „კარგი" ხელმძღვანელობისათვის.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს პროფკავშირთა საბჭო მიაქცევს ყურადღებას მიწა-ტყის კავშირის ცენტრალური გამგეობის მუშაკების ამგვარ ბიუროკრატიულ მოქმედებას.

ჩვენ მივიღეთ მთელი რიგი ღონისძიებანი ხელფასის ნაწილობრივ ფულად სისტემაზე გადასვლის შესახებ. ხელფასი გავადიდეთ 5-დან 15 პროცენტამდე. ხელშეკრულებებში სასოფლო მეურნეობის მუშებისათვის გათვალისწინებულია შრომის დაცვასთან და სოციალურ დაზღვევასთან დაკავშირებული ყველა მუხლები. დასმულია აგრეთვე საკითხი სათანადო ორგანოების წინაშე შრომის ინსპექტორის მიერ სასოფლო მეურნეობის მუშების შრომის პირობების დასაცავად მეთვალყურეობის გაძლიერების შესახებ.

ვ. დარახჩიევი.

როგორ მიმდინარეობს მოჯამაგირეთა დაზღვევა

მოჯამაგირეთა დაზღვევა ჩვენთვის ახალი საქმეა და მის სისწორით გატარებას აუცილებლად სჭირდება ენერგიული საქმიანობა ადგილებზე მომუშავე ამხანაგების მიერ. მოჯამაგირეთა შორის სოცდაზღვევის კანონის ცხოვრებაში სწორად გატარებისათვის პირველად ჩატარებულ იქნა მოსამზადებელი მუშაობა.

სოცდაზღვევის კომიტეტის ხელმძღვანელობით და ადგილებზე მომუშავე ამხანაგების ენერგიული მუშაობით ამ დარგში საკმაო მიღწევები გვაქვს მოჯამაგირეთა სპეციალური სოცდაზღვევის რწმუნებულები გვყავს შემდეგ მაზრებში და რაიონებში: თბილისის რაიონში, მანგლისში, წალკაში, აღბულაღში, სართიჭალაში, თიანეთში, ერწოში, ყაზბეგში; ახალქალაქის ახალციხის, კახეთის და ბორჩალოს მაზრებში და აფხაზეთში.

სხვა ადგილებზე მოჯამაგირეთა დაზღვევას აწარმოებს არა სპეციალური მომუშავე, არამედ დამზღვევი სალაროები.

აღნიშნულ მაზრებიდან და რაიონებიდან მიღებულ ცნობებით, პირველ ივნისისათვის დაზღვეულია თბილისის რაიონში — 450 მოჯამაგირე, თბილისის მაზრ.—400, ახალქალაქის—1.650, ახალციხის—642, გურჯაანის—1.165, ბორჩალოს — 350, გორის—240, აჭარისტანში—145, ბორჯომში—100, კახეთის მაზრ.—1.615, აფხაზეთში 2.000 სულ 8. 307 კაცი.

მუშაობა ამით არ დამთავრებულა. მოჯამაგირეთა დაზღვევის საქმე კვლავ წარმატებით მიმდინარეობს.

დაზღვეულთა ზემოაღნიშნული რაოდენობიდან პირველ ივნისამდე შემოსულია დამზღვევ სალაროში დასაზღვევი ანარიცხები — 27.820 მანეთი. საოპერაციო ხარჯებით გაცემულია—4.218 მ. 34 კ. საორგანიზაციო ხარჯებში დახარჯულია 13114 მ.—62 კ.

დამზღვევ კომიტეტის მიერ გამომუშავებულ იქნა მოჯამაგირეთა დაზღვევის შესახებ დადგენილებები და ინსტრუქციები, რომლებიც დაეგზავნა ადგილებს და რომლის საშუალებითაც დაზღვეული მოჯამაგირეები დაწვრილებით გაეცნობიან დამზღვევ სალაროს მნიშვნელობას. ამასთან ერთად ტარდება დაზღვეულ მოჯამაგირეებს შორის ლექციები და მოხსენებები დაზღვევის შესახებ. ასეთი უკვე ჩატარდა ორთაჭალის, ვერა-დიდუბის რაიონებში და სხვა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოჯამაგირეთა კომიტეტებმა უფრო მეტი დახმარება უნდა გაუწიონ სოცდაზღვევის ორგანოებს. ძნელია მოჯამაგირის დაზღვევა თუ მოჯამაგირეთა კომიტეტებმა და მუშკოპებმა არ მიაწოდეს ცნობები, თუ ვის ჰყავს მოჯამაგირე, ან რას აძლევს თვიურად ხელფასს და სხვა.

მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო და ტყის მუშათა კავშირის ძირითად უჯრედების, დამზღვევ კომიტეტის რწმუნებულების შეთანხმებული მუშაობით და მოჯამაგირეთა ფართო მასების მონაწილეობით შევძლებთ გავატაროთ ცხოვრებაში მოჯამაგირეთა დაზღვევა.

გრ. ნარსია.

ნაყოფიერი შედეგები მივიღეთ

(წერილი ქუთაისიდან)

ქუთაისის მაზრაში გასულ წელს მოჯამაგირეთა შორის მუშაობა ძალზე მოისუსტებდა. ამ გარემოებას ქუთაისის სამაზრო პარტიულ კომიტეტმა მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება და მიიღო მთელი რიგი ღონისძიებანი მოჯამაგირეთა შორის მუშაობის გამოსაცოცხლებლად. ამ მიზნით ჩატარდა მოჯამაგირეების ხელახალი აღრიცხვა, ჩამოყალიბდა 18 მოჯამაგირეთა სათემო კომიტეტები, საბჭოთა გადარჩევებთან დაკავშირებით მოეწყო რაიონული თათბირები, მოწვეულ იქნა მოჯამაგირეთა სამაზრო კონფერენცია და სხვ.

აპრილში სამაზრკომის ინიციატივით გამოკვლეულ იქნა ქუთაისის მაზრაში მოჯამაგირეთა შორის მუშაობა. გამოირკვა, რომ მაზრაში აღრიცხვაზე აყვანილია 720 მოჯამაგირე, მათში ქალი 136; 18 წლის ზევით ირიცხება 176 მოჯამაგირე. თუ გასულ წელს საბჭოს წევრებად გაყვანილი იყო მხოლოდ 13 მოჯამაგირე, ამჟამად საბჭოში ირიცხება 37. გასულ წელს პარტიაში ირიცხებოდა ერთი მოჯამაგირე, წელს კი მიღებულია 38. შრომის ხელშეკრულება დადებულია 661 მოჯამაგირეზე. გასულ წელს იყო მხოლოდ 389 მოჯამაგირეზე.

ხელფასის მხრივ ასეთი სურათია. თუ გასულ წელს უდრიდა 18 მანეთს, ამჟამად უდრის 21—50 კაპ. ადგილი აქვს შრომის ხელშეკრულების დარღვევას დამქირავებლების მხრივ. ასეთი მოხდა ამ ერთი წლის განმავლობაში 19, რაც გადაცემულ იქნა სასამართლოებში. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ შრომის საკითხებს სასამართლოები უნდა არჩევდნენ 10 დღის განმავლობაში, ხშირად ხდება საქმის განხილვის გაჭიანურება, რაც შეეხება მოჯამაგირეთა დაზღვევის საკითხს, ის ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ მოწესრიგებული.

გამოირკვა ისიც, რომ თემსაბჭოების თავმჯდომარეები არ უწევენ საკმაო დახმარებას მიწა-ტყის კავშირს მოჯამაგირეთა შორის მუშაობაში. ზოგიერთ თემაღმასკომების თავმჯდომარეებმა კარგად არც კი იცის თუ რამდენი მოჯამაგირე ირიცხება, ან ვინ არიან მოჯამაგირეები მათ თემში.

ყოველივე ამ გამოკვლევის შემდეგ სამაზრო კომიტეტმა სათანადო ორგანოებს დაავალა: შრომის ინსპექციას და მიწა-ტყის კავშირის ფრაქციას თვალყურის დევნება მოჯამაგირეთა შორის შრომის დაცვის პირობების კანონმდებლობის დარღვევის დროს დამქირავებლების მაქსიმალურად დასჯის მიზნით; კომკავშირის სამაზრკომის მიერ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოჯამაგირეთა ჩაბმის საკითხს კოლმეურნეობებში და ამ მიზნით აწარმოოს შესაფერი მუშაობა; კოოპერაციის გამგეობების კომფრაქციებს დაევალა მოჯამაგირეების აღრიცხვა, მათი კოოპერაციაში ჩაბმის მიზნით ღარიბთა ფონდის ანგარიშზე; სასამართლოების ორგანოებს მოჯამაგირეთა და დამქირავებლებს შორის წამოჭრილ კვლევა-ძიების საქმეების დაჩქარებით განხილვა; დამზღვევ სალაროს — კულაკურ მეურნეობაში მყოფ მოჯამაგირეთა დაზღვევის საკითხის დაჩქარებით მოგვარება; პოლიტგანს, კომკავშირის მაზრკომს და მიწა-ტყის კავშირს დაევალა საკითხის დამუშავება მოჯამაგირეთა შორის კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობის დარგში, როგორც არის მაგ. მოჯამაგირეთა ჩაბმა პოლიტსკოლებში, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლებში, ქოხ-სამკითხველოებში, ადგილობრივ კედლის გაზეთებში და ცენტრალურ პრესაში მოჯამაგირეთა ყოფა-ცხოვრების გაშუქების შესახებ.

დაახლოებით ასეთი მუშაობის სურათია წელს ქუთაისის მაზრის მოჯამაგირე-მუშა ახალგაზრდობაში. ვფიქრობთ ამის შემდეგ კიდევ უფრო გაღრმავდება მათი მუშაობა და აღმოიფხვრება ამ მუშაობაში შემჩნეული ნაკლოვანებანი.

ივ. გუხაიძე.

ასეთი მუშაობით შორს ვერ წავალთ

(ხეთის თემი, ზუგდიდის მაზრა)

ხეთის თემში არსებობს მიწა-ტყის კავშირის განყოფილება, რომლის თავმჯდომარედ ითვლება ლადო თოდუა. საერთოდ დაქირავებულ მუშების მდგომარეობას და კერძოდ მოჯამაგირეთა შორის მუშაობას თოდუა თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს. კავშირის ბინა ყოველთვის გამოკეტილია, თუ თავმჯდომარის ნახვა გსურთ, ის ბაზარში უნდა ეძიოთ.

30 ივნისს ფოთში გაიმართა ცხენების მარულა მასზე დასასწრებლად გაემგზავრა ამხ. თოდუა და იქ ერთი კვირა დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში კავშირის კარები გამოკეტილი იყო. საქმეზე მოსული მოჯამაგირენი კი ამაოდ ელოდებოდნენ კავშირის თავმჯდომარეს.

საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება კავშირის სამაზრო გამგეობამ და ხეთის კომორგანიზაციამ. ასეთი მუშაკი პროფესიონალურ ორგანიზაციას არ გამოადგება.

მსუბუქი კავალერია.

საბჭოთა აპარატის წმენდისათვის

როგორ მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა

საბჭოთა აპარატის გამწმენდ რესპუბლიკანური კომისიის სხდომა

გუშინ დილით შესდგა საქ. საბჭოთა აპარატის გამწმენდ რესპუბლიკანური კომისიის სხდომა. დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: საბჭოთა აპარატის გამწმენდ თბილისის საოლქო კომისიის დარსება, შრომის სახ. კომისარიატის წარმომადგენლის საინფ. მოხსენება უმუშევართა გაწმენდაზე და მოხსენება მუშათა დამხმარე კომისიების მუშაობის გამოკვლევის შედეგებზე.

პირველ საკითხზე სხდომამ მოისმინა ამხ. გ. დევდარიანის მოხსენება ახალ ადმინისტრატიულ დარაიონებასთან დაკავშირებით საოლქო გამწმენდ კომისიის დარსების შესახებ. სხდომამ მიზანშეწონილად ჩასთვალა საბჭოთა აპარატის თბილისის საოლქო კომისიის დარსება.

შემდეგ მოსმენილ იქნა შრომის სახ. კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. ათოევის საინფორმაციო მოხსენება უმუშევართა წმენდის წინასწარი შედეგების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უმუშევართა გაწმენდას აწარმოებს 14 გამწმენდი კომისია, რომელთაგანაც შვიდი კომისია მუშაობს ყოველდღიურად. უმუშევართა წმენდის ნორმალურად მიმდინარეობას ხელს უშლის ის გარემოება, რომ თვით გამწმენდი კომისიის წევრებიც ზოგჯერ არ ესწრებიან გაწმენდას. იყო შემთხვევა, როდესაც გამწმენდი კომისიის მთელი შემადგენლობა არ გამოცხადდა უმუშევართა წმენდისათვის დანიშნულ დღეს და ამნაირად ჩაიშალა ამ დღის გამოცხადებულ უმუშევართა გაწმენდაც. კომისიებისათვის დამხმარე წევრებათ გამოყოფილია 60 მუშა, რომლებიც აწარმოებენ უმუშევართა მდგომარეობის და ყოფა-ცხოვრების გამოკვლევას სახლებში და მათზე სათანადო მასალის მიწოდებით კომისიებს უწევენ დიდ დახმარებას. უმუშევართა გამოძახება გაწმენდაზე სწარმოებს სათანადო უწყებების საშუალებით. წმენდის დამთავრება განზრახულია აგვისტოს განმავლობაში, მაგრამ რაკი უმუშევართა 30 პროცენტი არა ცხადდება წმენდაზე, ამისათვის მიმართავენ შემდეგ საშუალებას.—წმენდაზე გამოუცხადებელ უმუშევარს ხელმეორედ უგზავნიან უწყებას და თუ ამის შემდეგაც სამი დღის განმავლობაში არ გამოცხადდა წმენდაზე, მაშინ იგი მექანიკურად გამოირიცხება უმუშევართა სიიდან. წმენდაზე უმუშევართა ნაკლებად დასწრება აიხსნება იმ მიზეზითაც, რომ ბირჟის გარეშე ბევრი უმუშევარი არის მიღებული სამუშაოზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა უმუშევართა წმენდისათვის მეტად სუსტად ჩატარდა. გარდა ამისა, სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებიც არ უწევენ შესაფერ დახმარებას გამწმენდ კომისიებს. ასე მაგ., თბილისის საბჭოს დღემდე არ მოუწყობია სამოქალაქო ხმის უფლება აყრილ მოქალაქეთა სია, რაც აბრკოლებს გამწმენდ კომისიების მუშაობას. საზოგადოებრივი აქტივობაც საგრძნობლად მოისუსტებს უმუშევართა გაწმენდის საქმეში.

სხდომამ აღნიშნა რა უმუშევართა წმენდისათვის წინასწარ მოსამზადებელი მუშაობის სუსტად ჩატარება, საჭიროდ ჩასთვალა სათანადო აგიტაციისა და ახსნა-განმარტებითი მუშაობის ფართოდ გაშლა და გაძლიერება; ამასთანავე სხდომამ მიზანშეწონილად არ სცნო წმენდაზე ხელმეორედ გამოძახებულ უმუშევართათვის განსაზღვრული სამი დღის ვადა და დაადგინა აღნიშნული ვადა გადიდებული იქნეს.

მესამე საკითხად მოსმენილი იქნა ამხ. კაშაურის (მუშგლეხინიდან) და კობახიძის (პროფსაბჭოდან) მოხსენება წმენდის დამხმარე კომისიების მუშაობის გამოკვლევის შედეგებზე.

როგორც მომხსენებლებმა აღნიშნეს, გამოკვლეული იქნა ქალაქის აღმასკომის, ფინსახკომის, იუსტიციის სახ. კომისარიატის, ქალაქის მილიციის და მიწათმოქმედების სახ. კომისარიატების დამხმარე კომისიების მუშაობა. ყველა კომისიებს, გარდა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან არსებულ დამხმარე კომისიისა გამომუშავებული აქვთ თანახმად წმენდის ინსტრუქციისა სამუშაო გეგმა. აღნიშნულ დაწესებულებაში მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე ჩატარებულია მოხსენებები საბჭოთა აპარატის გაწმენდის შესახებ, წმენდის საქმეში ჩაბმული დაწესებულებათა აქტივი, ხოლო რაც შეეხება დაწესებულებათა გარეშე მდგომ მასების ყურადღების მობილიზაციას ამ საკითხზე, ის საგრძნობლად მოისუსტებს, ვინაიდან პროფკავშირებს ამ საკითხზე არ უზრუნვიათ. სათანადო აგიტაცია დაწესებულებებში დღემდე არ არის გამოყენებული, ვინაიდან პროფორგანიზაციებს არ მიუწვდიათ მათთვის საჭირო მასალა. ზოგიერთ დაწესებულებებში შემდეგი მორიგეობა განსაზღვრულ საათებში არ სწარმოებს, კედლის გაზეთებში არ შუქდება წმენდისათვის ფაქტიური მასალები. ფინსახკომში დამხმარე კომისიის მუშაობა თავის სიმაღლეზე არის დაყენებული. სწარმოებს მორიგეობა, აქვთ გამოკიდებული საჩივრებისათვის ყუთი; კარგად მუშაობს აგრეთვე იუსტიციის დამხ. კომისიაც. შრომის ბირჟასთან არ არის დაარსებული დამხმარე კომისიები და ამ მხრივ არავითარი მუშაობა არ არის ჩატარებული.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათის დამთავრების შემდეგ სხდომამ თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ წმენდისათვის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის არა დამაკმაყოფილებლად ჩატარების გამო (კერძოდ, კი სოცდაზღვევის ორგანოებში), მიზანშეწონილად იქნა ცნობილი სოცდაზღვევის ორგანოებში 14 აგვისტოს მაგიერ გაწმენდა დაიწყოს 20 აგვისტოდან.

მიეცა წინადადება საქ. პროფსაბჭოს, რათა მან დროზე მიიღოს სათანადო ზომები მიწსახკომში წმენდისათვის მოსამზადებელი მუშაობის სათანადოთ გაშლისათვის. აღნიშნა აგრეთვე, რომ პროფკავშირების მიერ თავის დროზე არ არის მიღებული ზომები დასაწინაურებელ მუშებისათვის კურსების გასახსნელად და ამისათვის საჭირო თანხების გამოსანახავად.

რაც შეეხება წმენდის ჩატარებას მაზრებში, სხდომამ დაადგინა, სოფლებში 20 სექტემბრის მაგიერ წმენდა დაიწყოს 1-ლ ოქტომბერს, ხოლო სამაზრო ქალაქებში 10 ოქტომბრის მაგიერ 15 ოქტომბერს. ახალქალაქში 14 აგვისტოს მაგიერ ჩატარდება 14 სექტემბერს. საქალაქო აპარატის წმენდას ახალქალაქში ჩაატარებს თბილისის საოლქო კომისია.

ქიმიური მრეწველობის პერსპექტივები

ამიერ-კავკასიაში

ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში მიღებული ცნობებით, მომავალი საბიუჯეტო წლის განმავლობაში, ამიერ-კავკასიაში დაიწყება ქიმიური მრეწველობის შემდეგი ახალი ქარხნების აგება;

ქუთაისში გადაწყვეტილია ლიტოპონის (სალებავია) ქარხნის აგება, რომელიც დაჯდება 825.000 მანეთი. ამ თანხიდან მარტო 1929-30 წლის განმავლობაში ქარხნის აგებაზე უნდა დაიხარჯოს —500.000 მანეთი. სომხეთში აიგება ე. წ. ციანომიტის (ქიმიური პროდუქტია) ქარხანა, რომლის ხარჯთ-აღრიცხვაც უდრის—5.390.900 მანეთს. სომხეთშივე გადაწყვეტილია გოგირდ-მჟავეს დამამზადებელი და შაბიამნის ქარხნების მშენებლობის დაწყება. გოგირდ-მჟავეს დამამზადებელი ქარხანა დაჯდება—500.000 მანეთი, ხოლო შაბიამანის—430.000 მანეთი.

ქიმიური მრეწველობის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია აგრეთვე ყველა არსებული ზეთსახდელი ქარხნების მექანიზაცია, რისთვისაც გათვალისწინებულია—591.800 მანეთის დახარჯვა.

სულ ამიერ-კავკასიის ქიმიური მრეწველობის გასაფართოებლად მომავალ საბიუჯეტო წელში გათვალისწინებულია 6.748.400 მანეთის დახარჯვა. ამ თანხიდან საქართველოს ქიმიურ მრეწველობის ხვედრია—665.400 მანეთი, აზერბეიჯანის—336.700 მან. და სომხეთის—4.622.300 მანეთი. დანარჩენი თანხა გათვალისწინებულია სამეცნიერო-საგამომცდელო სამუშაოების ჩასატარებლად და ქიმიური მრეწველობისათვის საჭირო ნედლი მასალის დასამზადებლად.

ბეკონის ქარხნის აგება

ვინაიდან ბეკონის წარმოებას მჭიდრო კავშირი აქვს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მოქმედებასთან, მეღორეობის განვითარების ხაზით, ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული ბეკონის ქარხნის აგება შეტანილ იქნას „სოფლის კავშირის" წარმოებაში. ქარხანა აიგება დასავლეთ საქართველოში.

წინადადება მიეცა „სოფლის კავშირს" ბეკონის ქარხნის მშენებლობა განახორციელოს სმუს სააღმშენებლო კანტორის მეშვეობით. ქარხნის აშენების პროექტის ღირებულება დამტკიცებულ იქნა 25.000 მან. რაოდენობით.

წინადადება მიეცა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს გაითვალისწინოს 1929—30 წ. სამუშაო გეგმაში აგრიკულტურული ღონისძიებანი, რაც აუცილებელია სამრეწველო მესაქონლეობის განსავითარებლად ბეკონის ქარხნის რაიონში.

ხევსურეთის გზის მშენებლობა

ხევსურეთის გზის აშენების მეორე ვარიანტის პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა დაამტკიცა ეკონომიურმა საბჭომ 246.457 მან. რაოდენობით.

მიმდინარე წელს უნდა დამთავრდეს საურმე გზა ჟინვალიდან მაღაროს-კარამდე, რისთვისაც გაღებულ უნდა იქნეს სათანადო ხარჯთაღრიცხვით 97.789 მან., აქედან 50.000 მან. რესპუბლიკანური საგზაო ფონდიდან და დანარჩენი თანხა თბილისის სამაზრო აღმასკომის სახსრებიდან.

1929—30 წ. უნდა დამთავრდეს პროექტის მეორე ნაწილი ე. ი. მაღაროს-კარი—ბარისახოს გზა. ამ მიზნისათვის საჭირო — 50.000 მანეთი გათვალისწინებული იქნება მომავალი წლის საკონტროლო ციფრებით (რესპუბლიკანური საგზაო ფონდით) და დანარჩენი თანხა თბილისის აღმასკომის ადგილობრივ საგზაო ფონდით.

ხსენებულ გზის აშენება დაეკისრა საქართველოს გზა-ტრანსპორტის სამმართველოს, რომელსაც დაევალა დაუყოვნებლივ შეუდგეს სამუშაოებს.

საქ. სახკომსაბჭოში

გლეხობისათვის დარიგებული თესლის დაბრუნების შესახებ

ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს დაევალა სოფლის კავშირთან შეთანხმებით გამოარკვიოს წარსულ წელში გლეხობისათვის დარიგებული სათესლე მასალის ღირებულების ნამდვილი ჯამი. წარსულ წელში დარიგებული სათესლე მასალა დაბრუნებულ უნდა იქნეს ნატურით.

ავეჯეულობის შემოტანა

წინადადება მიეცა მუშკოოპს და ტყის მრეწველობის ტრესტს ბაზრის ავეჯეულობით მომარაგების საქმეში იმოქმედონ მათ შორის დადებულ გენერალურ ხელშეკრულებით.

თბილისის მუშკოოპის მიერ მოკავშირე რესპუბლიკებიდან ავეჯეულობის შემოტანის აკრძალვა მიზანშეწონილად იქნა ცნობილი.

კვერცხზე მტკიცე ფასების დაწესება

დაევალა ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს მიიღოს საჭირო ეკონომიური ზომები კერძო ვაჭართა მიერ კვერცხზე დასამზადებელი ფასების გადიდებასთან საბრძოლველად.

ინვალიდთა ნადების მოთხოვნილების შესახებ

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო, რათა ინვალიდთა კოოპერატიული ნადების კავშირის მოთხოვნილება 50.000 მან. რაოდენობით შეტანილ იქნას 1929—30 წ. საკრედიტო გეგმაში.

სააღმშენებლო-სატექნიკო კომიტეტის 1929—30 წ. ხარჯთაღრიცხვა

ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სააღმშენებლო-სატექნიკო კომიტეტის 1929—30 წ. ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ იქნა — 43.532 მან. რაოდენობით.

ქიმიური ლაბორატორიის სახელწოდების შეცვლა

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის გამგებლობაში მყოფი ქიმიური ლაბორატორიის სახელწოდება შეცვლილ იქნა „ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სასამართლო-საექსპერტო ლაბორატორიათ".

საპნის ქარხნის ნედლეულით მომარაგება

წინადადება მიეცა ვაჭრობის სახ. კომისარიატის სამმართველოს მიიღოს ზომები ინვალიდთა კოოპერატიული ნადების კავშირის საპნის ქარხნის 1929—30 წ. ნედლეულით მაქსიმალურად მომარაგების შესახებ.

რა ხდება ადგილებზე

სარწყავი არხების შეკეთება

ქუთაისი, 13 აგვისტო. ხანგრძლივი გვალვის გამო, მაზრის მელიორატიული ამხანაგობები აჩქარებული ტემპით მუშაობენ „მაშველი"-ს წვრილი სარწყავი არხების გასაყვანად. სწარმოებს სასწრაფო შეკეთება მაზრის ყველა არხის ხელოვნური ნაგებობებისა. ყოველდღე მუშაობს 500 კაცი. ისინი გაწვეულნი არიან შრომის ბეგარის წესით.

მიუხედავად ამისა, სარწყავი არხების ქსელის დაუმთავრებლობის გამო, შეუძლებელია გლეხების მთლიანად დაკმაყოფილება სარწყავით. არხებს არა ჰყოფნით რაბები, ღარები, სიფონები და სხვ.

დიდი გვალვის გამო, გლეხები რიგს გარეშე იტაცებენ წყალს, რაც ძალზე აფერხებს არხების ნორმალურად გამოყენებას. (ადს).

ფლორიდინის ქარხანაში

ქუთაისი, 13 აგვისტო. ქუთაისის ფლორიდინის ქარხანა ამა წლის 12 აგვისტოდან გადადის სამცვლიან მუშაობაზე და განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე, რაც პროდუქციას გაადიდებს 32-დან 48 ტონამდე თვეში. ქარხანა სავსებით უზრუნველყოფილია იმ ნედლეულით (თიხით), რომელიც მოიპოვება სოფელ გუმბრში (ქუთაისიდან 7 კილომეტრის მანძილზე). დღემდე ქარხანაში 20 კაცი მუშაობდა. სამცვლიან მუშაობაზე გადასვლის შემდეგ 30 კაცი იმუშავებს. ქარხანაში შემოღებულია 7 საათის სამუშაო დღე. ქარხანას ელექტროენერგიას აძლევს აჰესი აწყვის. (ადს).

ანქილოსტომიაზი

ახალ-სენაკი, 13 აგვისტო. მაზრაში მე-15 დღეა მუშაობს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის ექსპედიცია ანქილოსტომიაზის (ჭიით დაავადება) შესასწავლად.

გამოკვლევამ მეტად სავალალო სურათი აღმოაჩინა, განსაკუთრებით თეკლათის თემში. სოფელ გოლასკურში და ტყირში დაავადებულია მცხოვრებთა 80—90 პროცენტი. ავადმყოფები გაყვითლებულნი არიან, დაკარგული აქვთ მადა. ეს ავადმყოფობა მალარიას წააგავს. (ადს).

დარაიონება

ახალ-სენაკი, 13 აგვისტო. მოვიდა მთავრობის კომისია, რომელმაც უნდა ჩაატაროს მაზრის დარაიონება. სოფლის საბჭოების რიცხვი 34-დან გადიდდება 39-მდე. ეწყობა ახალი სასოფლო საბჭოები. ძველი აბაშის, ნაგვაზაოს, ქვედა თეკლათის, სეფიეთის და წყემის. (ადს).

პელაგრა

ახალ-სენაკი, 13 აგვისტო. სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებამ აღრიცხა პელაგრით დაავადების 140 შემთხვევა. პელაგრა განსაკუთრებით გავრცელებულია გლეხებს შორის, ცუდი კვების გამო. შიშობენ, რომ პელაგრა უფრო გავრცელდება. (ადს).

სამანქანო-სატრაქტორო სადგურები

ახალ-სენაკი, 13 აგვისტო. პროფ. ამირაჯიბის მეთაურობით მოვიდა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კომისია მაზრაში სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოსაწყობად.

კომისიამ დაათვალიერა „ანჯელი"-ს რაიონი, რომელიც დიდ ვაკეს წარმოადგენს, და არჩევანი ამ რაიონზე შეაჩერა. სადგურის მოწყობას დაუყოვნებლივ შეუდგებიან. (ადს).

წითელ ჯარში

1907 წელში დაბადებულთა გაწვევა

მოსამზადებელი მუშაობა მოისუსტებს

1907 წელში დაბადებულ ახალგაზრდების გაწვევა წითელი ჯარის რიგებში დაიწყება მიმდინარე წლის 2 სექტემბერს.

გაწვევამდე დარჩა ძალიან მცირე დრო. სამხედრო უწყება თავის დროზე შეუდგა სამზადისს გაწვევისათვის და წინასწარ მიიღო ზომები გაწვევის წარმატებით ჩასატარებლად.

საქართველოს ცენტრალურმა სამმართველომ თავის დროზე დასვა ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციების წინაშე საკითხი ჯარში გაწვევის კამპანიის ჩატარების შესახებ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოსამზადებელი მუშაობა როგორც თბილისში, ისე ადგილებზე მოისუსტებს.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც მოწოდებული არიან ყოველმხრივ შეუწყონ ხელი წითელი არმიის ბრძოლის უნარიანობის განმტკიცებას, დღევანდლამდე არაფერი არ გაუკეთებიათ ჯარში გაწვევის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად, თუ არ მივიღებთ მხედველობაში დაგვიანებით გაგზავნილ ორიოდე ცირკულიარს.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმს არ მოეპოვება არავითარი ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ატარებენ მისი ორგანიზაციები ადგილებზე ჯარში გაწვევის კამპანიას.

არაფერი კეთდება თვით თბილისის ფარგლებში, სადაც თავმოყრილია მრავალი წარმოება-დაწესებულება.

ავიაქიმის რაიონულ საბჭოებს არა აქვთ არავითარი მასალა, რომელიც ეხება ჯარში გაწვევას.

ხსენებულ საბჭოებს არ აუყვანიათ აღრიცხვაზე თავისი ის წევრები, რომლებსაც ეხებათ გაწვევა წითელი ჯარის რიგებში.

ავიაქიმის უჯრედები არ აწარმოებენ არავითარ საქმიან მუშაობას გასაწვევთა შორის, არ უმარტავენ მათ შეღავათების საკითხს და ჯარში სამსახურის პირობებს.

ჯერ-ჯერობით ავიაქიმის არც ერთ საბჭოს და უჯრედს არ ჩაუტარებია ჯარში გასაწვევ ავიაქიმელთა საერთო კრება, ან კონფერენცია.

ამ გარემოებას უნდა მიაქციონ სერიოზული ყურადღება საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმში და ავიაქიმის თბილისის საბჭომ.

წითელ ჯარში გასაწვევი ავიაქიმელები უნდა იყვნენ მაგალითის მიმცემნი სხვა ახალგაზრდობისათვის.

თვით ავიაქიმის ორგანიზაციები ყოველმხრივ უნდა უწყობდნენ ხელს ახალგაზრდობის გაწვევას წითელ ჯარის რიგებში და აძლევდნენ მაგალითს სხვა ორგანიზაციებს.

ვიმეორებთ, გაწვევამდე დარჩენილია ძალიან მცირე დრო და ავიაქიმმა უნდა გამოიღვიძოს და მოჰკიდოს ხელი მუშაობას გაწვევის ირგვლივ.

მხედარი.

ჯარში გაწვევა დაიწყება 2 სექტემბერს

თბილისის სამხედრო კომისარიატის ცნობით, 1907 წელში დაბადებულთა გაწვევა თბილისში დაიწყება მიმდინარე წლის 2 სექტემბერს.

2—3 სექტემბერს გამწვევ კომისიებში უნდა გამოცხადდენ ის მუშა-მოსამსახურენი, რომელთა სიებიც წარდგენილია სამხედრო კომისარიატში. ამ დღეებში იწარმოებს ახალწვეულთა საექიმო შემოწმება.

თბილისის ოლქის სამხედრო კომისარიატმა უკვე გამოაქვეყნა იმ ახალწვეულთა სიები, რომლებსაც უფლება აქვთ შეღავათებზე ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით. სიები თბილისში გამოკრულია სამილიციო რაიონებში, სოფლებში კი—აღმასკომებთან და სოფლის საბჭოებთან.

ყოველი მოქალაქე, რომელიც გაეცნობა სიებს და შეამჩნევს, რომ შეღავათი ამა თუ იმ მოქალაქეს მიცემული აქვს არა კანონიერად, ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ ან სამხედრო მაგიდის გამგეს, ან და მილიციის უფროსს. თბილისში განცხადება შეღავათის უკანონოდ მიღების შესახებ, შეტანილ უნდა იქნეს სამხედრო კომისარიატში სამხედრო კომისრის სახელზე.

გაწვევის პირველ დღეებში თბილისში იმუშავებს 5 გამწვევი კომისია. შემდეგ 3 კომისია გაემგზავრება სამუშაოდ თბილისის ოლქის სხვადასხვა ადგილებში. თბილისში მუდმივად დარჩება 2 გამწვევი კომისია.

პირველი კომისია იმუშავებს ყოფ. ბორჩალოს მაზრის შემდეგ პუნქტებში: შაუმიანი, ლიუქსემბურგი და ბაშკიჩეთი; მეორე კომისია იმუშავებს ყოფ. თბილისის მაზრაში. იგი შემოივლის შემდეგ პუნქტებს: საგარეჯო, ასურეთი, მანგლისი და ბარმაქსიზი (წალკა), მესამე კომისია იმუშავებს ყოფ. დუშეთის მაზრის შემდეგ პუნქტებში: თვით დუშეთში და ფასანაურში. ამრიგად გასაწვევი ახალგაზრდობა დიდი ხნით არ დაბანდდება გასაწვევ პუნქტებზე და თვით გაწვევაც გამწვევი კომისიების სიმრავლის გამო, ჩატარდება უფრო მიზანშეწონილად.

პროფკავშირების მონაწილეობა გაწვევაში

საქართველოს პროფსაბჭომ ცირკულიარით დაუგზავნა კავშირების ცენტრალურ გამგეობებს ჯარში გაწვევის კამპანიაში მონაწილეობის შესახებ.

ცირკულიარის თანახმად მსხვილ წარმოებებში და კლუბებში არსდება კომისიები, რომლებსაც ევალებათ ჩაატარონ გაწვევის კამპანია და აწარმოონ გაწვევასთან დაკავშირებული სოორგანიზაციო მუშაობა.

საერთო კრებებზე გაკეთებული უნდა იქნეს მოხსენებები გაწვევისა და შეღავათების შესახებ.

ცნობათა მაგიდები მომარაგებული უნდა იქნეს ყველა საჭირო მასალით და ლიტერატურით.

კავშირებმა გაწვევამდე უნდა მოაწყონ გასაწვევთა ექსკურსიები ყაზარმების და ბანაკების დასათვალიერებლად.

გასაწვევთა კონფერენციები

15 აგვისტოდან თბილისის სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში ჩატარდება ამ დაწესებულებებში მომუშავე გასაწვევთა კონფერენციები.

კონფერენციების დღის წესრიგში დასმულია გაწვევასთან დაკავშირებული საკითხები.

ასეთივე კონფერენციები ჩატარდება ახალქალაქში, ასურეთში და საგარეჯოში.

საგიტაციო პუნქტი

თბილისის სამხედრო კომისარიატის შესაკრებ წერტილთან (სადგურის ქ. 2) ეწყობა საგიტაციო პუნქტი, სადაც გაწვევის დროს, აწარმოებს კულტურულ-პოლიტიკური მუშაობა გასაწვევთა შორის.

წითელი არმიის მანევრების წინ

ამხ. ნემერზელის მოხსენება

12 აგვისტოს საღამოს 9 საათზე შესდგა თბილისის ყველა გაზეთების წარმომადგენლების კრება, რომელზედაც ამხ. პოლიტსამმართველოს უფროსის მოადგილემ ამხ. ნემერზელმა გააკეთა მოხსენება კავკ. წითდრ. არმიის მომავალი მანევრების შესახებ.

ამხ. ნემერზელმა აღნიშნა, რომ არმიის მანევრები წარმოადგენენ დიდ პოლიტიკურ და სამხედრო კამპანიას და ამისათვის საჭიროა გაცხოველებული მზადება მანევრებისათვის.

მანევრებში მიიღებენ მონაწილეობას ჯარის ერთეულები და აგრეთვე ისეთი ნაწილები, რომლებიც არ შედიან კავკასიის არმიაში, მაგ. ტანკები, განსაკუთრებული ქიმიური ნაწილები და სხვ.

მანევრებმა უნდა გამოაშკარავონ როგორც წითელი ჯარის საბრძოლო მომზადება, ისე მეთაურების უნარიანობა, არმიის პოლიტაპარატის მოქნილობა და მომზადება ბრძოლის პირობებში.

კრებამ შეიმუშავა პრესის წარმომადგენლების მონაწილეობის წესრიგი მანევრებში.

აღლუმი

კავკასიის წითელ დროშოსანი არმიის მანევრები დამთავრდება 3 სექტემბერს. ამ დღეს თბილისში (ვაკეზე) გაიმართება არმიის გრანდიოზული აღლუმი თბილისის პროლეტარიატის თანდასწრებით.

აღლუმის დროს გაკეთებული იქნება მოხსენებები მანევრების მსვლელობის და მნიშვნელობის შესახებ.

სახკინმრეწვი მანევრებზე

არმიის მანევრების მსვლელობა და მისი ცალკე ეტაპები გადაღებული იქნება სახკინმრეწვის ოპერატორების მიერ კინო-ლენტზე.

წიგნი მანევრების შესახებ

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის მიერ გამოცემულ იქნება წიგნი „რა არის მანევრები და რისთვის ტარდება იგი".

ხსენებული წიგნი გამოვა 5.000 ცალად და უფასოდ დაურიგდება იმ რაიონის მცხოვრებთ, სადაც იწარმოებს მანევრები.

ავიაქიმის მონაწილეობა

არმიის მანევრებში მუშათა ათასეულების გარდა მიიღებენ მონაწილეობას ავიაქიმის შემდეგი პრაქტიკული ორგანიზაციები: 3 ქიმიური რაზმი, ქალთა საკავშირო წრე, 6 ველოსიპედისტების ჯგუფი. გორის ავიაქიმი გზავნის მანევრებზე 1 ქიმიურ რაზმს და ველოსიპედისტების ერთ ჯგუფს.

თბილისის ავიაქიმში

დღეს, საღამოს 7 საათზე, ავიაქიმის თბილისის საბჭოში შესდგება ამავე საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზედაც განხილული იქნება მანევრებთან დაკავშირებული საკითხები.

აეროპლანი „წითელი სტატისტიკოსი"

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს თანამშრომლების საერთო კრებამ პასუხად იმ ცდებისა, რომლებსაც მიმართავენ კაპიტალისტური ქვეყნები ჩვენი მშვიდობიანი მუშაობის დასარღვევად, გადასწყვიტა გაიღოს ერთი დღის ხელფასი აეროპლან „წითელი სტატისტიკოსი"-ს ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად.

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს თანამშრომლებმა ამ ფონდის შესავსებად გამოიწვიეს: საბჭოთა კავშირის, რუსეთის, უკრაინის, ამიერ-კავკასიის, თურქმენისტანის, უზბეკისტანის, სომხეთის, აზერბეიჯანის, ავტონომიურ რესპუბლიკების სტატისტიკის განყოფილებების და აგრეთვე საუწყებო სტატისტიკის ყველა თანამშრომლები.

აეროპლანისათვის გადადებულ თანხების შეგროვების ადგილად არჩეულია საკავშირო სახელმწიფო ბანკი.

ნიუ-იორკი*)

(შთაბეჭდილებანი)

დღეს მე მისტერ სმიტის სტუმარი გახლავართ. გადაწყვეტილი საქმეა! ბევრი ვიუარე, მაგრამ არაფერი გამივიდა.

— მართალია, აქ სტუმრობა და მასპინძლობა არ იციან, მაგრამ მე რომელი აქაური ვარ. ჩემი ხორცი აქ არის, ჩემი სული იქ ტრიალებს. არაფერი მადლობელი ვარ თქვენი. თქვენთან შეხვედრა და დაახლოება ჩემთვის ნამდვილი სატანჯველია! მისტერ სმიტს ერთი ახირებული თვისება აქვს სხვა ბევრ ახირებულ თვისებათა შორის. მისი აზრი უფრო ჩქარა მუშაობს, ვიდრე ენა. არ უყვარს ერთ საგანზე დიდ ხანს შეჩერება. რაც აქვს სათქმელი, ვერ მოათავებს, ნაწყვეტად მიატოვებს, და, როცა ახალ საგანზე გადავა, სრულებით უცხოსა და ახალ რამეს შემოაბრუნებს ენაზე.

მე ვიცი მისი ასეთი თვისების ამბავი, მაგრამ ხშირად ვერ მივწვდები ხოლმე ამ ნაწყვეტების საშუალებით მის აზრთა მსვლელობის ძაფს.

— არ მესმის, მისტერ სმიტ, რატომ დაგაყენათ ჩემმა გაცნობამ თქვენ ასეთი იძულება?

— რატომ და მიტომ... განა ყველაფერს თქმა უნდა? თქვენ ვერ მიხვდებით?

— ვერ მივხვდები, მართალი რომ გითხრათ!

— მაშ, მე გეტყვით, თქვენ აქ რჩებით სამუდამოთ?

— რასაკვირველია, არა!

— ბატონს გაუმარჯოს, მაგას არ ვამბობ მეც!? წახვალთ, ხომ?

— წავალ, რა თქმა უნდა! მე თქვენი ქვეყნის შემთხვევითი და მოკლე ხნის სტუმარი ვარ! ეს თქვენც კარგათ იცით, მე თქვენთვის არ მითქვამს...

— სააა კიდევაც, რომ გითქვამთ! რატომ უნდა წახვიდეთ თქვენ და ვერ უნდა წავიდე მე? რატომ, მე თქვენ გეკითხებით?

— პირიქით, თქვენც ჩინებულად შეგიძლიათ წასვლა, როგორც მე. ეს თქვენი სურვილის საქმეა.

— აი, ამას უყურეთ ერთი, სთქვა და გაამადა! ხა-ხა-ხა, გამაცინეთ, მე და ჩემმა ღმერთმა, დიდი ხანია ასე ხალისიანად არ გამიცინია. მე შემიძლია წამოსვლა, არა?

— რატომ არა?

— რატომ და... რომელი ერთი უნდა ჩამოგითვალოთ? ხელის თითები არ მეყოფა. ნაპოლეონის ომების დროს, თურმე, ერთი ასეთი ამბავი მომხდა. ერთ რომელიღაცა ქალაქს მიადგა ნაპოლეონის ჯარი. ამ ქალაქის აღება ჯარს არ უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ გასაკვირი ის იყო, რომ ქალაქის აღება სულ იოლად მოხდა. მიუახლოვდა თუ არა ჯარი ქალაქს, მოსახლეობას, ადგილობრივი ჯარი და მცხოვრებლები გამოეგებნენ პურ-მარილით და მოართვეს ქალაქის კარების გასაღები კლიტეები. აჰზობენ, ნაპოლეონს გაუკვირდა ეს ამბავი და მაშინათვე ქალაქის ჯარის უფროსი დაიბარა.

— ეხლავე აქ მომგვარეთო, გასცა თურმე ბრძანება. მოუყვანეს ეს ჯარის უფროსი.

— რატომ დაგვნებდა ქალაქი ასე უცბათ, რომ ერთი თოფიც არ გაგვისროლიათ, ჰკითხა ნაპოლეონმა.

— მიზეზები ბევრია, სათვალავით ას-ერთი მიზეზის დასახელება შემიძლია! მიუგო ჯარის უფროსმა.

— სთქვით, უბრძანა, თურმე ნაპოლეონმა.

— მიზეზი პირველი, დაიწყო ჯარის უფროსმა: ჩვენ არ გვქონდა ტყვია-წამალი, მიზეზი მეორე...

— საჭირო აღარ არის, გააწყვეტია ნაპოლეონმა.

— გაგიგონიათ ეს ამბავი, თუ არაკი? მომიბრუნდა მე სმიტი.

— არა, არ გამიგონია!

— მით უკეთესი! საქმე ისაა, რომ, როცა მტრის მოსაგერიებლად ჯარს ტყვია წამალი არა აქვს, მაშინ ყველაფერიც რომ ხელს უწყობდეს, ამ ჯარის საქმე მაინც დაღუპულია. მე კი არც ტყვია-წამალი გამაჩნია და ასი სხვა დაბრკოლება მიშლის ხელს. ყოველი სულიერი არსება იბადება, იზრდება, ბერდება და კვდება. ასეთია მიჯნები ჩვენი ცხოვრებისა. მე ამ გზაზე კარგა ხანია ვტკეპნი ტალახს, დავბერდი და ამიერიდან უკანასკნელი მიჯნისაკენ მიმაქანებს ჩემი უწყალო ბედი, მივდივარ იქ, საიდანაც აღარ არის გამობრუნება, სადაც აღარ ისმის არცა ვიში, არცა გოდება!

— გულის გატეხა არ გმართებთ, თქვენ ხომ არაფერი მოხუცებული ხართ!

— გულის გატეხა და გამთელება რა შუაშია? მიდის დრო, დღე—დღეს მისდევს, წელიწადი წელიწადს მისდევს—ილევა წუთისოფელი. ასეთია კანონი ბუნებისა გარდაუვალი, შეურყეველი! ეს არის ჩემი პირველი მიზეზი, დანარჩენებზე კი არც კი ღირს ლაპარაკი—ყველაფერი აქედან მოდის, ყველაფერი და ყველა ამ მიზეზს ამ პირველ მიზეზში აქვს სათავე. მქონდეს მე ახლა ძველებური ახალგაზრდული მოუტეხელი ჯანი და ღონე, გავახვევდი ძველ გაზეთის ქაღალდში ორიოდე წვრილ საცვლებს და გაუდგებოდი გზას, მაგრამ quod licet Jovis non licet bovis — იცით ხომ, რომაელები ამბობდენ ასე, არა? მათ ღმერთები სწამდათ და მიტომ ამბობდენ ღმერთს რაც შვენის, ის მოზვერს არ დამშვენდებაო.

— ნუ თუ თქვენ ასე დაძაბუნებულად გრძნობთ თავს? შევეკითხე სმიტს, მინდოდა ამ ბნელ ფიქრებისაგან მომეშორებია.

— არა, წელი ჯერ კიდევ მაგარი მაქვს, მაგრამ ამ ოკეანეს გადასალახავათ, ახალი ცხოვრებისათვის ხელის მოსაკიდებლათ კი... აღარ ვვარგვარ, ეს ცხადია, მერე კიდევ ოჯახი, იცით, რა არის აქაური ოჯახი? ან კი რას გეკითხებით, დღეს ხომ ჩემი სტუმარი ხართ, თქვენი თვალით დაინახავთ და გაიგებთ. მაშ, წავიდეთ, წავიდეთ, მომიჩქარა სმიტმა.

მივდივართ. სმიტი მე თითქოს სრულებით არ მაქცევს ყურადღებას. პირდაპირ იყურება, გამვლელებს თითქოს ვერც კი ამჩნევს, თვალები გაურკვეველ სივრცისათვის მოუშტერებია. ორივე ხელი თავის გრძელი პალტოს ჯიბეებში ჩაუწყვია. მიდის სმიტი და მის სახეზე ათასგვარი ზოლები გადაირბენს ხოლმე, ხან მოიღუშება, ხან გამოიდარებს, ხან დაკვნესის ნიშნებს ვამჩნევ.

— მერე, რა რიგ უნდა ჩემს სულს იმ ახალი ქვეყნის ნახვა, იმ თქვენი წვირიანი და დაუბანელი მეეთუნახავის კალთაში თავის ჩადება...

აჟურია, სადაური მეეთუნახავი და ისიც პირდაუბანელი. ვეტყოდი რამეს, მაგრამ პასუხს არ მომცემს.

— რუსეთი ჯერ ურმისა და ტალახიანი გზების ქვეყანაა, რუსეთს ჯერ ბევრი რამ აკლია. გაუნათლებელია? ფარისევლებო, ფარისევლებო!! რას ჰქვია განათლება? თქვენ გაქვთ ხელში განათლების ლამპარი, თქვენ?? მაცდით გზა, აცალეთ, თავს ნუ დაისხამთ და იქვენ დაინახავთ, რა სისწრაფით ჩამოიბანს ის საუკუნეების განმავლობაში რაც წვირე და სიბინძურე სჭირდა მას თქვენივე გამოისობით. სმიტი ეხლა მრისხანეთ ისვრის ნაკვესებს, სახეზე სიძულვილი და მუქარა სცვლის ერთმანეთს.

— ეხლავე მოვა ჩემი ბებერი, მითხრა სმიტმა, როცა მისას მივედით და მისაღებ ოთახში შემიძღვა.

სმიტის ბინა ჩვეულებრივი ამერიკელი ხელმოკლე მუშა-მოსამსახურის ბინაა. ორი ოთახი და სამზარეულო. ცალკეა მოთავსებული აბაზანა, პირსაბანი და სხვ. ცხელი და ცივი წყალი მუდამ არის ასეთ ბინებზე. გათბობა ორთქლისა, განათება კი, რასაკვირველია, ელექტრონის. საუცხოვოთ არის მოწყობილი აქაური სამზარეულოები. არის ბინები, სადაც სამზარეულო მეცნიერის ლაბორატორიის უფრო ჰგავს. ასეთს სამზარეულოში გაზს აღარ ხმარობენ. გაზი მოძველებული საშუალებაა და აღარაა მოწონებაში. გაზის ალაგს ელექტრონი იჭერს. დიასახლისი, როდესაც ასეთს სამზარეულოში ტრიალებს, ასე გეგონებათ ქიმიის პროფესორი ცდებს ახდენსო. ხორაგის გამზადება საჭმანდისათვის, წყალის ჩამატება, სხვადასხვა სანელებლის ჩადება—ყველაფერი ზომითა და წონითაა შეზავებული. მოდუღება, მოხარშვა, შეწვა, ყოველივე ეს ელექტრონის საშუალებით. ელექტრონიც არ არის ისე უბრალოთ მოწყობილი, როგორც ჩვენში. დიასახლისს ცალკე მაგიდაზე დადგმული აქვს რთული რაღაც მოწყობილება. კედელზე მიმაგრებულ დაფაზე სხვადასხვა წარწერებია, ამ წარწერების თანახმათ აამუშავებს ის ელექტრონის ძალას. საჭიროა, ვსთქვათ, საჭმანდის ნელ ცეცხლზე მოდუღება, ელექტრონის სახელური ერთ რომელიმე წარწერის გასწვრივ უნდა დააყენოთ, საჭიროა ჩქარი ცეცხლი, მაშინ ეს სახელური კიდევ სხვა ალაგას უნდა დააყენო და სხვ. და სხვ. თვითეულ მზარეულს, თუ დიასახლისს აქვს წიგნი, რომელშიაც არის ნათქვამი, თუ რომელ ხორცს, რომელ საჭმანდს რამდენი ხნის დუღება, რამდენი ხნით ცეცხლზე დადგმა სჭირდება. ვთქვათ, თქვენ გეჩქარებათ, არ შეგიძლიათ მოუცადოთ, როდის გათავდება საჭმანდის ხარშვა, მაშინ წიგნიდან ამოკრეფილ ცნობების მიხედვით დააყენებთ თქვენს აპარატს, მაგალითად 20 წუთზე, ნახევარ საათზე, იმისდა მიხედვით, თუ რამდენია საჭირო, და შეგიძლიათ არხეინათ გზას გაუდგეთ. მანქანა სწორეთ იმდენ დროს იმუშავებს, რამდენიც საჭიროა და ამის შემდეგ თვითონ გაჩერდება, არც დაიგვიანებს, არც აიჩქარებს. ასეთია ჩვეულებრივი სამზარეულო. თვითეულ სამზარეულოში არის აგრეთვე საყინულე, რომელიც იმავე ელექტრონის საშუალებით თვითონ ამზადებს ყინულს.

მისტერ სმიტის ბინა ვერ არის ასე ჩინებულათ მორთული და მოკაზმული. მას არა აქვს ელექტრონის სამზარეულო—ჩვეულებრივ გაზით სარგებლობს. გარდა ამისა, ის ამ უბანში თითქმის ერთი „თეთრი" ადამიანია, რომ ცხოვრობს. ამერიკელებს არაფრათ უყვართ ზანგები. გაურბიან მათთან კავშირსა და მეზობლობას. ქარხნებში კიდევ ნახავთ, რომ „თეთრი" და „შავი" მუშა ერთმანეთთან კავშირს არ ერიდებიან, მაგრამ ქალაქში ათასში ერთი მაგალითი უნდა ეძიოთ, რომ ქუჩაში თეთრსა და შავს ერთათ გამვლელსა და მოლაპარაკეს გადაეყაროთ. იმ უბანში, სადაც შავები ცხოვრობენ, თეთრი ბინას არ დაიჭერს. სმიტი ამ შემთხვევაშიაც გამონაკლისს შეადგენს. გამონაკლისს მეტის-მეტად იშვიათს და თითით საჩვენებელს.

— არ მოგწონთ განა ჩემი ბინა? მკითხება სმიტი.

— რატომაც არა, ჩინებულია!

— აქაურ პირობების კვალობაზე ეს ბინა კი არაა. ხომ იცით, რომ ეს „შავების" უბანია ამიტომაცაა, რომ ეს ბინა შედარებით უფრო იაფია. თეთრი აქ არ დადგება, თუ არა ჩემსავით თავზე ხელ-აღებული.

— რაღაც დააგვიანდა ჩემს ბებერს. დღეს სმიტი ვერ არის კარგ გუნებაზე. წამოუკუდმა გადის და გამოდის სხვადასხვა ოთახებში.

— რაღაც დააგვიანდა ჩემს ბებერს. დღეს ის გაღმა უნდა წასულიყო...

— სად გაღმა? გამიკვირდა მე.

— ჰუდსონის გაღმა, იქ მეორე ქალაქია. ყოველ შემთხვევაში სახელი სხვა ჰქვია ნიუჯერსი. იქ უფრო იაფია ცხოვრება, არ არის ასეთი სივიწროვე მიწის. იქ ჩემი უფროსი ვაჟი ცხოვრობს. ოჯახს მოეკიდა, ჩემთან აღარ მოისურვა ცხოვრება.

— მსახურობს, ალბათ, შევეკითხე მე. ეტყობოდა, რომ სმიტი ამ თავის ვაჟის მადლიერი არ იყო. არ მოსწონდა მისი ცალკე წასვლა საცხოვრებლად.

— მსახურობს, როგორ არა. როგორ გეკადრებათ „თეთრი საყელოს" ორდენის წევრი გახლავთ. იკადრებს ის ამ „შავების" უბანში ცხოვრებას!

— დიდი ხანია, რაც ცოლი შეირთო?

— არა, აგერ ექვსი თვე იქნება. მისი ცოლი აქაური მასწავლებელი ქალია. იქ თქვენში მასწავლებელი ქალი მოწინავე ადამიანია, აქ კი ქალები, საზოგადოთ, მეტის-მეტად ჩამორჩენილი ხალხია, მით უმეტეს მასწავლებელი-ქალები. სინიდისის — გაიგონეთ — სინიდისის და არა შიშის ქვეშ ზრდიან და ამზადებენ ისინი კაპიტალიზმისათვის საჭირო და გამოსადეგ მონებს.

— გასაკვირია... წამოვიწყე მე, მაგრამ სმიტმა არ დამაცალა.

— არაფერიც არ არის გასაკვირი, რომ აქაური ქალები ასეთები არიან. ამას ბევრი მიზეზები აქვს. გასაკვირი და სატირალი ისაა, რომ ჩემი —გესმით, ჩემი შვილი სულით, გონებით, რწმენით, მიმართულებით, ჩემი კი არ არის, არამედ იმათია, იმათ, ვის წინააღმდეგ ბრძოლას შევალიე ახალგაზრდობა, ჩემი ცხოვრება, ჩემი ჯანი და ღონე.

ალბათ, ბევრს ილაპარაკებდა ამაზე სმიტი, მაგრამ ამ დროს მისი მეუღლეც მოვიდა.

— სალამი ჩემო მეეთუნახავო! სად დამეკარგე? სად იყავი ამდენს ხანს?

— ხომ იცი, სადაც ვიყავი. შვრჩი. შენი ვაჟი და ჩემი რძალი კარგათ არიან, მოგიკითხესთ ორთავემ. ვილოდდი იქნებ მოვიდეს ამ საღამოს, რძალიკი...

— ოჰ! სთქვი ბარემაც ნუ გეშინია. რასი გერიდება? ვერ მოვა, არა? ოჰდა ნუმოვა. თუნდა ნურც ის შენი ვაჟი მობრძანდება. არ ვიტირებ, შავებს არ დავიძრავ, თავზე ნაცარს არ დავიყრი მაგის გულისათვის.

— ნუ იცი, ადამიანო, გადარევა! რა ვუყოთ, ახალგაზრდა ხალხია, გაიხსენე შენი ახალგაზრდობა, უყვავებდა ცოლი.

ჩვენც ვიყავით, ჩემო კარგო, ვიყავით ახალგაზრდა, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდობა ზვარაკათ მიტანილი მსხვერპლი იყო. პირადი, საკუთარი კეთილდღეობა, თავის-თავზე ფიქრი, აღარ გვახსოვს, როგორ გვქონდა ჩვენ ეს ყველაფერი? ციხე, გადასახლება, უცხოეთში ხეტიალი, რომელი ერთი ვთქვა, დაგავიწყდა, განა?

— არაფერიც არ დამვიწყებია, მაგრამ, რაც იყო. ის სხვა დრო იყო, ეს სხვა დროა. იქ სხვა პირობები იყო, აქ სხვაა.

სმიტის მეუღლე სიბერეში წასული ადამიანია. თმაში კიდევ ურევია იქა-აქ შავი, ჭაღარა მატობს. ჩამომხმარ სახეზე თითქოს ფაყვერთ აქვს გადაკრული ხმელი კანი, თვალები ღრმათ უზის ფუძეში, სათვალები ცხვირს უფრო აბერებს ამ სახეს. ეტყობა გულკეთილი ადამიანია. ქმარს ისე ელაპარაკება, თითქოს დიდს ბავშს, რომელსაც მოფერებითა და დაყვავებით უნდა მოაშლევინოს ახირებული ზნე.

— სხვა, რასაკვირველია, დიაღაც რომ სხვაა. იქ იყო ველური, უხეში და ტლანქი ძალადობა. თვეპირში გვიხათქუნებდენ, ჩვენც პირდაპირ ვებრძოდით. არ იყო დანდობა და შებრალება...

— შებრალება არც აქ იციან, ნუ გეშინია მორიდებასა და ბოდიშს არავინ დაგიწყებს, გააწყვეტია ცოლმა.

— განა არ ვიცი, რომ არ მოგებოდიშებიან, ვიცი! მე მაგას კი არ ვამბობ, მე იმის თქმა მინდა, რომ აქ ძალადობა ათასნაირ სამოსელში გახვეული. ადამიანს აქ შვილი ვერ გაუზრდია თავის ჭკუაზე. ჩემი შვილი, ადამიანის, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შეალია ბრძოლას, რომელიც არ დაინანებს თუნდა თავისი უკანასკნელი დღეები შესწიროს კაპიტალისტურ ჯოჯოხეთის წაქცევას, ჩემი შვილი კაპიტალისტური წესწყობილების მოტრფიალე და მოყვარულია. მერე რისი მქონე, უბრალო მოსამსახურე, ყოველგვარ საკუთრებას მოკლებული, ღარიბი და ღატაკი, რომელიც ვერასოდეს ვერ გახდება სიმდიდრის პატრონი...

— ჯერ ახალგაზრდაა, თავმოყვარეა, უნდა რომ თავისით დამოუკიდებლათ გაიკვლიოს ცხოვრების გზა, ნურც მაგრე დაძრახავ.

— ახალგაზრდაა, არა? რა ვუყოთ რომ ახალგაზრდაა? მე შენ ახალგაზრდას უკვე ახველებს და სისხლს აღებინებს, რომ მერე რასთვის? რომ ბატონს ხაზეინს ასიამოვნოს.

მე უხერხულად ვგრძნობდი თავს. არ მინდოდა ამ შინაური უსიამოვნების მოწმეთ დავსწრებოდი, მაგრამ რაღაც მარცხათ იქ ვიყავი და მთლად მუნჯივით ყოფნას ისევ ვარჩიე, რომ ლაპარაკში მიმეღო რაიმე მონაწილეობა.

— უკაცრავათ, სად მსახურობს თქვენი ვაჟი? შევეკითხე მე.

— ბანკში მსახურობს, ბანკში. რა თანამდებობაზე?—არ ვიცი ვერ გეტყვით. მაგ არაფერი, სამსახურში უნდა შევიდეს, რასაკვირველია! აბა თავს რითი ირჩენს, მე მაგას კი არ უწუნებ. იმ მამაცხონებულს გადაუწყვეტია, რომ რამენაირად უფროსების „ყურადღება" და „პატივისცემა" დაიმსახუროს, ამიტომ თავს აკლავს.

— ნუ იცი, კაცო, შენც გაზვიადება! შეუტია ცოლმა.

— გაზვიადება! არა?!

— აბა, რა ამდენი სალაპარაკოა ეხლა მაგ ამბავი. ცდილობს, რომ დაწინაურდეს, რა არის მაგაში დასაძრახისი?

— შენ ეს მითხარი, ეხლა როგორ არის აღარ ავათმყოფობს?

— ვერ არის კარგათ. მე რა დაგიმალო, მოვა და შენ თითონ დაინახავ...

— მე არ მიკვირს, არ მიკვირს. თქვენ წარმოიდგინეთ, უნდა ადგეს ყოველ დღე საათის ხუთზე. საუზმე უნდა მოამზადოს თავისთვის და თავის მეუღლისთვის. ასეთი ყოფილა წესი. ქალბატონი ლოგინში მიირთმევს საუზმეს. შემდეგ იქიდან მირბის თავ-ქუდ გადაგლეჯილი სამსახურში.

— ასე ადრე?

— ადრეა, რასაკვირველია, მაგრამ მას, აკი მოგახსენეთ, თავის გამოჩენა უნდა, დაწინაურება. ადრე მოვა, ერთი ან ორი საათით ჩაუჯდება და ჩაკიტკიტებს ამ ქაღალდებს. ასე იციან აქ, ამ დალუპულსა და დაწყევლილს ქვეყანაში.

— სავალდებულოა ასეთი ზედმეტი მუშაობა?

— სავალდებულო არ არის, რასაკვირველია, მაგრამ ვინც ამ წესს დაარღვევს ის, ისე იქნება ერთსა და იმავე ალაგას რამოდენიმე წელიწადს, რომ ჯამაგირის მომატებაზე ან სამსახურის საქმეში დაწინაურებაზე ფიქრიც კი უნდა დაივიწყოს.

— თუ აძლევენ მაინც რამეს ამ ზედმეტ მუშაობაში?

— არაფერს, ერთს გროშს არავინ მიაშავებს. ამას თავი დაანებეთ. როგორც დილით ისე საღამოთი: ერთი ან ორი საათი ზედმეტათ ზის და აკლავს თავს მუშაობას.

— სამაგიეროთ... უნდოდა ჩარეოდა ლაპარაკში სმიტის ცოლი.

— სამაგიეროთ, როცა ჯანი მოეჭყდება და დაავადმყოფდება, საკმარისია რამოდენიმე დღე გააცდინოს ზედიზედ და პანღურის ცემით გამოისტუმრებენ, არ დაანება სიტყვა სმიტმა.

— არც სულ მაგრეა, გადამლაშება არ ვარგა. ამას წინათ ავათ არ იყო, მთელი ერთი კვირა რომ ლოგინში იწვა, აღარ გახსოვს?

— მახსოვს, მერე? შე კაი ქალო, ადამიანი მუშაობის დროს პირდაპირ რომ იჯდა და მუშაობდა, მაშინ წაიქცა და პირიდან სისხლი წასკდა...

— ოჰ, და ხომ არავის დაუთხოვია სამსახურიდან?

— მაგას-ღა ემართლებოდენ! შენ ერთი ეს მითხარი. ეხლა როგორაა, კარგათაა ჯანზე?

— აკი გითხარი როგორაცაა!

— მაგას არ ვამბობ მეც? ვინ მისცა მაგათ სამართალი და შებრალება ადამიანის, თორემ ის ეხლაც ლოგინში უნდა იყოს და თავს უნდა უვლიდეს.

— ჩვენი მოსვენება, აი იქ რომ წავალთ. სადღაც გაურკვევლათ გაიქნია ხელი, იქ იქნება. იქ არც სამსახური გვექნება და არც სამუშაო, მწარეთ პუტუნობს თავისთვის ჭაღარა ქალი. თვალებს ცრემლები აწვება.

— კარგი, კარგი. სადილი ვჭამოთ და მერე იყოს ყოველივე მაგის ლაპარაკი, თითქო დაწყნარდა მისტერ სმიტი.

სმიტის მეუღლე სამზარეულოსაკენ წავიდა. ჩვენ მარტო დავრჩით—არა, მესმის ეს სასტიკი და საშინელი ქვეყანაა. აქ გრძნობა არ მუშაობს, ყველაფერი ანგარიშზეა აშენებული. რა არის აქაური კაპიტალისტისათვის ადამიანი-მოსამსახურე. მანქანა, რომელმაც ამდენი და ამდენი საათი უნდა იმუშაოს. არც მეტი არც ნაკლები. წახდება მანქანა? როდესაც ნამდვილ უსულო რკინისა და ფოლადის მასალით გაკეთებული მანქანა წახდება-მოიშლება, მაშინ მისი პატრონი მას კიდევ შესაკეთებლად გადასცემს. ეს მანქანა ნაყიდია, მისი ადრე გაფუჭება ზარალია. მაგრამ, როცა მანქანა-ადამიანი ცვდება, ფუჭდება, მის შეკეთებაზე არავინ ზრუნავს. ის არ არის ნაყიდი. ეს მანქანა მხოლოდ დღიური ნამუშევრის ქირას ღებულობს. ასეთია აქ ცხოვრება. სისასტიკეა ეს?— არა! ეს უბრალო ანგარიშია მეტი არაფერი. სასტიკი ადამიანის შესახებ ითქმის, მაგრამ თვით კაპიტალისტებიც ხომ იგივე მანქანებია და მეტი არაფერი.

ბორგავს მისტერ სმიტი, ცალი თვალი კარებისაკენ აქვს. ვატყობ, არ უნდა გააგონოს თავის მეუღლეს. თავს იკავებს, მაგრამ ვერ ახერხებს.

— ეს ყველაფერი ასეა, მესმის, მაგრამ სიყვარული ამ საშინელების, გიყვარდეს და შეგარჩნდეს ადამიანის ღირსეულ ხვედრათ ასეთ უბედურებაში ყოფნა, აი ამას ვერ შევრიგებივარ მე.

კარები გაიღო და შემოანათა წითური თმით შემოსილმა თავმა.

— პატარა გარის ვახლავართ, მოდი, აქ მოდი, ნუ გეშინია, მოდი ბაბუასთან.

შემოვიდა პატარა 10 წლის ბიჭი.

— მარტო მოდი? ჰკითხა მას სმიტმა.

— ოჰ! მარტო, სულ მარტო!

— რატომ ამხანაგებს არ წამოჰყევი?

ეს ჩემი შვილისშვილია. უფროსი ქალი მყავდა აქ გათხოვილი, ქმარი ომში მოჰკლეს ცოლი აქ დაიღუპა, ქუჩაში ავტომობილმა დააშავა, მთელი ექვსი თვე იწვალა, მაგრამ... დაიღუპა. მწარეთ ჩაიქნია ხელი სმიტმა. ეს ბიჭი დამრჩა სამახსოვროთ.

— არა, რუსული ერთი სიტყვაც არ იცის! გარი, მოდი აქ, მოდი ბაბუა აი, მოდი გაიცანი ეს ძია. ეს იმ ქვეყნიდან არის, მე რომ მითქვამს ხოლმე შენთვის, გახსოვს?

— იმ ქვეყნიდან, სადაც ლენინი ცხოვრობდა?

— ოჰ, ბარაქალა, სწორეთ იქედან. არ დაგვიწყებია, კარგი ბიჭი ხარ. მოდი ერთი გაკოცებ. ბავში სმიტმა მუხლებზე დაიჯინა.

— აბა, მითხარი გარი, რატომ მოდი შენ დღეს მარტო, რატომ არ გამოჰყევი სხვებს?

— არავინ არ გამომიყოლია და მიტომ!

— რატომ მოხდა ასეთი ამბავი? მატყუებ მე შენ, მართალი მითხარი!

— მართალს ვამბობ. დღეს მასწავლებელმა სკოლაში ასეთი კითხვა მოგვცა, რომელი ქვეყნის ჯარია ყველაზე უკეთესი? მეც უთხარი საბჭოთა კავშირის წითელი ჯარი ყველაზე უკეთესია მეთქი!

— მერე, მერე, ჩაეკითხა სმიტი.

— რატომაო, მკითხა მასწავლებელმა.

—მერე შენ რა უთხარი?

— რატომათქო ვუთხარი მე და იმატომ-თქო, რომ წითელმა ჯარმა მეთქი ბურჟუაზია მოსპო და...

— აი ვენაცვალე ჩემს გარის, აგრე, ბაბუა, აგრე!

— აგრე და მე ჯერ მასწავლებელი გამიწყრა და შემდეგ, გაკვეთილის გათავების შემდეგ ბავშები დამესიენ და იმდენი მცემეს, იმდენი მცემეს—წადი და შენმა წითელმა ჯარმა გიშველოს ახლაო.

— მერე რა მოხდა?

— მერე სთქვეს, ჩვენ მაგ აღარ გავიკაროთ შორი-ახლოს არც თამაშში და არც სხვა რამეშიო. ბავშს გული ამოუჯდა და ტირილი დაიწყო.

სმიტმა ბავში ძირს დასვა, მან მაშინათვე მოკურცხლა სამზარეულოსაკენ, სადაც ბებია ფუსფუსებდა.

— მაინც არ დავანებებ, მაგ ჩემს გარის იმ საძაგლებს. თუ ჩემი შვილი მაგათი ჭკუის გამოვიდა, ეს პატარა გარი მაინც უნდა გავზარდო ჩემი ჭკუის. ასეთია აქაური ცხოვრება, ჩემო კარგო. არ მეყოფა ტყვია და წამალი, რომ ახალი ცხოვრება დავიწყო, მაგრამ ამ ერთ პატარა ბიჭს მაინც ჩავუნერგავ გულში მას სიძულვილს.

პ. მ. საყვარელიძე.

---

*) გაგრძელება იხ. „კომ" № 183.

ქრონიკა

მუშკოოპის ფარდულები წარმოებებთან

თბილისის მუშკოოპის საპროდუქტო სექციას დაევალა წარმოებებთან გახსნას ფარდულები.

ფარდულები გაიხსნება მოთხოვნილებისამებრ ისეთ წარმოებებთან, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი ასზე ნაკლები არ არის

გადაწყვეტილია ასეთი ფარდულის გახსნა აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკასთან.

ფერო-მარგანეცის ქარხნის აგება ქ. ზესტაფონში

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა სმუ საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება ქ. ზესტაფონში ფერო-მარგანეცის ქარხნის აგების ადგილის ამორჩევის შესახებ.

მატყლის დამზადება

პირველ აგვისტომდე ამიერ - კავკასიაში დამზადებულია 1512 ტონა მატყლი, აქედან: აზერბეიჯანში—717 ტონა, საქართველოში—710 ტონა და სომხეთში—85 ტონა, ჯერ-ჯერობით გეგმა შესრულებულია 68,3 პროცენტით.

ა. ქ. სახკომსაბჭოში

◆ ა. კ. სახკომსაბჭომ დაადგინა დაარსოს ამიერ-კავკასიის ქიმიზაციის კომიტეტი. რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს დაევალა ანალოგიური რესპუბლიკანური კომიტეტების დაარსება.

◆ სახკომსაბჭომ ნება დართო ამიერ-კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს თავისი 1929—30 წლის ხარჯთაღრიცხვიდან გადასდოს 9000 მანეთი ჟურნალის გამოსაცემად წყალთა მეურნეობის საკითხებზე.

ინდუსტრიალიზაციის დღე

ზაჰესის მუშა-მოსამსახურეებმა საერთო კრებაზე დაადგინეს ინდუსტრიალიზაციის დღეთ გამოცხადებულ იქნას 20 სექტემბერი და ამ დღის ხელფასი მთლიანად გადაიდოს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ფონდში.

თბილისის აღმასკომში

◆ ვაკეში ქუჩების შესაკეთებლად აღმასკომმა გადასდო 5000 მანეთი.

◆ უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით თბ. აღმასკომმა გამოყო 80.000 მანეთი.

◆ 1-ლ კლინიკურ ინსტიტუტის საჭიროებისათვის თბ. აღმასკომმა გადასდო 5.000 მანეთი.

◆ გაჯის ქარხნის ასაგებათ და აგურის ქარხნების გასაფართოებლად აღმასკომმა ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას გადასცა 141.000 მანეთი.

◆ წევის სკოლის დასამთავრებლად პრიუტის თემს, აღმასკომმა დამატებით გადასცა 300 მანეთი.

◆ თბილისის ოლქში წყალთა მეურნეობის გასაუმჯობესებლად გადაიდო 125.489 მანეთი.

სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატში

◆ პენსიების დარიგება. სოცუზრუნველყოფის სახ. კომისარიატმა გასულ თვის ანგარიშში დამსახურებულ რევოლიუციონერებს, საზოგადო მოღვაწეებს, მწერლებს, მეცნიერებს, მსახიობებს და სხ. პერსონალურ პენსიების სახით დაურიგა 22.000 მანეთი.

◆ გამოკვლევა. შესდგა კომისია ამხ. დ. კალანდაძის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა გამოიკვლიოს თბილისის და მისი მაზრის საპენსიო განყოფილების მუშაობა.

◆ სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის მიერ გამოყოფილმა სპეციალურმა კომისიამ დაამთავრა ინვალიდთა კოოპერატიულ კავშირის გამოკვლევა. კავშირის მუშაობის გასაცხოველებლად მიღებულია სათანადო ზომები.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმში

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა საგადასახადო განყოფილების გამგის ამხ. კვირიკაძის მოხსენება თბილისის მაზრაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ წინა წლებთან შედარებით მაზრაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადისათვის დასაბეგრ ობიექტების აღრიცხვა წარმატებით იქნა ჩატარებული.

ობიექტების საღრიცხვო კამპანიაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ უღარიბესი გლეხები. მათი და აგრეთვე საშუალო გლეხების აქტივის დახმარებით შესამჩნევი გახდა დასაბეგრ ობიექტების ზრდა და გადამალულ ქონების აღმოჩენის შემთხვევების რაოდენობა.

კულაკები ყოველნაირათ ცდილობდნენ გადაემალათ ქონება, მაგრამ ღარიბი გლეხები დაურიდებლად ამჟღავნებდნენ მათ ოინებს.

ამის გამო კულაკებმა სცადეს მუქარით დაეშინებიათ ღარიბები და მათზე მოეხდინათ გავლენა, მაგრამ როცა ეს ვერ შესძლეს, შემდეგ მიმართეს აშკარა ძალადობას.

კულაკებმა ყარაიის რაიონში მკვლელობაც კი ჩაიდინეს ამ ნიადაგზე. მოკლეს საგადასახადო კომისიის წევრი და აქტიური უღარიბესი გლეხი.

კულაკობის ასეთი აქტივობის მიუხედავათ დასაბეგრი ობიექტების კამპანია წარმატებით ჩატარდა.

პრეზიდიუმმა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ ადგილებზე ჩატარებული მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და დაადგინა:

ინდივიდუალურ გადასახადით დაბეგრილებისათვის გადასახადის შესატანათ დაწესდეს 2 ვადა. ინდივიდუალურ გადასახადით დაბეგრილებმა გადასახადის პირველი ნაწილი უნდა გადაიხადონ 1 ოქტომბერს, დანარჩენი—1 დეკემბერს.

პრეზიდიუმის დადგენილებით ყოფ. დუშეთის მაზრის თემში, სადაც მცხოვრებნი ზამთრობით მისდევენ მომთაბარეობას, სასოფლო - სამეურნეო გადასახადი მთლიანად აკრეფილი უნდა იქნეს მიმდინარე წლის 1-ლ ოქტომბრამდე.

მთელი მოსამზადებელი მუშაობა უნდა დამთავრდეს 1-ლ სექტემბრამდე.

შრომის დაცვის საქმის გასაუმჯობესებლად

ა.-კ. სახკომსაბჭო ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატის მოხსენების ირგვლივ გამოტანილ დადგენილებაში წინადადებას აძლევს ა.-კ. ს. მ. უ. ს-ში გაერთიანებულ ყველა საწარმოებს, რათა მათ მთლიანად და თავის დროზე გამოიყენონ ის თანხები, რომელთა დანიშნულებას შეადგენს შრომის დაცვის საქმის გაუმჯობესება და უშიშროების ტექნიკისა და საწარმოვო სანიტარიის უზრუნველყოფა.

ჯანმრთელობისათვის განსაკუთრებით საშიშ წარმოებებში შემოღებული უნდა იქნეს უბედური შემთხვევების თავიდან აშორების მეთოდების სისტემატიური შესწავლა მუშებისათვის. ა.-კ. ს. მ. უ, ს: და რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს დაევალა—მიიღონ ზომები რომ 1929-30 სამოსწავლო წელში ყველა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში მოეწყოს უშიშროების ტექნიკის სპეციალური კათედრები. გარდა ამისა ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატს წინადადება მიეცა გააფართოვოს შრომის ჰიგიენის და უშიშროების ტექნიკის მეცნიერული ლაბორატორიები. სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო ყველა სახის შრომის ინსპექტორების რიცხვის გადიდება, კერძოთ კი სამთო-მადნო მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში; ამასთანავე გადიდებული უნდა იქნეს შრომის ინსპექტორების ხელფასიც. ა.-კავკასიის რესპუბლიკანურ იუსტიციის სახალხო კომისარიატებს დაევალა გააძლიერონ კონტროლი და პასუხისგებაში მისცენ ყველა ის სამეურნეო ორგანოები, რომლებიც დაარღვევენ შრომის კანონმდებლობა.

ხორცით ვაჭრობის მოწესრიგება

სავაჭრო-კოოპერატიულ სექციაში

თბილისის საბჭოს სავაჭრო კოოპერატიულ სექციის 12 აგვისტოს სხდომის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) ხორცის დახარისხებულად გაყიდვის შედეგები და 2) სექციის ბიუროს საინფორმაციო მოხსენება ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. იახნინმა, რომელმაც აღნიშნა, რომ წარსული წლის სექტემბრიდან საცდელად შემოღებული იქნა ხორცის ხარისხობრივად გაყიდვა ხორცის კოოპერატიულ სავაჭროებში. ასეთი წესით ხორცის გაყიდვამ მოგვცა ის შედეგები, რომ შემცირებული იქნა რიგები, სავაჭროებში საგრძნობლად აღმოიფხვრა ბოროტმოქმედება და მოტყუილება ხორცის გაყიდვის საქმეში, შემცირდა ზედნადები ხარჯები და სხვ. ყველა ამან ჩვენ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ხორცის ხარისხობრივად გაყიდვა უფრო ხელსაყრელია, ვინემ ჩვეულებრივი წესით.

კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ ხორცის ხარისხობრივი გაყიდვის პრინციპი მისაღებია, მაგრამ ვერაა მოწესრიგებული გაყიდვის ორგანიზაციული მხარეები, ამიტომ ხარისხობრივად ხორცის გაყიდვამ დიდი ეფექტი არ მოგვცა. ხორცის გამყიდველები ეწინააღმდეგებიან ამ სისტემას და იყო შემთხვევები, როცა დახარისხებული ხორცი ერთმანეთში აურიეს. მომხმარებელთა შორის საჭიროა ხორცის ხარისხობრივად გაყიდვის უპირატესობის პოპულიარიზაცია.

ამხ. იახნინის საბოლოო სიტყვის შემდეგ საინფორმაციო მოხსენება სექციის ბიუროს მუშაობის შესახებ გააკეთა ამხ. ჯაფარიძემ.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუციები ორივე მოხსენების გარშემო

საზოგადოება „მუსიკა მასებს“

თბილისში არსდება საზ-ბა „მუსიკა მასებს“. საზ-ბის დამაარსებელი საორგანიზაციო ბიურო უკვე შედგენილია და აწარმოებს წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას.

ორშაბათს, 12 აგვისტოს ბიურომ მბეჭდავთა კლუბში მოიწვია პირველი საორგანიზაციო კრება, რომელსაც დაესწრენ სახელოვნო დაწესებულების, პარტიულ, კომკავშირის, პროფკავშირის და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კრებას მოხსენება, საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების შესახებ გაუკეთა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. ოსიპოვმა.

საზოგადოება „მუსიკა მასებს“ მიზნად ისახავს მუსიკალური კულტურა დაუახლოვოს მშრომელთა ფართო მასებს, გაავრცელოს მუსიკალური ნაწარმოებები მასებში, გაუწიოს ხელმძღვანელობა დაინტერესებულ პირებს მშრომელთა წრიდან მუსიკალური ნაწარმოებების შესწავლის საქმეში და სხვა.

ამასთანავე საზოგადოების მიზანია შეაგროვოს ის მუსიკალური ჰანგები, რომელთაც ქმნიან მუშები და გლეხები.

მუშაობის დასაწყებათ ჯერ-ჯერობით, ამ თვის დამლევამდე თბილისში მოეწყობა საზოგადოების 15 საბაზისო უჯრედი და შემდეგში კი უჯრედები დაარსებული იქნება ყველა წარმოება-დაწესებულებებთან. ამის პარალელურად იწარმოებს წევრთა ჩაწერაც.

ასეთი წინასწარი მუშაობის დამთავრების შემდეგ მოწვეული იქნება საზოგადოების წევრთა საქალაქო კონფერენცია, რომელზედაც მოხდება ორგანიზაციის იურიდიულად ჩამოყალიბება.

კრებაზე გამოვიდნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც მიესალმენ საზოგადოების დაარსებას და ეს ახალი ნაბიჯი სცნეს დროულად და მიზანშეწონილად.

„ზაკავტოპრომტორგ“-ის თბ. განყოფილების გამოკვლევის შედეგები

თბილისის საბჭოს კომუნალური სექციის სხდომამ მოისმინა ამხ. სტომატელის მოხსენება „ზაკავტოპრომტორგი“-ს თბილისის განყოფილების მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „ზაკავტოპრომტორგი“-ს თბილისის განყოფილების მოქმედების მანძილი 340 კილომეტრით განისაზღვრება; მის განკარგულებაში ამჟამად 3 გარაჟია და 84 მანქანა (სამგზავრო, საბარგო და მოტოციკლეტი). ზამთრობით უმთავრესად საბარგო მანქანები მუშაობენ, ზაფხულობით კი სამგზავრო.

ზამთრობით გასავალი აღემატება შემოსავალს, ხოლო ზაფხულობით კი შემოსავალი იმდენად დამაკმაყოფილებელია, რომ იგი ჰფარავს იმ ზარალს, რომელსაც ადგილი აქვს ხოლმე ზამთრობით. ავტომობილების მნიშვნელოვანი ნაწილი მოძველებულია, მაგრამ თითქმის ყოველწლიურად ხდება ახალი ავტომობილების შეძენა. ამჟამად უკვე შეძენილია 19 ახალი მანქანა.

ავტოპრომტორგის თბილისის განყოფილების ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს შემდეგი ახალი საავტომობილო მიმოსვლის შემოღებას: თბილისი — წითელი-წყარო, თბილისი—თელავი, თბილისი—ვაზიანი—სიღნაღი, თბილისი—მანგლისი-ახალქალაქი.

შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. სერგეევის თანამოხსენება. ამხ. სერგეევი თანამოხსენებით გამოვიდა სექციის მიერ გამოყოფილ იმ კომისიის სახელით, რომელმაც ჩაატარა „ზაკავტოპრომტორგ“-ის თბილისის განყოფილების მუშაობის გამოკვლევა. მან აღნიშნა, რომ „ზაკავტოპრომტორგი“-ს გარდა თბილისში არსებობს კიდევ ცრუ-კოოპერატიული ორგანიზაცია „მოტორ“-ის და სხვ. სახით, რომლებიც სარგებლობენ რა შეღავათებით, ამავე დროს კონკურენციას უწევენ „ზაკავტოპრომტორგს“. ზაფხულობით მანქანათა არსებული რიცხვი საკმაო არ არის, ბილეთების გაყიდვის დროს ადგილი აქვს პროტექციას, ამავე დროს უნდა აღინიშნოს მანქანების დაუტვირთაობა (განსაზღვრული დროის განმავლობაში საჭირო მანძილის დაუფარველობა).

მოხსენების დამთავრების შემდეგ კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ, რომ „ავტოპრომტორგი“-ს თბილისის განყოფილების გამგეობის დაუდევრობით ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევებს. მიუხედავად არსებული სავალდებულო დადგენილებისა, დაცული არ არის მოძრაობის წესები. ხშირად მანქანებს გამოუცდელ შოფერებს ანდობენ და აგზავნიან ისეთ გზაზე, რომელსაც ეს უკანასკნელნი არ იცნობენ. მგზავრებიც ზოგჯერ შეუგნებლად იქცევიან, რაც გამოიხატება იმაში, რომ გზაში ათრობენ შოფერებს და ამით საფრთხეში აგდებენ რამოდენიმე ათეული კაცის სიცოცხლეს. მიკიტნებს უნდა აეკრძალოს შოფერებზე მაგარი სასმელების გაყიდვა მგზავრობის დროს.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც ითვალისწინებს ყველა ზემოხსენებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებელ ღონისძიებებს.

ცენტრალური გამასწორებელი სახლის მუშაობა

12 აგვ. საღ., მედმუშაკთა კლუბში შესდგა თბილისის საბჭოს უფლებრივ-ადმინისტრატიულ სექციის სხდომა, რომელზედაც ცენტრალურ გამასწორებელ სახლის შესახებ მოხსენება გააკეთა ამავე სახლის უფროსმა ამხ. თოფურიამ.

მომხსენებელმა, სექციის წევრებს მოკლეთ გააცნო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე არსებულ საპატიმროებში გამეფებული რეჟიმი და შემდეგ შეეხო დღევანდელ გამასწორებელ სახლებს და მათში მოთავსებულ ტუსაღებს შორის წარმოებულ მუშაობას.

მან ვრცლად გააშუქა ის მდგომარეობა, რომელიც კერძოთ არსებობს ცენტრალურ გამასწორებელ სახლში. ცენტრ. გამასწორებელ სახლში უმთავრესად მოთავსებულნი არიან სასამართლოს წესით სასჯელ მისჯილნი სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის. მაგალითად ამა წლის იანვარში ცენტრ. სახლში მოთავსებული იყო 107 კაცი მკვლელობისათვის, უფლებების გადამეტებისათვის—58, გაუპატიურებისათვის—26 კაცი, უბრალო ქურდობისათვის — 224, 123 რეციდივისტი, 50 ბანდიტი და სხვ. პატიმართა შორის სტატისტიკური ცნობებით პროცენტულად მეტია მუშები, რაც ნამდვილად სწორი არ არის. ეს არის იმიტომ, რომ პატიმრები, რომლებსაც თავის სიცოცხლეში ყანაში არ უმუშავნიათ, უჩვენებენ თითქო ისინი მუშები არიან, ან გლეხები. საშუალოდ სახლში დღეს ითვლება 1.150 კაცამდე. მათი უმრავლესობა თავისუფლად დადის სახლში, სახლის ეზოში, ბაღში და სხვა გასართობ ადგილებზე.

სახლში მოწყობილია თეატრი, სადაც კვირაში ოთხჯერ უჩვენებენ კინო-სურათებს, ორჯერ კი წარმოდგენა-კონცერტებს. იქვე გამოდის კედლის გაზეთი პატიმრების მონაწილეობით. ყველა სართულში მოწყობილია რადიო-მიმღები სადგურები, რომელთა საშუალებით პატიმრები ისმენენ კონცერტებს და მოხსენებებს მოსკოვიდანაც. სისტემატიურად იმართება აღმზრდელობითი შინაარსის ლექცია-საუბრები და მოხსენებები სხვადასხვა საკითხებზე. მოწყობილია სხვადასხვა კუთხეები და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული პატიმართა შორის წ.-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლას. ამ მხრივ მუშაობა სწარმოებს ოთხ ენაზე—ქართულ, რუსულ, სომხურ და თურქულ ენებზე. სახლში მოთავსებული პატიმარი 3 თვის შემდეგ უკვე წერა-კითხვის მცოდნეა.

გარდა ამისა გამასწორებელ სახლის მთავარი მიზანია პატიმრები, რომელთა უმეტესობა არავითარი ხელობა არ იცის, შეაჩვიოს შრომას და შეასწავლოს რაიმე ხელობა.

ამ მიზნით საპატიმროსთან მოწყობილია ფეხსაცმელების სამკერვალო, სამჭედლო, სადურგლო-სახარატო, ლიტოგრაფია, ჩემოდნების და ჩოთქების სახელოსნო და სხ. სახელოსნოებში განსაზღვრული რაოდენობით მუშაობენ დაქირავებული კვალიფიციური ხელოსნები, რომელთა ხელმძღვანელობით პატიმრები სწავლობენ ამა თუ იმ ხელობას.

გარდა იმისა, რომ პატიმრები ეჩვევიან შრომას და გამასწორებელ სახლიდან გამოდიან გარკვეულ ხელობის კარგად მცოდნენი, სახელოსნოების შემოსავლიდან მათ ეძლევათ ხელფასი, დანარჩენი ხმარდება მათ შორისვე კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას და სახლის სანიტარულ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეს.

სახლთან არსებულ სახელოსნოების პროდუქცია კარგი ღირსებისაა და მათი გასაღება სწარმოებს კოოპერატიულ ორგანიზაციების საშუალებით. გვაქვს საკუთარი გამსაღებელი პუნქტებიც.

გამონაკლისს შემთხვევების გარდა, სასჯელ მოხდილნი ამჟამად პატიოსან შრომას ეწევიან ამ სახელოსნოებში შესწავლილ ხელობის საშუალებით.

გამასწორებელ სახლს აქვს საკუთარი აგურის ქარხანა, სადაც მუშაობს 120 პატიმარი და აგრეთვე ახალშენი, ამ უკანასკნელში მუშაობს 200 კაცამდე. აღსანიშნავია, რომ ახალშენში მუშაობს განსაკუთრებით გლეხები, ეს იმიტომ, რომ ახალშენში მომუშავეებს ასწავლიან კულტურულ სასოფლო მეურნეობას. ახალშენს აქვს 86 დესეტინა მიწა, რომელზედაც გაშენებულია ხილის ბაღები, ბოსტნები და სხვა. იქვეა მოწყობილი ჯიშიანი საქათმე. განზრახულია იქვე მოეწყოს მესაქონლეობის სადგურიც. ახალშენში პატიმრები მუშაობენ გამოცდილ აგრონომების ხელმძღვანელობით. მომუშავეებს ეძლევათ სპეც-ტანისამოსი. სახელოსნოებთან და ახალშენში მოწყობილია პატიმართაგან საწარმოო თათბირები. ეს თათბირები იხილავენ და ადგენენ მუშაობის გეგმას და ღებულობენ ზომებს პროდუქციის გასაუმჯობესებლად, შრომის ნაყოფიერების ასაწევად.

შემდეგ თანამოხსენება გააკეთა ამხ. პოპოვმა იმ კომისიის სახელით, რომელმაც მოახდინა ცენტრ. გამასწ. სახლის გამოკვლევა, მოხსენებათა გარშემო გაიმართა კამათი, რის შემდეგ სექციამ ცენტრ. გამსახლის მუშაობა სცნო დამაკმაყოფილებლად.

ცხენების საკავშირო გამოცდაზე

საქართველოს ცხენები პირველ ადგილს იკავებენ

თბილისში დოღის და რბენის წრევანდელი გაზაფხულის სეზონის დახურვის შემდეგ, საქართველოს ცხენთსაშენის სამმართველომ ცხენების საკავშირო გამოცდაზე მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში გაგზავნა 15 სადოღე და 16 ჩორთით მოსიარულე (რბენისათვის) ცხენი.

ცხენთსაშენის სამმართველოში მოსკოვიდან მიღებულია ცნობა, რომ წმინდა სისხლის ცხენთა შორის დოღში პირველი ადგილი უკავია მაღალი ჯიშის „დარდიმანდს“.

9 ივლისს გამართულ დოღზე მან მოუგო სხვადასხვა ცხენთსაშენების სამ წმინდა სისხლის ცხენს (მათ შორის ერთი უცხოეთიდან ჩამოყვანილი იყო). დისტანცია—1.800 მეტრი „დარდიმანდმა“ დაფარა 1 წუთსა და 56 წამში.

6 აგვისტოს მანვე მოუგო უკრაინის („ტუნი“) და ბელორუსიის („ესტუარი“) საუკეთესო ცხენებს. დისტანცია—2.200 მეტრი გაირბინა 2 წუთსა და 23 წამში, რითაც გამოააშკარავა თავისი ძლიერი სიმარდე..

ორწლიან ცხენთა შორის კარგად დოღში „ნათელა“. მან მონაწილეობა მიიღო 1.200 მეტრის მანძილზე გამართულ დოღში, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო შვიდმა საუკეთესო ცხენმა და ყველას მოუგო.

ყველასათვის ცნობილ წმინდა სისხლის „ბერგენს“ გამოსვლა უხდება უმაღლესი ჯგუფის ცხენებთან და იგი გამოდის მეორე ადგილზე.

„ლომის-თვალი“ და „აბორიგენი“ გამოდიან მაღალი ჯგუფის ცხენებთან და ისინიც მეორე ადგილს იკავებენ.

9 აგვისტოს დოღში მონაწილეობა მიიღეს „თურქესტანმა“ და „ალაზანმა“ და პირველი ადგილი დაიკავეს.

რბენაში პირველობა ჯერ „საზანდარმა“ და „ბაიათმა“ აიღეს.

დეპეშით იტყობინებიან, რომ 18 აგვისტოს გათამაშებული იქნება „დერბი“ ჯიშნარევი ცხენებისათვის და მასში მონაწილეობას მიიღებს „ლომის-თვალი“.

რესპუბლიკის ჯილდოს გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს „თურქესტანი“.

შემთხვევები

თავის ჩამოხრჩობა

ხოდაი პარტენტანმა (გოცირიძის ქ. № 17) 50 წლის, თავის ბინაში ღვედით თავი ჩამოიხრჩო. მიზეზი გამოურკვეველია.

ავტომობილის ქვეშ

ბნელის მოედანზე ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი ჩხიკვაძე, დაეჯახა თომა ბაროიანცს და დააშავა. ბაროიანცი გადაიგზავნა ქალაქის 1-ლ საავადმყოფოში.

ქურდი სიძე

კატო ოგანეზოვის ბინა (მექოთნეთა ქუჩა № 7) გაქურდა მისმა სიძემ ვანო აბაიშვილმა და მიიმალა. წაღებულია 316 მ. ნივთები.

ბავშვის გვამი

მე-4 სამილიციო უბანში იპოვეს 3 დღის ბავშვის გვამი მდედრობითი სქესის. გვამი გადაიგზავნა პროზექტურაში.

გადმოვარდნა

მუხრანის ქუჩაზე მდებარე სახლის (№ 9) მეორე სართულიდან უეცრათ გადმოვარდა 7 წლის ბავშვი ვარია გეურქოვი, რომელიც სასწრაფოდ გაიგზავნა საავადმყოფოში.

ჯიბგირობა

გურგენ მიკირტიჩიანს თავის სახელოსნოდან (ბაზრის მოედანი № 2) ზაქარია ამიროძემ მოჰპარა პალტო. ამიროძე შეიპყრეს.—ცენტრ. ბაზარში მარკოზ ოგანეზოვს ჯიბიდან ამოაცალეს 15 მანეთი.—სინდიკატში რიგში დგომის დროს კასპარ კასპარიანს ამოართვეს 23 მანეთი.—ანასტასია ვეჩენკოს ბაზარში მოჰპარეს 14 მანეთი, მუშკოოპის და პროფკავშირის საწევრო წიგნაკები.

რკინის გზებზე

მატარებლის მოხსნა

ამჟამად მოსკოვ-თბილისის შუა მოძრაობს ჩქარი მატარებელი № 1—2. ამ მატარებელს მინერალური წყლები—თბილისის შორის მგზავრები ძალიან მცირე რაოდენობით მიჰყვება. რუსეთიდან მინერალურ წყლებზე მიმავალი მგზავრების რიცხვი კი დღითი-დღე იზრდება.

ამის გამო 19 აგვისტოდან მატარებელი № 1—2 იმოძრავებს მხოლოდ მოსკოვ-მინერალური-წყლების შორის და თბილისში აღარ ჩამოვა.

ყველა დანარჩენი მატარებლები, რომლებიც მოძრაობენ ლენინგრად-თბილისს და მოსკოვ-თბილისის შორის, უცვლელად რჩებიან.

ცისტერნები შეკეთებას საჭიროებენ

დიდი ტვირთის ამწევ ახალ ცისტერნებს ამიერ-კავკ. რკინის გზა ღებულობს მარტის სახელობის ქარხნიდან. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ ცისტერნებს ხშირად უზიანდებათ სხვადასხვა ნაწილები და საჭიროებენ ხელახლად შეკეთებას.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია რკინის გზების ცენტრალურმა სამმართველომ და წინადადება მისცა ამიერ-კავკ. რკინის გზას 1 სექტემბრისათვის წარუდგინოს დაწვრილებითი ცნობები ცისტერნებზე შემჩნეულ დეფექტების შესახებ. ამ ცნობების მიღების შემდეგ რკინის გზების ცენტრალური სამმართველო გადასდგამს სათანადო ნაბიჯებს დეფექტების აღმოსაფხვრელად.

მატარებლების დაჯახება

12 აგვისტოს, ღამით სადგ. ევლახში მატარებელი № 5020 დაეჯახა შემადგენლობას, რომელიც აწარმოებდა მანევრებს.

დაჯახების გამო სამანევრო შემადგენლობიდან დაიმსხვრა ოთხი ვაგონი. მატ. № 50. 20-ს შემადგენლობიდან ლიანდაგს ასცდა, ერთი ვაგონი.

მატარებლების მოძრაობა არ შეწყვეტილა, რადგან თავისუფალი დარჩა მეოთხე ხაზი.

შემთხვევის ადგილზე განჯიდან გაგზავნის დამხმარე მატარებელი.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს თბილისის შრომის ბირჟა, სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ელენე ბაქრაძე, კალანდარაშვილი, თამრო გუსეინოვა, ალექ. კილტავა, ქეთევან ბუაჩიძე, გიორგი ჭყონია, ელისაბედ იონესიანი, ქუთათელაძე, გიორგი სურგულაძე, აკაკი მახარაძე, სედრაკ სარენბეკოვი, ალექ. ქორქაშვილი მარო დემურაშვილი, აშ. დანელიანი, ანნა კიკნაძე, სოფ. ბეზირგანაშვილი, ვერა გიორგაძე.

კვალიფიციურ მუშაკთა სექციიდან: ივანე ჩილაძე, ქაჯაია, ალექ. რატიაშვილი, მიცკევიჩი, პეტრე ჩალაშვილი, როზა ბასილაშვილი, ნიკო მეტრეველი, ასია მირაზიანცი, სარ. ოსიფოვი, მარო ბალიევა, გიორგი იშხანოვი, გიორგი შატიროვი, რუბენ პარტისკარიანი, ნიკო გელიტაშვილი, პატოევი, გიორგი თარხანოვი, ბაღდასაროვი, ჯიბლაძე, სარქის პეტროსიანი, გიორგი დეკანოზიშვილი, ამბარდანოვი.

შენებელ მუშაკთა სექციიდან: ბაგრამ ამირხანოვი, ჯორბენაძე, ზენ. ბაღდასაროვ, გიორგი თარხანოვი, შალვა მებინიანცი, სერგო შატიროვი, პეტრე ლაკატინოვ, არშაკ პარუნოვ.

მედსექციიდან: ალექსანდრა ჩეკულოვა, კონსტანტინე ჯალალოვი, ვერა ლორეევა, ქეთევან ფანიაშვილი, ნინო ვარლამოვა, კაროლინა ხმელევსკაია, ელენე სომოვა, ნინო შახნაზაროვა, ლიდა გულიკოვა, რუბენ ქორიძე, თამრო ჯორჯაძე, ანნა კაპანაძე—მახოვა, ალექ. ეკლიზმან, ალექსანდრა მაკაროვა. ამავე სექციას ესაჭიროება, განჯაში გასაგზავნად, კბილის ექიმი მუდმივ ადგილზე და ორი პატრონაჟი.

ნარევი

საშუალო საუკუნეების კანონი „მუშათა“ მთავრობის დროს

ლონდონში ამ რამდენიმე ხნის წინათ გაიმართა სენსაციური პროცესი. პასუხისგებაში იყო მიცემული ქმარი, რომელმაც გაჰყიდა თავისი ცოლი. ბრალდებულის დამცველმა მოიყვანა საშუალო საუკუნოების კანონი, რომელიც დღემდი არ არის გაუქმებული და რომელიც უფლებას აძლევს ქმარს გაჰყიდოს თავისი ცოლი. სასამართლომ ამ კანონის ძალით გაამართლა ბრალდებული.

უდიდესი საცურავი აუზი

ამერიკულ კურორტზე — ლონგბიჩ (კალიფორნია) აწყობენ მსოფლიოში უდიდეს საცურაო აუზს. აუზის საერთო სივრცე უდრის 40 აკრს (აკრი— 888 კვ. საჟენი). ზღვის ტალღებისაგან აუზი დაცულია ნალის ფორმის კედლით, რომლის სიგრძე 1 ნახევ. კილომეტრს უდრის. კედელი იმდენად ფართოა, რომ მასზე გაყვანილია საავტომობილო გზა. აუზის ცენტრში მოწყობილი იქნება ხელოვნური მოედანი, სადაც აგებენ ღია თეატრს, საკონცერტო და სასპორტო დარბაზებს, მზის ვანების მისაღებ გალერეას და სხვ. აუზის მოწყობა ჯდება 10 მილიონ მანეთი.

მოლაპარაკე ფოტოგრაფია

ერთმა ამერიკელმა გამომგონებელმა აღმოაჩინა მოლაპარაკე ფოტო-სურათების დამზადების საშუალება. ამ წესით დამზადებული სურათები, მოთავსებული შესაფერ აპარატში, ლაპარაკობენ, მღერიან და სხვ.

კაცობრიობის წლოვანება

ბაღდადის მიდამოებში ჩატარებული უკანასკნელი გათხრების დროს შეკრებილი მასალების მიხედვით ამერიკელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ადამიანი ახლანდელი სახით პირველად გამოჩნდა მესოპოტამიაში მილიონი წლის წინათ. პირველყოფილი ადამიანი ცხოვრობდა თანაბარ ზომიერი ჰავის პირობებში, და როგორც სჩანს, ჩქარა მიაღწია კულტურის საკმაოთ მაღალ საფეხურს. მაგრამ კაცობრიობის განვითარება შეაფერხა ოთხმა თანამიმდევარმა ყინულოვანმა პერიოდმა, რომლებმაც ძლიერ შეამცირა დედამიწის მოსახლეობა და იძულებული გახადა უკანასკნელი გამოქვაბულებისათვის შეეფარებია თავი ან მომთაბარეობა დაეწყო.

ცნობილ შვედ გეოლოგის ატევსის აზრით, ჩვენ ვიმყოფებით მეოთხე ყინულოვანი პერიოდის დამლევ ხანაში. ამ პერიოდმა მაქსიმუმს მიაღწია 15.000 წლის წინათ, 12.000 წ. წინ ყინულმა პირველად დაიხია ჩრდილოეთისაკენ შუა ევროპიდან. ეს მომენტი უნდა ჩაითვალოს კაცობრიობის ისტორიის ახალი ხანის დასაწყისად.

ინჟენერ კემბელის გამოგონება

ინგლისელმა ინჟენერმა კემპბელმა გამოიგონა გემის დაღუპვის დროს მგზავრების გადარჩენის საშუალება. გემის შუა ნაწილი კეთდება უზარმაზარი ყუთის მსგავსად, რომელიც ისეა დამაგრებული ფუძეებზე, რომ ადვილად იხსნება. კატასტროფის დროს მგზავრები თავს იყრიან ყუთში და როცა გემი იძირება, ყუთი რჩება ზღვის ზედაპირზე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 30.

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოსი საქართველოში

შეშაზე ფასების დაწესების შესახებ

თანახმად ა.-კ. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის № 13 დადგენილების მუხლი „მ“ ა.-კ. ვაჭსახკომის დროებითი დებულების შესახებ 1924 წლის 24 ივნისის, ა.-კ. ვაჭსახკომის რწმუნებულის სამმართველო საქართველოში ადგენს:

1. 29—30 სათბობ წლისათვის დაწესდეს შემდეგი საზღვრითი საგასაცემო ფასები 1 კუბ. საჟ. მაგარი ჯიშის შეშაზე 24 ვერშ. სიგრძით ფრანკო გაგზავნის სადგური.

სენაკის სამრეწველო ტრესტის დამზადების—62 მან. 90 კაპ., ბორჩალოს სას. სამ. სამრეწვ. ტრესტ.—69 მან., კახეთის ტრესტის—68 მან., თბილისის გლეხკომის—62 მან. 57 კაპ., ომის ინვალიდთა დამხმარე კომიტეტის—68 მან. 93 კაპ., ნადი „უღელტეხილი“-ს—66 მან. 20 კაპ., ნადი „კოლხიდა“—59 მან. 90 კაპ., ნადი „მეომარი“—69 მან., ნადი „სოფლის მუშა“—56 მან. 96 კაპ.

შენიშვნა: საქ. სატყეო ტრესტის მიერ დამზადებულ შეშაზე საგასაცემო ფასი დაწესებულია ა.-კ. ვაჭსახკომის მიერ და უდრის ფრ. გაგზავნის სადგურზე 1 კუბ. საჟ. მაგარი ჯიშის შეშაზე 24 ვერშ. სიგრძით 57 მან. 41 კაპ.

2. მუხლ 1-ში აღნიშნულ პერიოდის განმავლობაში ქ. თბილისში შეშაზე დაწესდეს შემდეგი საზღვრითი საგასაცემო ფასები:

ა)ფრანკო საწყობი: სატყეო ტრესტის, ტფილისის მუშკოოპის და სხვ. ორგანიზ. რკ. გზის ლიანდაგთან 1 კუბ. საჟ. მაგ. ჯიშის შეშა 24 ვერ. სიგრ. 82 მან.; 1 კუბ. საჟ. რბილი ჯიშის შეშა 24 ვერ. სიგრ. 68 მან.; 1 კუბ. საჟ. მაგარი ჯიშის შეშა 12 ვერ. სიგრ. 98 მან.; 1 კუბ. საჟ. რბილი ჯიშის შეშა 12 ვერ. სიგრ. 81 მან.

ბ) ფრანკო საწყობი: სატყეო ტრესტის, თბილისის მუშკოოპის და სხვა ორგანიზ. ქალაქის სხვადასხვა რაიონებში:

1 კუბ. საჟ. მაგ. ჯიშის შეშა 24 ვ. სიგრ. 92 მან.; 1 კუბ. საჟ. რბილი ჯიში შეშა 24 ვ. სიგრ. 78 მან.; 1 კუბ. საჟ. მაგარი ჯიშის შეშა 12 ვ. სიგრ. 108 მან.; 1 კუბ. საჟ. რბილი ჯიშის შეშა 12 ვ. სიგრ. 91 მან.

3. ქალ. თბილისის მშრომელ მოსახლეობის შეშაზე მოთხოვნილების სრულიად და წესიერად დაკმაყოფილების მიზნით, წინადადება მიეცეს თბილისის მუშკოოპს გახსნას არა უგვიანეს 1929 წლ. 1 სექტემბრისა 4 შეშის საწყობი ქ. თბილისის შემდეგ რაიონებში: ავლაბარში, ვერაზე, საბჭოთა მოედნის რაიონში და მაიდანის ან პურის მოედნის რაიონში.

4. დაევალოს ქუთაისის, გორის, შორაპნის სამაზრო აღმასკომების და ქალ. ფოთის აღმასკომის სავაჭრო კომისიებს დააწესონ სატყეო ტრესტის მიერ დამზადებულ შეშაზე საგასაცემო ფასები ქალ. ქუთაისისათვის, ბორჯომისათვის, ჭიათურისათვის და ფოთისათვის, რომლის დაწესების დროს სავაჭრო კომისიები უნდა გამომდინარეობდნენ ა.-კ. ვაჭსახკომის მიერ დამტკიცებულ გაგზავნის ფრანკო-სადგურის საგასაცემო ფასებიდან (იხილე მუხლი 1-ის შენიშვნა).

შენიშვნა: გამყიდველის ფრანკო - საწყობისათვის საგასაცემო ფასების დაწესების დროს გაგზავნის ფრანკო - სადგურის საგასაცემო ფასს ემატება დატვირთვის და გადმოტვირთვის ფაქტიური ხარჯები და გადაზიდვის და საწყობის ზედნადები ხარჯები.

5. დაევალოს ვაჭსახკომის წარმომადგენლებს აჭარისტანში და აფხაზეთში განსაზღვრონ დამამზადებელ ორგანიზაციათა კონტინგენტი და დააწესონ საგასაცემო ფასები, როგორც გაგზავნის ფრანკო - სადგური, ისე გამყიდველის ფრანკო საწყობები ქალ. ბათომისათვის და სოხუმისათვის.

6. ამა დადგენილების მუხლი 1-ში ჩამოთვლილი შეშის დამამზადებელი ორგანიზაციები ამა დადგენილების დარღვევისათვის მიცემული იქნებიან პასუხისგებაში, თანახმად საქ. სისხლის სამართლის კოდექსის მე-111 მუხლისა.

ა.-კ. ვაჭსახკომის რწმუნებულის მოადგილე საქართველოში **კობახიძე.**

საქმეთა მმართველი **შარმაზანაშვილი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

14 აგვისტოს წმენდა ჩატარდება შემდეგ უჯრედებში:

1) „ქირომას“-ის უჯრედში, დაღესტანის ქ. № 15 (კახეთის მოედანი), დღის 2 საათზე. შემმოწმებელ კომისიის წევრები: იტრიევი, შავერდოვა და დემეტრაშვილი.

2) რესპუბლიკის მთავარი საავადმყოფოს უჯრედში, საავადმყოფოს შენობაში. შემმოწმებელ კომისიის წევრები: ზაკომოლდინი, გრ. შახსუვაროვი და სალამიანი.

3) სტალინის სახ. ორთქლმავლების და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის საბორბლე ცეხის უჯრედებში, პლეხანოვის სახელობის კლუბში. შემმოწმებელი კომისიის წევრები: ლელაშვილი, ყამარაული და პოპოვი.

4) გემოკვების (სასახლის ქ. № 5). შემმოწმებელ კომისიის წევრები: ფურცხვანიძე, სტეფანოვი და ლავრენტიევი.

კომკავშირელ პროპაგანდისტთა მოსამზადებელი კურსები

საქართველოს ლენინური კომკავშირის თბილისის საოლქო კომიტეტი იუწყება, რომ კომკავშირელ პროპაგანდისტების მოსამზადებელი კურსები გაიხსნება დღეს, 14 აგვისტოს, საღამოს სრულ 5 საათზე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაობის ცენტრალურ კაბინეტში. რაიკომებიდან ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

ქალაქის რაიკომიდან

ბიტიაშკინი, ანანოვი და მარუტიანი (ამიერ-კავკასიის სამხედრო-სამომხმარებლო კოოპერაცია), ხეთაგური (ზაჰესი), ნინუა (საკურორტო სამმართველო), პარტნოვი (მე-5 სტამბა), პოლესიუკი (მბეჭდავი № 3), სლინკო (მუშკოოპი), კალუმოვა (პროფსაბჭო), სიმონიშვილი (წყლებით სამკურნ.), კარპოვიჩი (ამიერ-კავკ. ცაკი), მატიუნოვი (გზატკეცილების სამმართველო), ბაქრაძე (საბურთალო), ბელინსკი (პირველი შრომის სკოლა), ვეისმანი („მალადოი ლენინეც“), ენელბაუმი (საგეგმო კომისია), შავგულიძე და პარტიუმიმოვი (მბეჭდავები № 10), მესტვირიშვილი (მიწადმოქმედების კომისარიატი), ვ. ვაჭარიძე (აღმასკომი), ლომსაძე (მე-5 სტამბა), ნარიმანიშვილი (რესპ. მთავარი საავადმყოფო), ლაზარიშვილი („ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა), შტეინბერგი (მბეჭდავი № 10), [illegible] № 5), ლისენკო (კოლოფების ფაბრიკა).

ლენინის რაიკომიდან

[illegible] (შრევ), ნიკოლოზ [illegible] პოვი (საამწყობო საამქრო), ი. ბოროდინი (საამწყობო საამქრო), შ. ჩხაიძე (სამჭედლო საამქრო), სტეფანოვი (ტრამვაი), მანუკოვი („26“ სახელობის ქარხანა), კარაპეტიანი და ოუზბაშევი (ც.უ.კ.), ა. ჩალაძე (სახკინმრეწვი), ხანდატოვი (სახკინმ.), ჩაგუნავა (სახკ.), ნ. [illegible] ლუქვაძე (რაიკომი), ი. კალანტაროვი ([illegible] კავშირის თბ. საოლქო კომიტეტი), გ. [illegible] (მაუდის ფაბრიკა), ვ. წიკლაური (თბ. [illegible] რი), კამკამიძე (სატრანსპორტო საგანგებო [illegible] მისია), ე. კიწმარეიშვილი („ზაკტპო“), [illegible] სკი (ფოლაქების ფაბრიკა), ა. [illegible] (ამიერ-კავკ. რკ.-გზების გამგეობა), გ. [illegible] რაშვილი (საგადასახადო დარგი), ა. [illegible] ლოვი (საგზაო პროფგანათლება) [illegible] (კონდუქტორი), გოგოლაძე (ჩამომსხმელი საამქრო), გოჩიაშვილი (ამიერ-კავკ. მუშათა და გლეხთათ ინსპექცია), დავიდოვი (ც.უ.კ.), ოვსიანოვსკი („26“ სახელობის ქარხანა), [illegible] ვიდოვი (შრევ), ალემბეგაშვილი (მაუდის ფაბრიკა), რიბაკი (სამმართველო), ამირანაშვილი (საუბნო კომიტეტი), კრივორუჩკო (სავაგონო საამქრო), ფიფია (საქონლის სადგური), [illegible] ტროსიანი (სამმართველო).

„26“ კომუნართა სახ. რაიკომიდან

შავიშვილი (შინამრეწველობა), ჯალალ[illegible] კი (სახკვება), ი. ცქიტიშვილი (შინამრეწველობა), ელიაროვი (ქალაქის სასაკლაო), [illegible] წორია (მილიცია), ჩოფიკაშვილი, ხეთაგური, კაკაბაძე და გრეშტეინი (კამო) [illegible] (ად. სამ. საბჭო), პანოსიანი (ტყავის ქარხანა № 2), ახვლედიანი (მილიცია), ლეჟავა (ნავთლუღი), ნიკოლაიძე (ნავთლუღი), [illegible] (ქალაქის სასაკლაო), აკოპოვი (ფეხსაცმელების ფაბრიკა), თევდორაშვილი (აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა), ავანესიანი (მე-2 პროფსკოლა), ტ. ოსიპოვი (ტყავის ქარხანა № 2), შახპაზიანი (ტყავის ქარხანა № 2), [illegible] (წყალსადენი), მ. მუსერიძე (ხე-ტყის სახერხი ქარხანა), თოდუა (ხე-ტყის სახერხი ქარხანა), გევონდიანი (კომ. № 11), ეზიაშვილი, [illegible] შვილი, ბოროტაძე, გოგოლაძე და ლიანტერი (საქ. ად. სამ. საბჭო), აბაიშვილი (შინამრეწველობა).

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფნი და გულმოკლულნი: და ელენე, სიძე აბესალომი, დისშვილები: თამარა და შოთა ბუკიები აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ მათთვის ძვირფას

ექიმ ვარია ნაცვლიშვილის

უდროოთ დაკარგვას. გამოსვენება დღეს, საღ. 5 ს. (ყოფ. ალექსანდროვის საავადმყოფოდან) კუკიის სასაფლაოზე.

ქვ. 2875

ღრმათ დამწუხრებული და ნინო ლობჟანიძე შვილებით: მანია, ანეტა, ჟორჟიკა, არჩილი შვილი-შვილებით: ცაცი, ირაკლი, სიძეები: სიკო ტაბლიაშვილი და ვალიკო გურგენიძე აუწყებენ მეგობართ და ნაცნობთ ექიმ

ვარია ნაცვლიშვილის

უდროოთ დაკარგვას. გამოსვენება ოთხშაბათს 5 საათზე. ყოფ. ალექსანდროვის საავადმყოფოდან კუკიის სასაფლაოზედ.

ქვ 2788

ღრმად დამწუხრებულნი: ძმა ლადო და რძალი სოფიო ნაცვლიშვილნი აუწყებენ ნაცნობებს ექიმ

ვარია ნაცვლიშვილის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება ოთხშაბათს 4 ნახ. საათზე, ალექსანდროვის საავადმყოფოდან.

ქვ. 2880

ექიმები: ლიზა ბერიშვილი, თამარი ოქროპირიძე და შიო კვიცარიძე უსაზღვრო მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი ამხანაგის და მეგობრის

ექიმ ვარია ნაცვლიშვილის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება პირველ კლინიკურ ინსტიტუტიდან (ყოფ. ალექსანდროვის საავადმყოფო) ოთხშაბათს, 5 ს. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2881

პროფესიონალურ დაავადებათა სახელმწიფო ინსტიტუტის თანამშრომლები გამოსთქვამენ უღრმეს მწუხარებას ამავე ინსტიტუტის თანამშრომლის, დაუვიწყარ ამხანაგის ექ.

ბარბარე ზ. ქარიას ასულ ნაცვლიშვილის

უდროოდ გარდაცვალების გამო.

2—2 (ს)

მასთან ერთად კურსდამთავრებული ექიმები გულითადის მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ა.-წ. 11 აგვისტოს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი—სამაგალითო ამხანაგი

ექიმი ბარბარე (ვარო) ნაცვლიშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება ა.-წ. 14 აგვისტოს კუკიის სასაფლაოზე, გამოსვენება საღ. 5 საათზე, ქალაქის მე-2-ე საავადმყოფოდან. (ე)

ქალ. I კლინიკური ინსტიტუტი იუწყება ყოფ. ორდინატორი

ექ. ბარბრე ზაქარიას ას. ნაცვლიშვილის

გარდაცვალებას, გამოსვენება ქალ. I კლინიკ. ინსტიტუტიდან, კუკიის სასაფლაოზე, ოთხშაბათს, 14 აგვისტოს, საღ. 5 საათზე. ქვ. 2885

ექიმები: ა. ქავთარაძე, თ. ბენაშვილი, ნ. მახვილაძე, ნ. ერისთავი, ა. ჟღენტი, ი. პარმა, მ. მაჩაბელი, ლ. ალადაშვილი, ვ. გერსამია, თ. ტოროშელიძე, მ. ალადაშვილი, ა. სულაკაძე, ნ. მეგრელიშვილი, ნ. ალექსიძე, გ. დიდებულიძე, ნ. მჭედლიშვილი, მ. ტყემალაძე, ვ. პირაჟკოვი, ნ. ანდრონიკაშვილი, ი. ცინცაძე, ს. კანდელაკი, მწუხარებით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს საყვარელ და დაუვიწყარ ამხანაგის

ექ. ბარბარე (ვარია) ზაქარიას ასული ნაცვლიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. № 2884

თავზარდაცემული ძმები: ბეჟანი, ჟორჟი, ნიკოლოზი, სოლიკო, დები: ვერა და ეფემია, რძლები თამარი და იული და ძმისწული პატარა მედიკო აუწყებენ ნათესავ მეგობრებს ძვირფას დაუვიწყარ

ლევან დავითის-ძე ხუციშვილის

უდროოდ დაკარგვას.

ფატი ჩიქოვანისა, კატო, ლუკა და ევგენი ჩიქოვანები ცოლ-შვილით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი ძმის და ბიძის

ლუკა გიორგის-ძე შალამბერიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ნოქალაქევში, აგვისტოს 14 ს ქვ. 2874

დამწუხრებულნი მეუღლე მარიამ, შვილები: კონსტანტინე მეუღლე თამარით, ლუკა, თალიკო, მელანია, მარიამი, ანნა, თინა, შვილის შვილები: შოთა, იოსები და ვაჟა აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს

გაიოზ ლუკას-ძე მაღრაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ქ. ზესტაფონში 15 აგვისტოს საღ. 5 საათზე. (ს)

საზაფხულო ბაღი (ყოფ. არტო)
სამშაბათიდან 13-დან 18 აგვისტომდე
გასტროლების უკანასკნელი კვირა სრულიად ახალი პროგრამით
ტრიო ოლარი, ანნა რედელი და ხრუსტალევი, ინა როვიჩი
დანიილ ოლენინი, არკადინი და გრიდოვი ამა-ჯაზი, ა. ცფასმანის ხელმძღვანელობით,
კონფერანსიე ქ. ი. კარევი დასაწყისი საღ. 10 საათზე. ნ. 3104

სახკინმრეწვის კინოები

საზაფხულო აპოლო	**კომედიის განვითარება** გლუპიშკინის, პრენსის, ჩაპლინის, გაროლდ ლოიდის და სხ. მონაწილეობით
საზაფხულო ეთერი	მონტი ბენქს ახალ კომედიაში **მფრინავი ბედნიერება**
საზაფხულო პალასი	ფრანგული კინო-რომანი 4 სერიად „ვინდიკტა“ 1 და მე-2 სერია ერთად.
მინიონი	უკანასკნელი 2 დღე **მთის ბალადა**

მალე: „ადამიანის ფასი“ და „ცეცხლის კაცი“. 0—9

სად. ქსნიდან
ა.-წ. 7 აგვისტოს, ღამით ვიღაცამ **მოიპარა**
ძუძუა ძაღლი წევარი, მაღალი ტანის, ფერად თეთრი, ზურგზე ოდნავ გაჰკრავს ალისფერი. მნახველს ვსთხოვ მაცნობოს სადგურ ქსანში ალექსანდრე ჩიქოვანს, მიმნობელი მიიღებს ჯილდოს 25 მანეთს.
ქვ. 2874

საზაფხულო
კინო-პალასი
დღეიდან,
14
აგვისტოდან
ფრანგული
კინო-რომანი
4 სერიად
ვინდიკტა
1-ლი და 2-ე სერია
სულ 12 ნაწილი
ნ. 3107

საქართველოს კომუნალური ბანკის აჭარისტანის განყოფილება აცხადებს,
რომ 1929 წლის 20 აგვისტოს, დღის 12 საათზე, ბათომში —განყოფილების ბინაზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**
ვადა გასულ სესხებით ბანკში დაგირავებულ სახლებზე:
1) თეოფილე დავითის-ძე გოგრონიძის, ოზურგეთი, ბახმაროს ქუჩა № 22, თავნი ვალი 757 მან. და 39 კ. პროცენტები 92 მან. და 52 კ., სულ 847 მ. 91 კ.
2) დოლიძე ხარიტონ სილიბისტროს-ძე, ოზურგეთი, წულუკიძის ქუჩა. თავნი ვალი 411 მ. და 36 კ., პროცენტები 36 მ. 62 კ., სულ 448 მ. 98 კ. ნ. 3106

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ბ. 10. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ. 12 67. 25—1

---

20 აგვისტოდან დაიწყება ბინების გადაფასება იმ სახლებში,
რომლების ექსპლოატაციას უშუალოდ აწარმოებს
კომუნალური სახლების სამმართველო
ბინების გადაფასების ჩამტარებელ სპეციალურ კომისიებს უნდა წარედგინოს საბუთები, რომლებიც უნდა ადასტურებდნენ:
1. ოჯახის ყოველი მომუშავე წევრის **ყველა სახის სამუშაო ხელფასის ყოველთვიურ რაოდენობას.**
2. დამქირავებლის კმაყოფაზე მყოფ **სულთა რიცხვს.**
3. **საქმიანობის ხასიათს,** თუ დამქირავებელი მოითხოვს **კაბინეტს.**
4. **წინა წლის შემოსავლის რაოდენობას,** რომელიც გამორკვეულ უნდა იქნას საშემოსავლო გადასახადით.
5. ზემოხსენებული **დოკუმენტები განახლებულ უნდა იქნან 1-ლ აგვისტოდან,** ხოლო საანგარიშო წიგნაკებში აღნიშნულ უნდა იქნას წინა თვის ანგარიში. ვინც **გადაფასების დროს სათანადო საბუთებს არ წარადგენს, მისთვის ბინის ქირა დ წესდება, როგორც არამშრომელი კატეგორიის პირებისათვის.**
კომისიები იმუშავებენ ყოველდღე საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე.
ნ. 3105. **კომუნალური სახლების სამმართველო.**

ქალ. ლომბარდის საუქციონო კამერა
აცხადებს, რომ კვირას, 18 აგვისტოს, დილის 10 საათზე ლომბარდის შენობაში, კეცხოველის ქ. № 8
დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
ფინსახკომისადმი დავალიანებათა ასანაზღაურებლათ. გაიყიდება როზალია ტერ-რაფაელოვის კუთვნილი 1/3 სახლისა, მდებარე კალინინის ქუჩა № 31. საჯარო ვაჭრობის დროს დაცული იქნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311 და 312 მუხლები. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებით 2000 მანეთიდან. ნ. 3098

მუხიანის საწარმოო ნადი **„წითელი მწარმოებელი“**
ლიკვიდაციაქმნილია, რასაც აცხადებს სალიკვიდაციო კომისია. ვისაც რაიმე პრეტენზიები აქვს აღნიშნულ ამხანაგობასთან, შეუძლიათ შემოიტანონ ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები მიღებული არ იქნება. მისამართი: თბილისი, ლერმონტოვის ქ. № 12
ქვ. 2883. ლიკვიდკომი.

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უმტკივნეულოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი („914“ შეშხაპ.) **ვენერიული** (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) და **კანის** სნეულება.
მიღება { დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 8—9 საათ.
მისამართი კამოს ქ. № 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა), ქალ. მეორე საავადმყოფოს პირდაპირ.
2578 25—1

ქ. ქობულეთში
ბავშვების ექიმი
ალ. მაღალაშვილი
იღებს ავადმყოფებს დილით 9—12 საათამდე. მესხეთის ქ. № 14. 2838 25—1

პროფესორი
გ. მ. მუხაძე
წასულია კისლოვოდსკში და დაბრუნდება ენკენისთვეში.
2579 25—1

გ. მ. ფხალაძე
სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი) და **კანის სნეულებანი**
მიღება: { დილის 7—7 ნახ. საათ. / საღამ. 6—7 საათ. ქალები / 7—9 საათ. კაცები
მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან).
25—1

ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები სახის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან.
25—1 2561

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
წასულია. განაახლებს ავადმყოფების მიღებას 1 სექტემბერს.
253325—15

დავკარგე: სიღარიბის მოწმობა და რკ. გზ. სამსახურის წიგნაკი სურათით ვანო სამსონის-ძე მაღრაძის სახელზე. ჩ. გ. 2882

დავკარგე ნიგვზიანის 7 წლედის დამთავრების მოწმობა კონსტანტინე დონდოლაძის სახელზე ჩ. გ. 2882

დავკარგე: პირადობის მოწმობა № ფ/10 შორაპნის ტ. ჩ./8 კანტორიდ ნ გაცემული აგრაფინა ფერაძის სახელზე, ჩ. გ. 2882

დავკარგე: „მეომრის“ წიგნაკი № 9398 გ. ყურაშვილის სახელზე, ჩ. გ.

დავკარგე: კავშირის წიგნაკი № 13/1291 და სამხედრო საღრიცხვო წიგნაკი № 97 დიმიტრი შერმადინის სახელზე, ჩ. გ. 2876

დავკარგე: უმუშევრობის ანკეტა № 14/22871 გაცემული ქუთაისის ბირჟისაგან კონსტანტინე ტაბიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 3102

ტირაჟი—43.524 პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68. მთავლიტი № 904.